ვინ გაათეთრებს საქართველოში "შავ ფულს"? A4

ინციდენტი სასამართლოში A7

ამერიკული სიურპრიზი B2

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 18 ივნისი, 2002 წელი. №16

ფასი 50 თეთრი

# როგორც ჩანს, ეს რეჟიმი განწირულია...

გამარჯვებისთვის

## ასლან აბაშიძე: „თბილისში მაშინ ჩავალ, როცა საქართველო საქართველოს დაემსგავსება!..„

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

მოსკოვში აჭარის ლიდერის ტრადიციული ვიზიტი ქალაქის მერიაში ხელმოწერილი სავაჭრო-ეკონომიკური პროექტებითა და აჭარა-მოსკოვს შორის გაფორმებული რეგიონთაშორისი ურთიერთობების გრძელვადიანი პროგრამითაც აღინიშნა. 18 ივნისს ასლან აბაშიძე საგარეო საქმეთა სამინისტროს მაღლივ შენობაში მივა, სადაც რუს დიპლომატებთან დაწყებული დიალოგი გაგრძელდება, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირებაზე.

17 ივნისის საღამოს კი ბათუმელებმა მოსკოვის ცენტრი აიღეს, უფრო მეტიც, მოსკოვის გული დაიპყრეს - ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. მსოფლიოში ერთადერთი - ბათუმის ოპერისა და ბალეტის ბავშვთა სახელმწიფო თეატრი, კრემლის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში გამოსვლისას, არაპროფესიონალი პუბლიკის ოვაციებს იმსახურებდა. სამაგიეროდ, ადგილობრივი კულტურის კორიფეების მაგივრად, დარბაზში პოლიტიზებული ხელისუფლების ყოვლად უწყინარი წარმომადგენლობა ისხდა.

გაგრძელება A2 გვერდზე



მოსკოვი, კრემლი, ასლან აბაშიძე და იური ლუჟკოვი.
ITAR-TASS

## არჩევნები არჩევანის გარეშე

ზაზა წულაძე

*ბათუმის მერი, კემბრიჯის წმინდა ანდრიას სახელობის კოლეჯის კურსდამთავრებული, 26 წლის გიორგი აბაშიძე გახდა, იგი აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ასლან აბაშიძის ვაჟია. "აღორძინების კავშირმა" კი, რომლის ლიდერიც ასევე უფროსი აბაშიძეა, აბსოლუტური უპირატესობით მოიგო აჭარის თვითმმართველობის არჩევნები.*

ამის მიუხედავად, ჯერჯერობით კვლავ უცნობია აჭარული არჩევნების წინასწარი შედეგებიც კი. ადგილობრივი ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ავთანდილ კომახიძე არ ღალატობს დანაპირებს, ხუთი დღის მანძილზე გადათვალოს ბიულეტენები, რომელიც 234 ათას ამომრჩეველზეა დაბეჭდილი. **"საბოლოო შედეგები შემიძლია, 20 დღის შემდეგაც გამოვაქვეყნო,"** – გვითხრა კომახიძემ, რომელიც, ალბათ, არ გაგიკვირდებათ, თუ გეტყვით, რომ "აღორძინების კავშირის" წევრია.

საერთოდ, გასაკვირი და მოულოდნელი აჭარის არჩევნებზე არაფერი მომხდარა. ჩვენმა დიდმა და გავლენიანმა პოლიტიკურმა პარტიებმა, რომლებიც თბილისში ან ვთქვათ, ზუგდიდში, ერთი გაყალბებული ბიულეტენისთვის ერთმანეთს დაჭამენ, აჭარელი ამომრჩეველი არჩევანის გარეშე დატოვეს, ზოგმა თავაზიანად (ლეიბორისტებმა), ზოგმა უხეშად (მოქალაქეთა კავშირი) და ზოგმაც ჩუმად, გაურკვეველი მოტივით (ახლები, ჟვანიას გუნდი, ნაციონალისტები) უარი თქვეს არჩევნებში მონაწილეობაზე. იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც გამოხატეს მონაწილეობის სურვილი (ტრადიციონალისტები, სოციალისტები, ზვიადისტები), მაგრამ "ვერ შეძლეს" საარჩევნო სიების დაკომპლექტება და, შესაბამისად,

გაგრძელება A2 გვერდზე

## მესამედ მოსვლა

### ზურაბ ჟვანია და მისი გუნდი

დავით ზურაბიშვილი

ჭეშმარიტად შეუცნობელ არს გზანი ქართულისა პოლიტიკისანი...

ზურაბ ჟვანიას ოპოზიციონერობა, ცოტა ხნის წინ, ისევე წარმოუდგენელი ჩანდა, როგორც უფრო ადრე, "საქართველოს მწვანეების" ბიოლოგი ლიდერის პარლამენტის თავმჯდომარეობა. არადა მისი პოლიტიკური კარიერა სწორედ ოპოზიციით დაიწყო, გაგრძელდა ხელისუფლებაში და როცა ძალაუფლების მწვერვალამდე თითქოს ბევრი აღარაფერი იყო დარჩენილი, კვლავ მოუწია ოპოზიციაში დაბრუნება. ღმერთია მოწამე, არ უნდოდა. უბრალოდ, სხვა შანსი აღარ დაუტოვეს...

#### მოსვლა პირველი: ის მწვანე იყო ძალიან...

ქვესათაურში გატანილი ფრაზა, რომელიც ზურაბ ჟვანიასადმი მიძღვნილი სახუმარო ლექსიდანაა აღებული, ძალიან კარგად ასახავს იმ დამოკიდებულებას, რომელიც 90-იანი წლების დასაწყისისთვის დომინირებდა პარლამენტის მომავალი თავმჯდომარის მიმართ

მართლაც, ზურაბ ჟვანიას პირველ მოსვლას პოლიტიკაში დიდი ფურორი არ მოუხდენია. ის აღიქმებოდა მეორე პლანის ფიგურად, რომელიც "ხუდონჰესის" მშენებლობის შეჩერებასთან და სხვა "მწვანე" აქტივობებთან ასოცირდებოდა. ჟვანია არასოდეს ყოფილა სახალხო ტრიბუნი, არასოდეს ესწრაფვოდა აღფრთოვანებას მასებისას. მისი ინტელიგენტური მანერები და ლათინიზმებით გაჯერებული ფრაზები, წარმოთქმული გაწელილი და უჩვეულოდ გამყივანი ხმით, ყველაზე ნაკლებად შეესაბამებოდა ახალთაობის ეროვნული ლიდერის ტიპაჟს. ის მუდამ თანამშრომლობას არჩევდა კონფრონტაციას და მძაფრ დაპირისპირებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში მიდიოდა, როცა თვითონ ხელისუფლება ამბობდა უარს თანამშრომლობაზე.

სიტყვა "გუნდი" შემთხვევით არ მიხსენებია. მაშინ არავის მოსდიოდა აზრად, ელაპარაკა ზურაბ ჟვანიას გუნდზე, არადა მისი კონტურები სწორედ იმ პერიოდში მოიხაზა. გიორგი ბარამიძე, რეზო ადამია, ირაკლი ჩუბინიშვილი, ხათუნა გოგორიშვილი - ყველანი ყოფილი "მწვანეები" არიან. არის კიდევ ლევან მამალაძე, მაგრამ ეს განსაკუთრებული შემთხვევაა...

გარდამტეხი მოვლენა ზურაბ ჟვანიას ცხოვრებაში "საშობაო" გადატრიალების შემდეგ დგება, როდესაც უმოწყალოდ არეულ-დარეულ საქართველოში ბრუნდება მისი "უძღები მამა" ედუარდ შევარდნაძე.

გაგრძელება A8 გვერდზე

## 18 ივნისი დავით ყიფიანის დაბადების დღეა

B1



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

## ჟვანია ოლიგარქებთან საბრძოლველად მზად არის

### პარტია ღია კარით

თამარ მჭედლიშვილი
მაკა ღამბაშიძე

*"თავისუფლება და პასუხისმგებლობა" – ზურაბ ჟვანიას გუნდის წევრები ამ პარტიული ლოზუნგის ირგვლივ გუშინ უკვე ოფიციალურად გაერთიანდნენ. ფილარმონიის გადაჭედილ დარბაზში, "გაერთიანებული დემოკრატების" დამფუძნებელ ყრილობას, პარტაქტივისტებთან ერთად, ინტელიგენციის საკმაოდ დიდი ნაწილი, რამდენიმე პარტიის ლიდერი და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებიც დაესწრნენ.*

მაშ ასე: ჟვანიას გუნდმა პარტია დააფუძნა. ზურაბ ჟვანიას გუნდი დღეიდან ახალი სტატუსით წარდგება საზოგადოების წინაშე და, როგორც მისი აქტივისტები აცხადებენ, **"სრულიად ახალი ტიპის ურთიერთობებს შესთავაზებენ საზოგადოებას, რადგან ეს არის პარტია, რომლის კარი ღია იქნება საქართველოს თითოეული მოქალაქისთვის".**

სხვათა შორის, ყრილობაზე გამოსვლისაგან თავი შეიკავეს ჟვანიას გუნდის აქტიურმა წევრებმა და ასპარეზი მთლიანად დაუთმეს იმ ადამიანებს, რომლებსაც საზოგადოება მეტ-ნაკლებად იცნობს. ვახუშტი კოტეტიშვილი, ნანა ალექსანდრია, მიხეილ ქვლივიძე, მიხეილ მინდაძე, გოკა გაბაშვილი, ავთო ვარსიმაშვილი თავიანთ გამოსვლებში ერთხმად აღიარებდნენ ქვეყანაში გლობალური ცვლილებების აუცილებლობას და ამ მისიის შემსრულებლებად სწორედ ჟვანიასა და მის გუნდს მიიჩნევდნენ. მათი გამოსვლები, ძირითადად, საშუალო ფენის ჩამოყალიბების აუცილებლობას, დემოკრატიის მონაპოვარის განმტკიცებასა და ოლიგარქებთან დაუნდობელ ბრძოლას ეხებოდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

## „მართლა? ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს...„

### ასეთია გია ბარამიძის კომენტარი "მოქალაქეთა კავშირის" რეანიმაციაზე

სოფიკო ბუკია

ორშაბათის ტრადიციულ რადიოინტერვიუში პრეზიდენტი, "მოქკავშირის" განახლების აუცილებლობაზე საუბრობს, მშობლიური პარტიის რიგით წევრად რჩება, "მოქკავშირის" ლიდერად სახელმწიფო მინისტრს, ავთანდილ ჯორბენაძეს ასახელებს და ირწმუნება, რომ მისი პარტია ანგარიშგასაწევი ძალაა.

ცნობისათვის, მკითხველს შევახსენებთ, რომ ამ "ანგარიშგასაწევმა ძალამ" 2 ივნისის არჩევნებში ორპროცენტიანი ბარიერი დიდი გაჭირვებით გადალახა...

ნუთუ მოსახლეობის ორი პროცენტის მხარდაჭერა საკმარისი აღმოჩნდა პრეზიდენტის გულში იმედის გასაღვივებლად? იქნებ, ჩვენი პრეზიდენტი ხედავს იმას, რასაც სხვები ვერ ხედავენ?

ქალბატონი ელენე თევდორაძე დარწმუნებულია, რომ პრეზიდენტმა, უბრალოდ, რეალობის შეგრძნება დაკარგა, **"სხვა განზომილებაში ცხოვრობს"** და, რაც მთავარია, სჯერა იმისი, რასაც ამბობს. თევდორაძე პრეზიდენტის ამგვარ **"სავალალო"** მდგომარეობას მის გარემოცვას აბრალებს: **"პრეზიდენტს ატყუებენ, ის, თავის მხრივ, ხალხს ატყუებს..."** - ამტკიცებს თევდორაძე.

გაგრძელება A3 გვერდზე

მარკ მალენი: "თუ აჭარა საქართველოს შემადგენლობაშია"... A2

ვაზიანის ჯარები და მათი ოტომანი ატამანი A2

ავთანდილ ჯორბენაძე ახალი ამპლუით და ძველი ფუნქციებით A3

ნათელაშვილი თელასის წინააღმდეგ A4

ერევანი: მოკლული პრემიერის ადვოკატი ვიდეოჩანაწერის ჩვენებას მოითხოვს A5

სტრიპტიზი, მაცივარი, სექსი... B4

ვარსკვლავთცვენა ბოულინგცენტრში B5

### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 26 | |
| ქუთაისი | 24 | |
| ბათუმი | 21 | |
| სოხუმი | 21 | |
| ფოთი | 22 | |
| თელავი | 25 | |
| ზუგდიდი | 24 | |
| გორი | 22 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.2200 |
| ევრო | 2.0979 |
| ფუნტი სტერლინგი | 3.2776 |
| რუბლი | 0.0707 |

A2 პოლიტიკა A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 თვალსაზრისი

B1 ფეხბურთი B2 ფეხბურთი B3 სპორტი B4 ტოტალიზატორი B5 სტილი B6 კულტურა B7 კულტურა B8 სხვადასხვა

# ვაზიანის ჯარები და მათი ოტომანი ატამანი

თენგიზ გოგოტიშვილი
"რუსთავი 2"
სპეციალურად "24 საათისათვის"



გუშინ ვაზიანში დიდი ხნის მოლოდინი დამთავრდა - სწავლება "ბესტ ეფორტ 2002" საზეიმოდ გაიხსნა. მის გახსნას არ დასწრებია ბევრი ხალხი. მაგრამ ვინც მოვიდა, ყველა "ვი-აი-პი" სტუმარი იყო. ყველაზე მეტად "ვი-აი-პი" კი გახდა თურქი გენერალი, საინტერესო გვარით - ატამანი.

არ გაგეღიმოთ - ატამანი ნამდვილი ნატოელი "ატამანია". იგი ნატოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ძალების დაჯგუფებას სარდლობს. ინფორმაცია განსჯისთვის - ამ სარდლობის პასუხისმგებლობის ზონაში შედის არა მხოლოდ საქართველო, თურქეთი და სხვა პარტნიორი (ნატოს "მშვიდობისთვის პარტნიორობის" პროგრამის წევრობაზეა საუბარი) ქვეყნები, არამედ ირანიც, ერაყიცა და სხვა ფრიად პრობლემური რეგიონებიც. იმის გათვალისწინებით, რომ ერაყს, უახლოეს მომავალში, შეიძლება, "უდაბნოს ქარიშხალი №2" დაატყდეს თავს, ასეთი კაცის მოცალეობა ვაზიანში წვრთნების გახსნის ცერემონიაზე დასასწრებად საყურადღებო ჟესტია.

საზეიმო ცერემონია, თუ მაინცდამაინც გაინტერესებთ, დიდი არაფერი - უკეთესებიც გვინახავს. თუმცა, საქართველოს მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისგან არც არავინ ელოდა ციდან ვარსკვლავების მოწყვეტას - ჰიმნები დაუკრეს, სიტყვები ინგლისურად იკითხეს (ესეც ნატოსთან ნანატრი თავსებადობა!), აღლუმი და ბანკეტი მიიღეს. კიდევ რა სჭირდება ნატოს ეგიდით გამართულ წვრთნას?

თავად წვრთნა კი დღეს დილიდან დაიწყება. 18 ივნისს ოცეულებს პირველი მტვრიანი დღე აქვთ. მათ უნდა დაამუშაონ ოცეულებად და ათეულებად გადაადგილების ტექნიკა და ამ დროს იპოვონ ერთმანეთთან საერთო ენა - ეს არცთუ იოლი საქმეა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ყოველი სწავლება მცირე ბაბილონის გოდოლს ემსგავსება. "ბესტ ეფორტში" ამჯერად 15 ქვეყნის სამხედროები მონაწილეობენ.

წვრთნებისას სამეტყველო ენა, ბოლოს და ბოლოს, არ არის ყველაზე დიდი პრობლემა - მოჰკიდებ ზურგზე "რაციას" ორი ინგლისური სიტყვის მცოდნე ჯარისკაცს და "ჰაიდა"! ეს ტექნიკის საკითხია. გაცილებით უფრო რთული იქნება, მთელ რიგ შემთხვევებში საყოფაცხოვრებო საერთო ენის პოვნა სხვადასხვა ოცეულებს შორის. გახსნის ცერემონიაზე სომხეთისა და აზერბაიჯანის ოცეულებს შორის ავსტრიის ოცეული იდგა.

მაგრამ რა გაჰყოფს ამ ქვეყნების ჯარისკაცებსა და ოფიცრებს სასადილოში, ყაზარმაში, საველე ვარჯიშზე, პოლიგონის სროლებზე...

"ბესტ ეფორტ 2002," იქნებ, იმითაც გახდეს ისტორიული, რომ ომის მდგომარეობაში მყოფი ორი ქვეყნის სამხედროები ერთმანეთთან ოდნავ მაინც დააახლოოს. "მშვიდობისთვის პარტნიორობის" ნებისმიერ წვრთნას ხომ უმთავრეს მიზნად სწორედ ასეთი პათეტიკური ლოზუნგები აქვს - რეგიონული თანამშრომლობის მხარდაჭერა, ურთიერთნდობის გაღრმავება, მშიდობიანი დიალოგის უზრუნველყოფა და ა.შ. რაკი სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის მშვიდობა ჯერ მხოლოდ შორეული პერსპექტივის საგანია, თანამშრომლობას ორი კვირით მაინც თუააწყობინებს ვინმე, დიდი საქმე იქნება.

ის კი, რაც მსგავს წვრთნებს პრაქტიკულად მოსდევს, არის ჯარისკაცთა ჯანსაღი ინტერესის დაკმაყოფილება - "კალაშნიკოვი" სჯობს თუ "ემ-16", ბრიტანული ოცეულიც ისეთივე მაგარია ფეხბურთში, როგორც მათი ეროვნული ნაკრები? არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩამოსულ 800 სამხედროს შორის, უმრავლესობა საკმაოდ ახალგაზრდაა და ბევრი მათგანი მსგავს წვრთნაზე პირველად ხვდება.

კიდევ ერთი, რაც ნატოს ნებისმიერ წვრთნას ახლავს ახლად გაპარტნიორებულ ქვეყანაში, ბიზნესია. შარშან საზღვაო-სახმელეთო "ქოოფერეითივ პარტნერზე" ფოთელი ჩარჩები, ტაქსისტები, დახლიდრები, სასტუმროს მეპატრონეები, ბოლოს და ბოლოს, მეძავები საშვილიშვილოდ აშენდნენ - უცხოელები საკმაოდ წარმატებულად "წველეს". ვაზიანში კი მსგავსი გაქანება ჯერ არ ჩანს, თუ არ ჩავთვლით ბაზიდან ნახევარ კილომეტრში საქნავთობის ტექნიკის ნახევრადდაქცეული გარაჟის შესასვლელთან გაჩენილ ხელნაწერ აბრას "რესტორანი, საუნა" და თავად ბაზაზე გახსნილ "იქსჩეინჯს", რომელშიც საწყალ ტურისტ სამხედროებს ერთ დოლარში ორ ლარზე მეტს არ აძლევენ.

ჯერ მთელი სწავლება წინაა. ერთი კვირის წინ უასფალტო გზა ვაზიანის ბაზისკენ ხვალ, შეიძლება, ახალ უოლ-სტრიტადაც იქცეს. "ნატო - ერთი, ნატო - ორი, ნატო - სამი, გაყიდულია!"

## ასლან აბაშიძე: „თბილისში მაშინ ჩავალ, როცა საქართველო საქართველოს დაემსგავსება!..„

პირველი გვერდიდან

კონცერტი საღამოს შვიდ საათზე უნდა დაწყებულიყო. ამ დროისათვის დარბაზი ნახევრადაც არ იყო შევსებული. პუბლიკა კრემლის ეზოში და ტროიცკის ჭიშკრის შესასვლელში იდგა და მოთმინებით ელოდა მთავარი პერსონაჟების გამოჩენას. ეს პუბლიკა კი მეტად საინტერესო გახლდათ - სპეციალურად ამ კონცერტზე დასასწრებად ჩამოფრენილი ბათუმელები, მოსკოვში დღეს მცხოვრები აჭარის ათი ათასამდე მკვიდრი, ადგილობრივი ქართული დიასპორის მცირე შემადგენლობა -საქართველოს ელჩით, საელჩოს დიპლომატებითა და რუსეთში ქართველთა საზოგადოების წევრებით. კრემლის მისადგომებთან საკმაოდ იყვნენ აფხაზეთიდან დევნილებიც, რომლებიც, ძირითადად, ბორის კაკუბავას გვერდით გროვდებოდნენ და რა გვეშველებაო, რიტორიკულ შეკითხვებს უსვამდნენ. კაკუბავა პასუხობდა, სანამ შევარდნაძე ცოცხალია, არაფერიო...

რვის ცხრამეტ წუთზე კრემლის საკონცერტო დარბაზში, კრემლის გაძლიერებული დაცვის თანხლებით, შემოვიდნენ იური ლუჟკოვი და ასლან აბაშიძე. ამ უკანასკნელმა იქვე ავტოგრაფების დარიგება დაიწყო. ლუჟკოვს შემოჰყვა მოსკოვის ვიცემერი სოსო ორჯონიკიძე, მეუღლითურთ, ლუჟკოვის მეუღლე ელენა ბატურინასთან ერთად. ქალაქის მერიის დანარჩენი თანამშრომლები პირველ - მეორე რიგებში განთავსდნენ და სანახაობაც დაიწყო - კარლო გოცის მოტივებზე დაწერილი "პრინცესა ტურანდოტი". მთელი კონცერტის მანძილზე ასლან აბაშიძე და იური ლუჟკოვი გაცხარებულნი საუბრობდნენ. ლუჟკოვს სახეზე ღიმილი და აშკარა კმაყოფილება დასთამაშებდა, ხოლო აჭარის ლიდერი, ასევე, აშკარად ამაყი იყო. გამგები პუბლიკა პერიოდულად ოვაციებს უმართავდა ბავშვებს, რომლებიც ესოდენ სერიოზულ ოპერას მღეროდნენ ნახევრად საესტრადო მანერით. დარბაზში იჯდა რუსული პუბლიკის საყვარელი მსახიობი დიანა ღურწკაიაც. მსოფლიოში ერთადერთი საბავშვო ოპერის მოსმენა ჩვენებური პუბლიკის სიამოვნების ჩარჩოებში დარჩა, რადგანაც "ტურანდოტი" ტრადიციულად იყო და დარჩა ეპოქალურ მოვლენად - ხალხების, თეატრალური სკოლებისა და ა.შ. დაახლოებაში. დაახლოება რომ შედგა და თანაც ხუთიანზე, ამაზე "24 საათისათვის" მიცემული ექსკლუზიური ინტერვიუებიც მეტყველებენ.

იური ლუჟკოვი:

- ბათუმელი ბავშვების ხელოვნებას ასი ქულა უნდა დავუწეროთ. ნებისმიერი მსოფლიო დასი იამაყებდა ასეთი ხმებით და ასეთი დეკორაციებით. ეს ბავშვები ჩვენს შორის მშვიდობის დამამყარებელი ისეთი თაიგულია, რომლის დაყნოსვაც არავის ალერგიას არ უნდა იწვევდეს. მე კმაყოფილი ვარ ასლან აბაშიძესთან დღეს გაფორმებული ეკონომიკური და სავაჭრო თანამშრომლობის პროგრამით. ჩვენ დიდი ხანია ასეთი ურთიერთობებითა და საქმიანი კონტაქტებით საქართველო-რუსეთის დაახლოებაში გამორჩეული წვლილი შეგვაქვს. სულ მალე გზას გაუდგება ბორანი ფეოდოსია-ნოვოროსიისკი-ბათუმი, რომელიც ბევრ საინტერესო პროექტს აამოქმედებს ჩვენს შორის. ესეც რომ არ იყოს, ნამდვილად გვეჩქარება, რომ, ეკონომიკური პროექტების გვერდით, უბრალო ადამიანური ურთიერთობებიც გამოვასწოროთ. ჩვენ მოძმე ერი ვართ და ასე გაუთავებელი კინკლაობა და დაპირისპირება არ გვიხდება. გაიხსენეთ, ისტორიულად არასოდეს ყოფილან რუსეთი და საქართველო ასე დაშორებულნი. რამდენი გამოჩენილი მხედართმთავარი და უდიდესი ადამიანი მოდიოდა საქართველოდან რუსეთში...

**- თქვენი აზრით,რა უშლის ხელს ქართველების და რუსების ნორმალურ ურთიერთობებს?**

- პრინციპში ხელს არავინ გვიშლის. ის, რაც დღეს ხდება, ისტორიული კანონზომიერებაა. ამიტომ უნდა შეიცვალოს ჩვენი ურთიერთობების ხასიათი, ყველაფერი დანარჩენი საკუთარი სულის ფსკერიდან უნდა ამოვიღოთ და ყველაფერი კარგად იქნება.

ასლან აბაშიძე:

**- ბატონო ასლან, საქართველოში ჩატარებულ არჩევნებზე რა აზრის ბრძანდებით?**

- რა აზრის ვარ და ეს იყო მორიგი ფარსი, რომელსაც ჩვენ ადრე ვგმობდით და ახლაც ვგმობთ. იგივე შეფასება მისცეს საქართველოში ჩატარებულ არჩევნებს ევროსაბჭომ და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებმაც მათ დაგმეს ჩვენი არჩევნები.

**- პირადად თქვენც გმობთ?**

- რა თქმა უნდა. იმას, რაც საქართველოში მოხდა, არჩევნებს ვერ დაარქმევ. ეს იყო ადამიანის უფლებების უხეში დარღვევა მსოფლიო საზოგადოების თვალში-დარღვევა ყველა გზითა და მეთოდით, ყველა ხერხით და ტექნიკით, პოლიციით - გაყალბება მოხდა უმაღლეს დონეზე.

**- ბათუმში არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება?**

-რას ჰქვია ჩაითვლება! ბათუმში ჩატარდა საუცხოოდ, როგორც ევროპელმა დამკვირვებლებმა აღნიშნეს, მსოფლიოში აპრობირებული საარჩევნო მეთოდების ტრადიციების დაურღვევლად.

**- როგორ შეაფასებთ მოსკოვური შეხვედრების შემდეგ საქართველო-რუსეთის ურთიერთობების პერსპექტივას?**

-პერსპექტივა ერთადერთია - რუსეთ-საქართველოს ნორმალური ურთიერთობების აღდგენა. სხვა გზა ჩვენ არ გვაქვს. ერთ სიბრტყეში ვცხოვრობთ, მხოლოდ ერთი საზღვარი გვყოფს, მეტი არაფერი...

**- ბატონო ასლან,თბილისში როდის აპირებთ ჩასვლას?**

-თბილისში მაშინ ჩავალ,როცა საქართველო საქართველოს დაემსგავსება!

ასლან აბაშიძე მოსკოვში კიდევ რამდენიმე დღით აპირებს დაყოვნებას. მისმა პრესმდივანმა გვაცნობა, რომ 18 ივნისს მნიშვნელოვანი შეხვედრებია დაგეგმილი. კერძოდ, სად - გადაწყვეტილი არ არის. თუ ბორის კაკუბავას დავუჯერებთ, - საგარეო საქმეთა სამინისტროში.

## არჩევნები არჩევანის გარეშე

პირველი გვერდიდან

არ იქნენ დაშვებულნი არჩევნებზე. გაგიკვირდებათ, მაგრამ ერთადერთი პარტია, რომელმაც ბოლომდე იბრძოლა არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად (სასამართლოსაც კი მიმართა) საქართველოს ახალი კომპარტია იყო. **"ხელისუფლებამ იცოდა, რომ მხოლოდ ჩვენ, ახალი კომუნისტები გამოვამზეურებდით სიყალბეს და ამიტომაც არ დაგვიშვეს არჩევნებზე,"** - თქვა პროცესის შემდეგ ახალი კომპარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ანზორ დავითაძემ.

აჭარული არჩევნების "გადემოკრატიულებას" ედპ, მრეწველები და ერთიანი კომუნისტები მოემსახურნენ. სამივე პარტიას იმედი აქვს, რომ საკრებულოებში **"ერთ-ორ კაცს მაინც გაიყვანს". "მე ზუსტად ვიცი, რომ ჩვენ ბათუმში 5000 ამომრჩეველი გვყავს და ეს ხმები ჩვენ უნდა მივიღოთ,"** – გვითხრა ედპ-ს ადგილობრივმა ლიდერმა ილია ვერძაძემ (ცნობისათვის, წინა თვითმმართველობის არჩევნებზე ბათუმის საკრებულო მთლიანად "აღორძინებამ" დააკომპლექტა).

თუ თბილისსა და დანარჩენ საქართველოში პარტიები წინასაარჩევნოდ რადიკალური ანტისახელისუფლებო ლოზუნგებით გამოდიოდნენ, აჭარაში აბსოლუტურად საპირისპირო სიტუაცია იყო. **"იმ შემთხვევაში, თუ ამირჩევენ, ვეცდები გავაუმჯობესო ის უდიდესი მონაპოვარი, რაც აჭარას ასლან აბაშიძემ და აღორძინებამ მოუტანეს,"** – ასეთ ფრაზას ამოიკითხავდით ბათუმის მერობის კანდიდატ სოსო ბოკუჩავას საარჩევნო პროგრამიდან. ხელისუფლების კრიტიკა აზრადაც არავის მოსვლია.

პოლიტიკური პარტიების გარეშე დარჩენილი არჩევნები, აჭარის ხელისუფლებამ საერთაშორისო დამკვირვებლების გარეშეც დატოვა. "სამართლიანი არჩევნებისა" და "ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიულ ინსტიტუტის" წარმომადგენლები აჭარაში არ შეუშვეს. **"ჩვენი ინფორმაციით, ამ ორგანიზაციებმა თბილისიდან მიიღეს დირექტივა, რომ ყველა შემთხვევაში აქაური არჩევნები გაყალბებულად გამოეცხადებინათ,"** – ასე ახსნა ამ დამკვირვებელთა იგნონირება თავად ასლან აბაშიძემ.

სანაცვლოდ, აჭარის ტელევიზია საათში ხუთჯერ ატრიალებდა ევროპის რეგიონთა ასამბლეის (ერა) წარმომადგენლის მაიკლ გიბსონის კომენტარს, რომელიც სრული სერიოზულობით ამტკიცებს, რომ **"ასეთი დემოკრატიული და კანონიერი არჩევნები ევროპის ბევრ ქვეყანაში აღარ ტარდება". "მე სწორედ ამიტომ მივიღე გადაწყვეტილება, აჭარაში გვიან ჩაგვეტარებინა არჩევნები, რომ გვეჩვენებინა მთელი საქართველოსა და ევროპისთვის, ასეთ ვითარებაშიც შესაძლებელია დემოკრატიული არჩევნების გამართვა,"** – ეს განაცხადი მოაყოლა ასლან აბაშიძემ დალტონის კომენტარს.

აჭარული არჩევნების ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი მაინც ბათუმის მერად გიორგი აბაშიძის არჩევა გახდა. უმცროსი აბაშიძე 20 წლის ასაკიდან ჩაება პოლიტიკაში (მანამდე ქართულ-გერმანული ერთობლივი საწარმო "აღორძინებამ"-ის გენდირექტორი იყო) და ექვს წელიწადში, აჭარული დემოკრატიის გათვალისწინებითაც კი, ფანტასტიკური ნაბიჯებით იარა. 1996 წელს იგი მხოლოდ "აღორძინების" რიგითი აქტივისტი, ორ წელიწადში ამ პარტიის ახალგაზრდული ფრთის ლიდერი და ბათუმის საკრებულოს წევრი გახდა. 2001 წლის სექტემბრიდან კი საკრებულომ ერთხმად აირჩია ქალაქ ბათუმის მერად. "ძლიერი ქალაქი, ძლიერი რეგიონი, ძლიერი საქართველო" – ბათუმის მერიაში ხელახლა ასეთი ლოზუნგით დაბრუნდა 26 წლის პოლიტიკოსი, რომელსაც უნდა, რომ "ბათუმი ისეთივე ქათქათა, კოპწია და მშვენიერი იყოს, როგორც ეს უფროს თაობას ახსოვს".

უმცროსი აბაშიძის საყვარელი მომღერალი მაქსველია, მისაბაძი პოლიტიკოსი კი... მამამისი.

## მარკ მალენი, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის საქართველოს განყოფილების დირექტორი: "თუ აჭარა საქართველოს შემადგენლობაშია"...

**- რა იყო იურიდიული საფუძველი იმისა, რომ თქვენი დამკვირვებლები აჭარაში არ შეუშვეს?**

- როცა ჩვენი წარმომადგენლები საარჩევნო კომისიაში მივიდნენ, მათ წერილი გადასცეს ცოტნე ბაკურიას ხელმოწერით. ეს უკანასკნელი გახლავთ აჭარის პარლამენტის საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე. წერილში საუბარი იყო, რომ ჩვენ არ გაგვაჩნია სათანადო კვალიფიკაცია და ვართ არაობიექტურები და ინტრიგანები.

**- თუ გაქვთ ინფორმაცია სხვა წყაროებიდან იმის შესახებ, თუ როგორ ჩატარდა არჩევნები აჭარაში?**

- ერთადერთი, რაც ვიცი, ეს ამომრჩევლის აქტიურობის განსამზღვრელი ციფრებია. ჩემი ინფორმაციით,არჩევნებში აჭარის ამომრჩევლების 87 პროცენტმა მიიღო მონაწილეობა. წინა არჩევნებში ეს ციფრი 96 პროცენტი იყო. ეს არის სულ, რაც რეალურად ვიცი. ასე რომ, ბევრს ვერაფერს გეტყვით.

**- როგორც გავიგეთ, ამ არჩევნებზე დამკვირვებლად იყო მაიკლ გიბსონი, ევროპის რეგიონების ასამბლეიდან. მისი შეფასებით, აჭარის არჩევნები იყო იმდენად დემოკრატიული, რამდენადაც ეს საერთოდ შესაძლებელია. მისივე თქმით, აჭარაში დემოკრატიის უმაღლეს სტანდარტს წააწყდა. იცით, თუ არა რაიმე ამ პიროვნების შესახებ?**

- სირთულეს ქმნის ის ფაქტი, რომ ევროპული რეგიონების ასამბლეა არ გახლავთ სახელმწიფოთშორისი ორგანო, ის არასამთავრობო ორგანიზაციაა, შტაბ-ბინით ქალაქ სტრასბურგში. მე ასე ვიტყოდი: ეს ორგანიზაცია არ გახლავთ არჩევნებზე დამკვირვებელი სერიოზული სტრუქტურა. მაიკლ გიბსონის შესახებ არაფერი ვიცი. თუმცა, კარგი იქნება, თუ თქვენ, ჟურნალისტები ამ ორგანიზაციასთან დაკავშირებას შეეცდებით და მათი საქმიანობის შესახებ ინფორმაციას მოიპოვებთ. მეორე საკითხია ის, თუ ვინ დააფინანსა ამ დამკვირვებლების მივლინება აჭარის არჩევნებზე.

**- იცით თუ არა სხვა ორგანიზაციები, რომლებიც არჩევნებს მონიტორინგს უწევდნენ?**

- არა, არ ვიცი. უფრო ზუსტად, ვიცი, რომ ევროპის საბჭომ არჩევნებზე დამკვირვებლები არ გამოაგზავნა, საზოგადოება სამართლიან არჩევნებს კი ამის უფლება არ მისცეს.

**- თქვენი ინფორმაციით, სთხოვა თუ არა ქართულმა მხარემ საერთაშორისო ორგანოებს არჩევნებზე დამკვირვებლების გამოგზავნა?**

- ვის გულისხმობთ, თბილისს თუ აჭარას?

**- რამდენადაც ცნობილია, საქართველოს ელჩმა ევროკომისიაში სთხოვა ამ სტრუქტურას აჭარის არჩევნებზე დამკვირვებლები გამოეგზავნა.**

- საინტერესოდ ჟღერს, მაგრამ ამის შესახებ არაფერი ვიცი.

**- "ენდიაის" აჭარის არჩევნებთან დაკავშირებით განცხადება არ ექნება?**

- აბა, როგორ? საქმეს ართულებს ის ფაქტი, რომ მათ, ვინც აჭარის არჩევნებს აკრიტიკებენ, იქ შესვლის უფლებას აღარ აძლევენ. ასეთ სიტუაციაში კი, როგორ შეიძლება არჩევნების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია მოვიპოვოთ? გამჭვირვალობა არ უნდა არსებობდეს მხოლოდ იმ ადამიანებისათვის, ვინც შენს აზრს იზიარებს, გამჭვირვალობა ყველასთვის უნდა იყოს.

**- შეიძლება თუ არა მათი გადაწყვეტილების გასაჩივრება ისე, რომ შემდეგში არჩევნებზე დასწრების უფლება მოიპოვოთ?**

- მათ არ ესმით, რომ არჩევნებზე დამკვირვებლების არდაშვება უფრო ცუდი ტონია და ამას უფრო ცუდი შეფასება აქვს საერთაშორისო საზოგადოებაში, ვიდრე დამკვირვებლების უარყოფით მოხსენებას. მაგალითად, ლუკაშენკომაც კი დაუშვა ბელორუსის არჩევნებზე დამკვირვებლები, რომლებმაც არჩევნები ძალზე უარყოფითად შეაფასეს. თუმცა, საერთო ჯამში, ბელორუსის არჩევნები უფრო დემოკრატიულად შეფასდა, ვიდრე იგივე ჩრდილოეთ კორეისა და ირანის, რადგან იქ არჩევნებზე საერთაშორისო დამკვირვებლებს საერთოდ არ უშვებენ.

**- მაგრამ არჩევნების ლეგიტიმურობა არ განისაზღვრება იმით, თუ რამდენი საერთაშორისო დამკვირვებელი ესწრება მას.**

- ეს ჩემი გადასაწყვეტი საკითხი არ არის, ეს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უნდა დაადგინოს. ჩემი აზრით, საერთაშორისო დამკვირვებლების საკითხი ძალზე სერიოზულია. თუ აჭარა საქართველოს შემადგენლობაშია, მაშინ მან ამ საკითხსაც უნდა მიხედოს.

**- ანუ, თქვენ ფიქრობთ, რომ ეს პრობლემა არ არის მხოლოდ აჭარის ადგილობრივი მთავრობის გადასაწყვეტი, ის ცენტრალური ხელისუფლების პრობლემაც არის?**

- ჩემი აზრით, საქართველოში ორი ერთმანეთისგან ძალზე განსხვავებული სისტემა ფუნქციონირებს. ჯემალ გოგიტიძე ამბობს, რომ, რადგან ხელისუფლება ქვემო ქართლში ბოლომდე აყალბებს არჩევნებს, ისინი იძულებულნი არიან, აჭარაში იგივე გააკეთონ. ეს არ მომწონს, მაგრამ მესმის. პრობლემა ის არის, რომ შარშან ნოემბერში იგივე მოხდა, ახლაც სიტუაცია არ შეცვლილა. აჭარის ხელისუფლების დაბალანსების პოლიტიკა არ არის ერთადერთი მიზეზი იმისა, რომ ასეთი რაღაცეები ხდება. ამას ყველა ქართველმა უნდა მიაქციოს ყურადღება, ეს სამარცხვინოა.

**- რა შეფასება გააკეთა ევროკავშირმა?**

- ამბობენ, რომ ევროკავშირმა ძალზე კარგი მოხსენება გააკეთა ნოემბრის არჩევნებზე. მაგრამ საბოლოო მოხსენება, პირიქით, ძალზე კრიტიკული იყო. ამჯერად, არჩევნები ორი კვირის შემდეგ იმიტომ ჩატარდა, რომ უცხოელ დამკვირვებელთა მონაწილეობა გამორიცხულიყო.

## ჯემალ გოგიტიძე, ფრაქცია "აღორძინება": "ხელმძღვანელობის და ხალხის არჩევანი დაემთხვა"

ვერიკო თევზაძე

ბათუმის მერის არჩევნებში გიორგი აბაშიძის მიერ მიღებულ 94,6 პროცენტს ფრაქცია "აღორძინების" წარმომადგენელი, პარლამენტარი ჯემალ გოგიტიძე ობიექტურ შედეგად მიიჩნევს. "24 საათთან" საუბრისას მან შენიშნა, რომ ეს მაჩვენებელი საბოლოო არ არის და მოსალოდნელია ცვლილებები. თუმცა, ჯემალ გოგიტიძე დარწმუნებულია, რომ ხმათა უმრავლესობა, ყველა შემთხვევაში, აბაშიძეს დარჩება.

პარლამენტარი გოგიტიძე აცხადებს, რომ წლევანდელ არჩევნებზე უჩვეულო ხალხმრავლობა შეინიშნებოდა. ბათუმის მოსახლეობამ ერთსულოვნად გამოთქვა სურვილი, თავისი ნება გამოეხატა. გოგიტიძეს გიორგი აბაშიძის მიერ მოგროვილი ხმებიდან ერთიც არ აეჭვებს. მისი აზრით, მოსახლეობის და აჭარის ხელისუფლების არჩევანი ერთმანეთს დაემთხვა.

"24 საათის" შეკითხვაზე – რამდენად სამართლიანად მიგაჩნიათ საერთაშორისო დამკვირვებლებისათვის არჩევნებში მონიტორინგის აკრძალვა? - გოგიტიძემ უარყო აჭარის ხელისუფლების მიერ დამკვირვებლებისათვის არჩევნებში მეთვალყურეობაზე უარის თქმის ფაქტი. გოგიტიძის განცხადებით, ყველა დამკვირვებელს, ვინც კი ამისი სურვილი გამოთქვა, საშუალება ჰქონდა, არჩევნების მონიტორიგი განეხორციელებინა.

გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი) , ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიტო შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია.ჯუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჯაოშვილი.

# ჟვანია ოლიგარქებთან საბრძოლველად მზად არის

## პარტია ღია კარით

პირველი გვერდიდან

ვახუშტი კოტეტიშვილი: **"მე პარტიის წევრი არ ვარ, რაღა დროს ჩემი პარტიაში შესვლაა. უბრალოდ, გახლავართ ნეიტრალური მხარდამჭერი. ეს ხალხი მიმაჩნია ყველაზე გაწონასწორებულად. ზურაბ ჟვანია არის ყველაზე საღად მოაზროვნე და უაღრესად პატიოსანი პოლიტიკოსი. ამის თქმის უფლებას მაძლევს ის მრავალწლიანი ურთიერთობა, რაც მე ამ პიროვნებასთან მაქვს - ჯერ კიდევ იქიდან მოყოლებული, როცა ის მწვანეთა პარტიაში იყო. ამჟამადაც ვთანამშრომლობთ ხალხური ხელოვნების სფეროში. ბატონი ზურაბის ინიციატივით, დაარსდა "ხალხური ხელოვნების დაცვისა და აღორძინების ცენტრი," რომლის თავმჯდომარე მე გახლავართ, საპატიო თავმჯდომარე კი - ზურაბ ჟვანია. მე მწამს მათი მამულიშვილობისა და ნამდვილი დემოკრატობისა. ამიტომ ვეცდები ყოველმხრივ დავუჭირო მხარი."**

ქეთი დოლიძე: **"მე მათი მხარდამჭერი გახლავართ და ყოველთვის ვიქნები ამ დემოკრატიული გაერთიანების გვერდით. მე მგონია, რომ სიტყვა "გაერთიანება" ახლა ყველაზე მთავარია საქართველოსთვის, დემოკრატიასთან ერთად. ხარისხობრივად, ასეთი დარბაზი, ასეთი ადამიანების გაერთიანება, მამარდაშვილისა და აკაკი ბაქრაძის ლექციების მერე, არ მინახავს საქართველოში. ზურაბ ჟვანიასთანა ადამიანებს გაფრთხილება უნდა. შემომთავაზეს, ვყოფილიყავი საპატიო დამფუძნებელი, რაც ჩემთვის დიდი პატივია, მაგრამ შეგნებულად ვთქვი უარი. არ მინდა იმან, ვისაც ტვინი აქვს ნაღრძობი, იფიქროს, რომ მე ვინმესგან რამე მჭირდება. ასეთი ტვინის შედეგია ახლანდელი საზოგადოებრივი აზრიც".**

თემურ ფალავანდიშვილი: **"მოვედი, როგორც მხარდამჭერი. იმედია, მომავალში მოვალ, როგორც წევრი. აქ ითქვა, თავისუფლება არ არის მარტო დამოუკიდებლობა, მას ბრძოლა სჭირდებაო. ყველაზე მეტად ეს ფრაზა მომეწონა. ბრძოლაში კი გამარჯვების ერთადერთი პირობა არის ჩვენი გაერთიანება. ამიტომ მჯერა გაერთიანებული დემოკრატების."**

ცაგერისა და სვანეთის მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზ ფაჩუაშვილი: **"ჩვენ როცა გვთხოვენ, დავლოცოთ ნებისმიერი კარგი საქმე, ვალდებული ვართ, ეს გავაკეთოთ. ჩვენ ბატონ ზურაბთან მეგობრული ურთიერთობა გვაქვს. ის ქრისტიანი ადამიანია და ეკლესიას სთხოვა, მისი დიდი წამოწყება ეკურთხებინა. როცა ლოცავ ადამიანს, ლოცავ სიკეთის გასაკეთებლად, რათა ემსახუროს მას. პოლიტიკური ბრძოლა კი არ შეიძლება პირადი შეურაცხყოფებით წარიმართოს. ხოლო მაშინ, როცა პოლიტიკური პარტია რაიმე სიკეთეს აკეთებს, ეკლესია გვერდში უდგას. არ შეიძლება, ეკლესიას ჰქონდეს პოლიტიკური ორიენტაცია, თუმცა ჩვენც გაგვაჩნია სიმპათიები. ამიტომ, მოვედით, რათა დავლოცოთ დღევანდელი დღე, ზურაბ ჟვანია და ვუსურვოთ, რომ მისი პოლიტიკური ბრძოლა ყოფილიყოს პატიოსანი, ქრისტიანულ პრინციპებზე დაფუძნებული."**

**"რამ გვაიძულა ახალი ტიპის მოძრაობა წამოგვეწყო ჩვენს სამშობლოში? ეს არის, პირველ რიგში, შეშფოთება. შეშფოთება იმის გამო, რაც ელის ჩვენს ქვეყანას, ჩვენს საზოგადოებას, ჩვენს ხვალინდელ დღეს. როდესაც ჩვენ ვუყურებთ, რას სჩადის ხელისუფლება, განსაკუთრებით, ამ ბოლო თვეების განმავლობაში, როდესაც ჩვენ ვხედავთ, ხელისუფლება როგორ აქცევს ზურგს პენსიონერებს, ექიმებს, მასწავლებლებს, შეუძლია, დახუროს მისთვის არასასურველი დამოუკიდებელი ტელეკომპანია, არჩევნებში მონაწილეობის უფლება წაართვას ადამიანთა ჯგუფს, ჩვენ გვიპყრობს შეშფოთება. ხელისუფლებამ უარი თქვა, აელო პასუხისმგებლობა ამ ქვეყნის მომავალზე. დღეს დადგა პრინციპული მომენტი ჩვენი ერის ისტორიაში. ეს არის მომენტი, როდესაც ჩვენ, გაერთიანებულმა და ერთად მდგარმა ხალხმა, უნდა დავიცვათ და უზრუნველვყოთ ჩვენი მომავალი. დადგა არჩევანის მომენტი. არჩევანი თავისუფალ საქართველოსა და ოლიგარქიული კლანებით მართულ საქართველოს შორის. ჩვენ ყველამ, ვინც ამ დარბაზში ვართ, არჩევანი უკვე გავაკეთეთ თავისუფალი საქართველოს სასარგებლოდ",** - დაახლოებით ასეთი პათოსით იყო გაჟღენთილი თავად პარტიის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას გამოსვლა, რომელმაც დასასრულს ისიც განაცხადა, რომ **"ჩვენ დაუნდობელი ბრძოლა გველის იმ ჯგუფებთან, ვისაც სურს, კანფეტის კოლოფივით ჯიბეში ჩაიდოს საქართველო. მე დღეს კვლავ ვაცხადებ - ჩვენ ვიბრძოლებთ იმისათვის, რომ ეს ქვეყანა ეკუთვნოდეს ხალხს და არა ერთ მუჭა ადამიანებს".**

გუშინ არაფერი თქმულა პარტიის მომავალ პარტნიორებზე. "მრეწველთა" ლიდერი გოგი თოფაძე ფილარმონიიდან ისე გაუჩინარდა, რომ ტრიბუნასთან ასვლა არც უფიქრია. სამაგიეროდ, საკმაოდ ემოციური იყო "ნაციონალური მოძრაობის" თავკაცი მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც ხელისუფლების მხრიდან საკუთარი პარტიის დევნაშევიწროებასა და ქვეყანაში არსებული უდიდესი რესურსის გამოყენების აუცილებლობაზე ისაუბრა. სააკაშვილმა დასაწყისშივე მიანიშნა, რომ მიესალმება ახალი, დემოკრატიულ ღირებულებებზე ორიენტირებული პარტიის ჩამოყალიბებას, მზად არის თანამშრომლობისათვის, მაგრამ მასთან გაერთიანებას არ აპირებს.

**"აქ იმისთვის არ მოვსულვარ, რომ გავერთიანებულიყავი ამ ახალ ძალასთან. მე ვარ ბევრად უფრო მრავალრიცხოვანი და ძლიერი ძალის ლიდერი. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვითანამშრომლებთ უფრო მცირე, მაგრამ მეგობრულად განწყობილ პარტიებთან საქართველოში. უნდა შეიცვალოს ეს ხელისუფლება და მოვიდეს დემოკრატიული ძალა, რომელიც დაეყრდნობა ხალხის ნებას და არა ვიწრო ჯგუფის ოლიგარქიულ ინტერესებს",** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას მიხეილ სააკაშვილმა. რაც შეეხება სხვა სავარაუდო პარტნიორებს, "გაერთიანებული დემოკრატები" "ტრადიციონალისტებთან" დაახლოებას გეგმავენ, მაგრამ, ჯერჯერობით, ინტენსიური კონსულტაციები არ დაწყებულა.



პარტიის დამფუძნებელ ყრილობაზე.



იური ლობოდინის ფოტოები

# „მართლა? ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს..."

## ასეთია გია ბარამიძის კომენტარი "მოქალაქეთა კავშირის" რეანიმაციაზე

პირველი გვერდიდან

**"ვიცი, პრეზიდენტს რა იმპულსებიც ამოძრავებს..."** - ესმის შევარდნაძის მდგომარეობა "შერეკილების" ავტორს, ელდარ შენგელაიას. პრეზიდენტის მამოძრავებელ "ძირითად იმპულსად" შენგელაიას სახელისუფლო პარტიის შექმნა მიაჩნია. მაგრამ "მოქკავშირის" მკვდრეთით აღდგომის არ სჯერა და პრეზიდენტსაც ურჩევს, შეეშვას ამ უტოპიურ იდეებს, რადგან ასე **"შორს ვერ გაფრინდება"...**

"მოქალაქეთა კავშირი" დიდი ხნის წინ გამოიგლოვა მიხეილ მაჭავარიანმაც. იმავე ნაბიჯისკენ მოუწოდებს "მოქკავშირის" ამჟამინდელ წევრებსაც, **"არაკოორდინირებული მთავრობის"** თავკაცს, ავთანდილ ჯორბენაძეს კი რჩევას აძლევს: გარეშე საქმეებით ნაკლებად დაიტვირთოს და მთავრობასა და იმ ოთხი თვის ბიუჯეტს მიხედოს, რომლის შესრულების ვალდებულება თავის თავზე აიღო და ვერ შეასრულა. **"მათ ადგილას ამ პარტიას დავხურავდი და ხმამაღლა გამოვაცხადებდი: "აბა, ყველანი წავედით..."** - არ ცხრება მაჭავარიანი.

"მოქალაქეთა კავშირი" არსად წასვლას არ აპირებს. მის რეანიმატოლოგად ყოფილი ჯანდაცვის მინისტრი ინიშნება. პარტია განახლებას აპირებს და კიდევ იტყვის თავის სათქმელს ქართულ პოლიტიკაში. ყოველ შემთხვევაში, ირაკლი გოგავას ამის იმედი ნამდვილად აქვს. მისი თქმით, ახალი "მოქალაქეთა კავშირი" საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ფენის დასაყრდენი გახდება. **"ეს რეალურად იქნება არა პარტია, არამედ მოძრაობა, რომლის გამაერთიანებელ იდეად ქართული სახელმწიფოებრიობა იქცევა,"** - აცხადებს გოგავა. ზურაბ ჟვანიასა და მის "დემოკრატებს" გოგავა დადებითად აფასებს. მისი აზრით, მას შემდეგ, რაც ჟვანიამ, დიდი მცდელობების მიუხედავად, შევარდნაძეს პარტია ვერ წაართვა, ახალი პარტიის შექმნა ოპტიმალური გადაწყვეტილებაა.

2 ივნისის არჩევნებში განცდილი კრახის მიუხედავად, საკუთარი პარტიის ფერფლიდან აღდგომისა გელა კვარაცხელიასაც სჯერა. მისი თქმით, 2 ივნისის შედეგები არაფერზე მეტყველებს, რადგან ეს არჩევნები სხვა რეალობაში ჩატარდა. კვარაცხელიას თქმით, პარტიამ ამოისუნთქა, როცა მისი რიგები **"ზოგ-ზოგიერთებმა"** მიატოვეს, რომლებიც პარტიას მხოლოდ თავიანთი მერკანტილური მიზნებისთვის იყენებდნენ. **"ჩვენ მივცემთ შეფასებას ყველა იმ მოვლენას, რაც პარტიის გარშემო ბოლო პერიოდში დატრიალდა,"** - იმუქრება გელა კვარაცხელია, რომელმაც, შესაძლოა, პარტიის გენერალურ მდივნობასაც გამოჰკრას ხელი. **"არ შეიძლება, პატარა ჯგუფმა უზურპაცია გაუკეთოს პარტიას და შემდეგ საპასუხისმგებლო მომენტში მიატოვოს იგი."** - აცხადებს იგი. ჟვანიას გუნდის წარმატების კი კვარაცხელიას არ სჯერა და აცხადებს, რომ ახლადშექმნილი "დემოკრატები" მოკლე პერსპექტივაზეა გათვლილი.

# ედუარდ შევარდნაძე რუს სამშვიდობოებს „არ უშვებს"

## თამაზ ნადარეიშვილი კი გადახალისებული პარტიზანული კორპუსით იმუქრება

გიორგი ასანიშვილი

*თვეზე ცოტა მეტი რჩება აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში მყოფი რუსული სამშვიდობო ძალების უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე. პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს მიაჩნია, რომ ამ ეტაპზე მათი გაყვანა დიდი შეცდომა იქნება, რადგან ეს აუცილებლად გამოიწვევს საომარი მოქმედებების განახლებას.*

**"შესაძლოა, ომი თავად რუსეთმა არ დაიწყოს, მაგრამ ჩრდილოკავკასიის ხალხებს რა გააჩერებს?"** - თავად სვამს კითხვას პრეზიდენტი და სწორედ ომის საშიშროებით ხსნის იმას, რომ არ ასრულებს საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებას (რომელიც საკანონმდებლო ორგანომ, სხვათა შორის, მისი ნაქებზების შემდეგ მიიღო), აფხაზეთიდან რუსი ცისფერჩაფხუტიანების გაყვანის თაობაზე.

**"თავის დროზე, გალის რაიონში ცალკეული გამოხდომები ძალიან ძვირად დაგვიჯდა. მაშინდელი ვალებიდან დღესაც ვერ ამოვსულვართ, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ ადამიანთა წვალებასა და იმედგაცრუებაზე, რომლებიც გალში შევიდნენ და მერე იძულებულნი გახდნენ, უკან გამოქცეულიყვნენ. ვიდრე პრეზიდენტი ვარ, საქართველო ომს არ დაიწყებს,"** – ახლო წარსულის მწარე გამოცდილებით ამართლებს თავის პაციფისტურ დამოკიდებულებას შევარდნაძე. ქვეყნის ხელმძღვანელი მოუწოდებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს თამაზ ნადარეიშვილს, რომელიც, როგორც ცნობილია, რუსი სამშვიდობოების აფხაზეთიდან გაყვანას უპირობოდ მოითხოვს, რომ საკითხისადმი თავისი რადიკალური მიდგომა გადასინჯოს და პრობლემას რაციონალურად მიუდგეს.

შევარდნაძის შეგონებას ნადარეიშვილი ანგარიშს არ უწევს და პოზიციის შეცვლას არ აპირებს. **"1 აგვისტოს შემდეგ მოვხსნით მორატორიუმს საბრძოლო ოპერაციების განხორციელებაზე და გადახალისებული პარტიზანული კორპუსი ახალი ძალით ამოქმედდება. საერთოდ კი, მე პირიქით მგონია – თუ რუსის ჯარი დარჩება, საომარი მოქმედებების დაწყების შანსი მაშინ უფრო გაიზრდება,"** – აცხადებს აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების ხელმძღვანელი.

გუშინ გამართულ ბრიფინგზე ედუარდ შევარდნაძემ ის მოთხოვნები დაასახელა, რომელსაც ქართული მხარე რუსებთან მოლაპარაკებების დროს დააყენებს. ესენია:

კონფლიქტის ზონაში უსაფრთხოების არეალის გაზრდა 10 კილომეტრით; სამშვიდობო პროცესში, რუსეთის გარდა, დსთ-ს სხვა ქვეყნების ჩართვა; გალის რაიონში შერეული ქართულ-აფხაზური ადმინისტრაციის შექმნა. თუმცა აქვე, ალბათ, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ მოთხოვნების რეალიზებისთვის აფხაზური მხარის თანხმობაა აუცილებელი, რაც ნაკლებად სავარაუდოა.

საქართველოს პრეზიდენტი ბრიფინგზე აფხაზეთის სტატუსის საკითხსაც შეეხო. **"თუ მიგვაჩნია, რომ აფხაზეთის კონფლიქტი მოლაპარაკებების გზით უნდა მოგვარდეს, მაშინ სტატუსის თაობაზე რაიმე ჩანაწერის გაკეთება დაუშვებელია. თუ სტატუსს წინასწარ განვსაზღვრავთ და დავაკანონებთ, მოლაპარაკებები აზრს დაკარგავს და ჩაიშლება,"** – ამტკიცებს შევარდნაძე. იგი იმაშიც ღრმად არის დარწმუნებული, რომ აფხაზურ მხარესთან დიალოგის და პრობლემის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის პერსპექტივა, რეზერვი და რესურსი კიდევ არსებობს.

თამაზ ნადარეიშვილი პრეზიდენტს ამ საკითხშიც უწევს ოპონირებას და საპირისპიროს აცხადებს: **"არა მგონია, რაიმე რესურსი არსებობდეს. მე კარგად ვიცნობ აფხაზებთან მოლაპარაკებების დღის წესრიგს და შემიძლია ვთქვა, რომ ეს მოლაპარაკებები ჩვენთვის საზიანოა. შეხვედრების დროს აფხაზეთის სტატუსის ან ლტოლვილთა დაბრუნების საკითხები კი არ იხილება, არამედ ის, რომ, მაგალითად, უნდა აღდგეს სარკინიგზო მიმოსვლა, გარემონტდეს საავადმყოფოები, სკოლები, გზები, გაუმჯობესდეს ელექრომომარაგება და ა.შ. ანუ, საუბარია იმაზე, რაც სოხუმის სეპარატულ რეჟიმს მომძლავრების საშუალებას მისცემს. ასე რომ, ჯერ კიდევ საკითხავია, ვის აწყობს მოლაპარაკებები: რუსებსა და აფხაზებს – კი, ბატონო, მაგრამ ჩვენ?"**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელისთვის მიუღებელია, აგრეთვე, შევარდნაძის მოსაზრება სტატუსის შესახებ. **"თუ ვაღიარებთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და აფხაზეთი ჩვენი ქვეყნის განუყოფელ ნაწილად მიგვაჩნია, რატომ არ უნდა ჩაიწეროს ეს კონსტიტუციაში?"** – დაუსწრებლად ედავება პრეზიდენტს ნადარეიშვილი.

ბრიფინგის დროს ყურადღების მიღმა არ დარჩენილა დღეისთვის ისეთი აქტუალური თემა, როგორიც არის აფხაზებისთვის რუსული პასპორტების დარიგება. შევარდნაძე არ ადასტურებს გავრცელებულ ხმებს, თითქოს ამას სოხუმში გახსნილი რუსეთის საკონსულო აკეთებდეს, უფრო მეტიც, ასეთი დაწესებულების არსებობას ის საერთოდ უარყოფს და აცხადებს, რომ უკანონობას "ადამიანთა ერთი ჯგუფი" სჩადის. როგორც თავად ამბობს, პრეზიდენტი აპირებს, ამ საკითხზე ვლადიმირ პუტინს ტელეფონით ესაუბროს ან წერილობით მიმართოს.

# ავთანდილ ჯორბენაძე ახალი ამპლუით და ძველი ფუნქციებით

გიორგი ასანიშვილი

*მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარის პოსტზე ავთანდილ ჯორბენაძის ყოფნას, როგორც ჩანს, ფორმალური ხასიათი ექნება და ის მომავალშიც, ძირითადად, იმავე ფუნქციების შესრულებით იქნება დაკავებული, რომელიც დღეს მას, როგორც სახელმწიფო მინისტრს, აკისრია.*

ასეთი დასკვნის გაკეთების საფუძველს პრეზიდენტ შევარდნაძის მიერ გუშინდელ ბრიფინგზე გაკეთებული განცხადება იძლევა. შევარდნაძის თქმით, მომავალი თანამდებობა ჯორბენაძეს თავის ძირითად საქმიანობაში ხელს არ შეუშლის, რადგან რამდენიმე მოადგილე ეყოლება, რომლებზეც ძირითადი დატვირთვა და პარტიული დავალებები გადანაწილდება. გარდა ამისა, ორგანიზაციულ საკითხებს მიხედავს პარტიის გენერალური მდივანი (ამ თანამდებობაზე პარლამენტარი გელა კვარაცხელია მოიაზრება) და ყოველივე ამით სახელმწიფო მინისტრს ბევრი დრო გამოუთავისუფლდება.

საერთოდ, რატომ გაჩნდა დაღმავალ გზაზე მდგარი პოლიტიკური ორგანიზაციისთვის ახალი სულის შთაბერვის აუცლებლობა და რამ გამოიწვია ამ საქმეში პრეზიდენტის აქტიურობა? ამ კითხვაზე თავად შევარდნაძე ასეთ პასუხს იძლევა: **"ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში მოქალაქეთა კავშირი ქვეყნის სტაბილურობის გარანტი იყო. ამდენად, სმკ ღირსია, რომ უკვალოდ არ დაიკარგოს,"** – განმარტავს პრეზიდენტი, რომელიც, ამავე დროს, მოქკავშირის მიმართ თავის მორალურ ვალდებულებებზეც საუბრობს და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ამ პარტიაში ბევრი სწორედ მისი იქ ყოფნის გამო შევიდა.

ნიშნავს თუ არა პარტიულ ფრონტზე ავთანდილ ჯორბენაძის გადასროლა და მისთვის თავის გამოჩენის დამატებითი შესაძლებლობის მიცემა იმას, რომ დღევანდელ სახელმწიფო მინისტრს უმაღლესი თანამდებობისთვის – პრეზიდენტობისთვის - ამზადებენ? ამ კითხვაზე პასუხს შევარდნაძე თავს არიდებს და სმკ-ს მომავალი ლიდერის მხოლოდ ზოგადი დახასიათებით შემოიფარგლება: **"სახელმწიფო მინისტრის პოსტზე ავთანდილ ჯორბენაძემ მეტად გაბედულად და საქმიანად დაიწყო მუშაობა. იგი ყველა სიკეთის ღირსია."**

რამდენად არის შესაძლებელი "სიკეთესა" და "პრეზიდენტობას" შორის ტოლობის ნიშნის დასმა, მომავალი აჩვენებს. მით უმეტეს, შევარდნაძე თავად ბრძანებს: **"ადამიანები და სიტუაციები ხშირად იცვლებიან".**

# ნათელაშვილი თელასის წინააღმდეგ

## ლეიბორისტები „ეი-ი-ეს თელასს„ ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის დარღვევაში ადანაშაულებენ

სოფო კვინტრაძე

*ორშაბათს შემდგარი განმკარგულებელი სხდომა საკონსტიტუციო სასამართლოში მომხდარი სკანდალის შემდეგ შემრიგებლურ ხასიათს ატარებდა. ამჯერად, ლეიბორისტები ნაკლებემოციურნი იყვნენ და მხოლოდ მოსამართლეთა შეკითხვებს პასუხობდნენ. შალვა ნათელაშვილი კი სხდომაზე საერთოდ არ გამოცხადებულა.*

საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა, მიიღებდა თუ არა განსახილველად შალვა ნათელაშვილის კერძო სარჩელს "ეი-ი-ეს თელასის" წინააღმდეგ, რომელიც მოითხოვს სახელმწიფოსა და "ეი-ი-ესს" შორის დადებული ხელშეკრულების შეწყვეტას.

სარჩელში ნათქვამია, რომ ენერგეტიკის ობიექტების პრივატიზებით დაირღვა საქართველოს კონსტიტუციის მესამე მუხლის ი პუნქტი, სადაც მითითებულია, რომ ერთიანი ენერგეტიკული სისტემა უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობაშია. გარდა ამისა, სარჩელში განხილულია ხელშეკრულება "ეი-ი-ეს თელასსა" და ქონების მართვის სამინისტროს შორის, რომელიც ლეიბორისტების მიერ მონოპოლისტურადაა მიჩნეული. აგრეთვე, ნათელაშვილი ასაჩივრებს სემეკის 2001 წლის 14 ნოემბრის დადგენილებას ელექტროენერგიის ტარიფის 12,4 თეთრამდე გაზრდის თაობაზე. ყველა ზემოაღნიშნული საკითხი, ლეიბორისტთა აზრით, არღვევს საქართველოს მოქალაქეთა უფლებებს.

მოსამართლე იაკობ ფუტკარაძის განცხადებით, შალვა ნათელაშვილის კერძო სარჩელში საუბარია ზოგადად ადამიანის უფლებების დარღვევაზე და არა თავად ნათელაშვილის უფლებებზე. თუმცა, ნათელაშვილის წარმომადგენლის გიორგი გუგავას თქმით, ვინაიდან შალვა ნათელაშვილი არის იმ საზოგადოების წევრი, რომლის უფლებებსაც არღვევს ამერიკული კომპანია, თავისთავად იგულისხმება, რომ ლეიბორისტული პარტიის ლიდერის უფლებებიც შელახულია.

მოსამართლეები შეეცადნენ გაერკვიათ, თუ რამდენად არის "ეი-ი-ეს თელასსა" და სახელმწიფოს შორის დადებული ხელშეკრულება საკონსტიტუციო სასამართლოს განხილვის საგანი. გიორგი გუგავა დაეთანხმა სასამართლოს, რომ აღნიშნული ხელშეკრულება კერძო სამართლებრივი აქტია; თუმცა, გუგავას თქმით, ხელშეკრულება შეიცავს ნორმატიულ დებულებებს და, ამდენად, იგი უნდა გახდეს საკონსტიტუციო სასამართლოს განხილვის საგანი.



ნათელაშვილისა და ლეიბორისტების სარჩელზე გადაწყვეტილებას საკონსტიტუციო სასამართლო პარასკევს გამოიტანს.

ალექსანდრე კარტაშიანის ფოტო

მოსამართლეებმა და ლეიბორისტებმა საქართველოს კონსტიტუციის მეოცე მუხლზეც იდავეს, რომელიც მოქალაქეთათვის ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებების ხელშეუვალობას შეეხება. ნათელაშვილის სარჩელში ნათქვამია, რომ "ეი-ი-ეს თელასი" არღვევს აღნიშნულ მუხლს. მოსამართლე ფუტკარაძისთვის ეს საკითხი გაუგებარი აღმოჩნდა და მან განმარტება სთხოვა გიორგი გუგავას.

**"მაგალითად, კომპიუტერში მაქვს რაღაც ინფორმაცია, რომელზეც ვმუშაობ, ამ დროს გაითიშა დენი, ეს ინფორმაცია ხომ დაიკარგება? ე.ი. დაირღვა ჩემი უფლება ინფორმაციის ხელშეუვალობის თაობაზე,"** – განუმარტა სასამართლოს გიორგი გუგავამ.

მოსამართლე ბესარიონ ზოიძემ კი გუგავას ურჩია, დაისვენეთ და უფრო გონივრული პასუხები მიეცით სასამართლო კოლეგიასო. ლეიბორისტული პარტიის კიდევ ერთმა წარმომადგენელმა ზურაბ ჟვანიამ სასამართლოს განუცხადა, რომ "ეი-ი-ეს თელასი" არღვევს არა მარტო საქართველოს კონსტიტუციას, არამედ ევროპის "ადამიანის უფლებათა კონვენციასაც".

**"კონვენციის თანახმად, ყველა ადამიანს აქვს უფლება იმყოფებოდეს სხვებთან თანაბარ მდგომარეობაში. ვინაიდან საქართველო არის ევროსაბჭოს წევრი ქვეყანა, ეს ნიშნავს რომ ქართველებს უფლება აქვთ, იმყოფებოდნენ ევროპელებთან თანაბარ მდგომარეობაში. რაც აშკარად დარღვეულია, რადგან ჩვენთან ხელფასი არის 8 ლარი, ელექტროენერგიის გადასახადი კი - თორმეტნახევარი თეთრი. მოსახლეობის უმეტესობა გადახდის უუნაროა და, ამდენად, ქართველები ევროპელებთან არათანაბარ მდგომარეობაში იმყოფებიან. თუ ჩვენ ვაშენებთ დემოკრატიულ სახელმწიფოს დასავლური სტანდარტებით, მაშინ სახელმწიფოში უზრუნველყოფილი უნდა იყოს ადამიანის უფლებების დაცვაც,"** - განაცხადა ზურაბ ჟვანიამ.

საბოლოოდ, ჟვანიამ ბოდიში მოუხადა მოსამართლეებს წინა სხდომაზე მომხდარი ინცინდენტის გამო და იმედი გამოთქვა, რომ სასამართლო ობიექტურ გადაწყვეტილებას მიიღებს. სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ 21 ივნისს გახდება ცნობილი.

# ვინ გაათეთრებს საქართველოში „შავ ფულს„?

მანანა ხიდაშელი

*ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკაზე ბანკებს გარეთ მოძრავი ფულადი სახსრები ნეგატიურ გავლენას ახდენს. საწარმოები თუ ცალკეული პირები ნაღდი ანგარიშსწორების ფორმას ანიჭებენ უპირატესობას იმ დროს, როცა საქართველოში პლასტიკური ბარათების საკმაოდ განვითარებული ბაზარი არსებობს. თუმცა, ეს გასაგებიც არის, რადგან პლასტიკური ბარათის შეძენა სოლიდურ თანხებს უკავშირდება, ასეთი ბარათებით სარგებლობისას კლიენტს საბანკო მომსახურებისთვის გარკვეული პროცენტების გადახდაც უწევს. გარდა ამისა, ყველა სავაჭრო კომპანია უნაღდო ანგარიშსწორებისას საქონლის ღირებულებას ზრდის, რაც ასევე აზარალებს მომხმარებელს. თანაც, საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეს თუ გავითვალისწინებთ, პლასტიკური ბარათით სარგებლობა ცოტას თუ შეუძლია. პლასტიკურ ბარათებს საქართველოს მოსახლეობის ერთი პროცენტი იყენებს.*

*როგორც "24 საათის" წინა ნომრებში აღვნიშნეთ, პლასტიკური ბარათების ბაზრის რეგულირების მიზნით,* ეროვნული ბანკის ინიციატივით შეიქმნა "საქართველოს საგადასახადო სისტემების მართვის ეროვნული კომიტეტი", რომელსაც ბანკის პრეზიდენტი ირაკლი მანაგაძე უხელმძღვანელებს.

კომიტეტი 18 წევრისგან შედგება. მასში გაერთიანებული არიან ეროვნული ბანკის, ეკონომიკური ბლოკის სამინისტროების, ბანკების ასოციაციის, კომერციული ბანკების, თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის, საქართველოს საფონდო ბირჟის, სააქციო საზოგადოება "ჯორჯიან ქარდისა" და "უი-ეფ-სის" წარმომადგენლები. კომიტეტის მიზანია საგადამხდელო სისტემის დახვეწა და პლასტიკური ბარათების ბაზრის სრულყოფა. ეს უწყება საკანონმდებლო ინიციატივებსაც შეიმუშავებს. გუშინ ეროვნულ ბანკში კომიტეტის პირველი სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ირაკლი მანაგაძის თქმით, კომიტეტი საგადამხდელო სისტემის სტრატეგიის ჩამოყალიბებაზე იმუშავებს, რათა ქვეყანა არ ჩამორჩეს საგადასახადო სისტემაში მსოფლიოში მიმდინარე ისეთ თანამედროვე პროცესებს, როგორიც არის, მაგალითად, პლასტიკური ბარათებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა. **"მოგეხსენებათ, საქართველოში უამრავი ბანკი, ფასიანი ქაღალდების კომისია და სხვადასხვა დაინტერესებული უწყებაა. ჩვენი ამოცანაა, ამ სფეროში ერთიან სტრატეგიასა და კოორდინირებას მივაღწიოთ",** - აცხადებს მანაგაძე. მისივე თქმით, კომიტეტი იმუშავებს იმ მიმართულებით, რომ რაც შეიძლება სწრაფი და ეფექტური ანგარიშსწორება დაინერგოს ქვეყანაში.

კომიტეტის წევრი, საბანკო ასოციაციის თავმჯდომარე ზურაბ გვასალია აცხადებს, რომ საგადამხდელო სისტემებისა და საფინანსო ბაზრების სტაბილურობა ურთიერთკავშირშია. ამდენად, უნდა მოხდეს უნიფიცირება, რათა საგადამხდელო სისტემებში შეფერხება არ იყოს. **"ჩვენი ყველა მცდელობა იქითაა მიმართული, რომ ფულადი ნაკადი, რომელიც საბანკო სისტემის გარეთ მოძრაობს, საბანკო არხებში მოხვდეს და მათი ლეგალიზება მოხერხდეს,"** - აცხადებს ზურაბ გვასალია.

სააქციო საზოგადოება "ჯორჯიან ქარდის" ხელმძღვანელი ვალერი შარიქაძე კომიტეტის შექმნას მიესალმება. **"ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩვენი პლასტიკური ბარათებით სარგებლობის მასშტაბები სამ-ოთხჯერ გაიზარდა, მაგრამ ეს პროცესები უფრო დაჩქარდებოდა, საგადასახადო სისტემის სრულყოფის თვალსაზრისით კანონმდებლობაში ზოგიერთი ცვლილება რომ შესულიყო",** – აღნიშნა "ჯორჯიან ქარდის" ხელმძღვანელმა. მისი თქმით, კომიტეტში სამინისტროთა წარმომადგენლების შეყვანით, მთავრობაში სათანადო კანონპროექტების განხილვა დაჩქარდება. ვალერი შარიქაძის აზრით, ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია იმისთვის, რომ დაიხვეწოს საგადამხდელო სისტემაში არსებული პროცედურები და მეთოდები. თუმცა, მისი თქმით, საქართველოში ჯერ კიდევ შემორჩენილია სოციალისტური სისტემისას არსებული ანგარიშსწორების ფორმები.

# „ფაინენშელ თაიმსი„ შეიძლება, გაიყიდოს

გამომცემლობა Pearson უარყოფს ხმებს თავისი ფლაგმანური ბრენდის – გაზეთ "ფაინენშელ თაიმსის" -- გაყიდვის შესახებ. "სანამ ცოცხალი ვარ, ეს არ მოხდება", - განაცხადა Pearson-ის გენერალურმა დირექტორმა მარჯორი სკარდინომ პრესკონფერენციაზე, რომელიც სპეციალურად ამ საკითხს მიეძღვნა. ამის მიუხედავად, რამდენიმე გამომცემლობამ უკვე გამოთქვა გაზეთის ყიდვის სურვილი.

"ფაინენშელ თაიმსის" ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი ბოლო დროს გაზეთში განხორციელებულმა ცვლილებებმა გამოიწვია. გასული წლის ბოლოს გაზეთში ახალი მთავარი რედაქტორი ენდრიუ გოუვერსი მივიდა, რომელმაც, "ფაინენშელ თაიმსის" ბეჭდვითი და ონლაინ ვერსიების ინტეგრაციის მიზნით, აგრესიული პოლიტიკის გატარება დაიწყო. გროუვერსმა ამ პოსტზე რიჩარდ ლამბერტი შეცვალა, რომელსაც "ფაინენშელ თაიმსის" მთავარი რედაქტორის თანამდებობა 10 წლის მანძილზე ეკავა. თუმცა, "ფაინენშელ თაიმსის" ბანაკში საქმე რიგზე ვერაა და ეს იქიდანაც ჩანს, რომ ცოტა ხნის წინათ გამომცემლობა მაღალი რანგის რამდენიმე ხელმძღვანელმა დატოვა. გასულ კვირას ლონდონურ "თაიმსში" სამუშაოდ გადავიდა "ფაინენშელ თაიმსის" ამერიკული ვერსიის მთავარი რედაქტორი; იმავე პერიოდში პოსტი დატოვა "ფაინენშელ თაიმს – გრუფის" ხელმძღვანელმა. ამიერიდან იგი ერთ-ერთი მცირე გამომცემლობის პარტნიორია, რომელიც სპეციალიზებულ ჟურნალებს გამოსცემს.

გასულ კვირას "ფაინენშელ თაიმსში" განაცხადეს, რომ გეგმავენ აზიაში გაზეთის ახალი ვერსიის გამოშვებას და კომპანია გაზეთის ტირაჟს 100 ათასით გაზრდის. გაზეთის ტირაჟის 70 პროცენტი დიდი ბრიტანეთის ფარგლებს გარეთ ვრცელდება. არადა, ხუთი წლის წინათ ეს მაჩვენებელი მხოლოდ 35 პროცენტი იყო. გაზეთის საერთო ტირაჟი 501 ათასი ეგზემპლარია.

ტირაჟის ზრდის მიუხედავად, გამომცემლობა Pearson-ის აქციები დაცემას განაგრძობს. შარშან კომპანიის მოგება 12 პროცენტით დაეცა და 294 მლნ. გირვანქა სტერლინგი შეადგინა. ერთი წლით ადრე Pearson-მა 333 მლნ. გირვანქა სტერლინგი გამოიმუშავა. ხელმძღვანელობა მოგების ასეთ კლებას სარეკლამო თანხების შემცირებას უკავშირებს.

## ინფორმაცია

### „თბილგაზის„ რეაბილიტაციას 70-80 მილიონი დოლარი სჭირდება

***პრაიმ-ნიუსი.*** „სააქციო საზოგადოება "თბილგაზის" რეაბილიტაციისათვის 70-80 მილიონი აშშ დოლარია საჭირო და საწარმოში უმკაცრესი, რადიკალური ზომების განხორციელებაც გარდაუვალია," - განაცხადა გუშინ პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ტრადიციულ რადიოინტერვიუში.

მისი თქმით, ასეთი თანხის დაბანდება საქართველოს უახლოეს წლებში არ შეუძლია.

"ამასთან, მზადაა საინვესტიციო შეთანხმება ებრაულ-ამერიკულ კომპანია "ტაჰალთან," რომელიც აცხადებს, რომ დარგის გადარჩენას შეძლებს, - აღნიშნა პრეზიდენტმა, - უცხოური კომპანიის შესაძლებლობის გამოყენებით ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რათა მომავალ ზამთარს მოსახლეობას და საწარმოებს ბუნებრივი აირის პრობლემა არ შეექმნათ".

მისი ინფორმაციით, 1990-1995 წლებში "თბილგაზის" ინფრასტრუქტურა არ ფუნქციონირებდა და ამ პერიოდში ბევრი რამ გაიყიდა და გაიძარცვა.

შევარდნაძის თქმით, "1996 წელს საქართველოში განახლდა ბუნებრივი აირის იმპორტი, მაგრამ დარგის ზოგიერთი წარმომადგენლის უპასუხისმგებლობისა თუ ანგარების გამო, "თბილგაზის" მეურნეობის განადგურება გრძელდებოდა" .

### საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარეს ორი ახალი მოადგილე ჰყავს

***პრაიმ-ნიუსი.*** ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის ალექსანდრე ასლანიკაშვილის წარდგენით, გუშინ ფინანსთა მინისტრმა მირიან გოგიაშვილმა დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დანიშნა საგანგებო ლეგიონის ინფორმაციული უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი პაატა აბუთიძე, ხოლო მოადგილედ - დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის უფროსის მოადგილე ალექსანდრე ჩოჩია.

რაც შეეხება კიდევ ერთ მოადგილეს, დავით გალეგაშვილს, მისი განცხადება გათავისუფლების შესახებ გოგიაშვილმა არ დააკმაყოფილა.

პაატა აბუთიძეს დამთავრებული აქვს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ხოლო ალექსანდრე ჩოჩიას - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი. ამჟამად იგი უნივერსიტეტის ბანკებისა და ფინანსების მე-3 კურსის სტუდენტია.

### გერმანიაში ეკონომიკური კრიზისი გრძელდება

გერმანიაში მანქანათმშენებლების მასობრივი გაფიცვა მიმდინარეობს. გაფიცვა ბერლინელმა და ჰამბურგელმა მანქანათმშენებლებმა დაიწყეს, მაგრამ მალე მათ ქვეყნის ყველა კუთხიდან შეუერთდნენ კოლეგები. მანქანათმშენებელთა პროფკავშირები ხელფასების 4,5 პროცენტით გაზრდას მოითხოვენ. თუ გავითვალისწინებთ, რომ გერმანიის ბიუჯეტის დეფიციტი ევროპის სავალუტო კავშირის მიერ დადგენილ "წითელ ხაზს" ისედაც უახლოვდება, 900 ათასი მუშისთვის ხელფასის მომატება ინფლაციის ტემპებს ნამდვილად გაზრდის.

საერთო ეკონომიკური კრიზისის შედეგად, გერმანიაში მანქანათმშენებლობა ძალიან დაზარალდა. ჯერ კიდევ წლის დასაწყისში ერთ-ერთი უმსხვილესი მანქანათმშენებელი კომპანია გაკოტრდა.

როგორც ჩანს, პროფკავშირებს შემთხვევით არ ამოურჩევიათ დრო გაფიცვების მოსაწყობად - კანცლერის არჩევნებამდე ას დღეზე ნაკლები რჩება. მანქანათმშენებელთა გაფიცვებმა კი, შესაძლოა, სერიოზული ზიანი მიაყენოს გერჰარდ შრიოდერის რეიტინგს.

### შვეიცარიის ბანკებს 50 მილიარდი დოლარის გადახდა მოუწევთ

ორშაბათს ნიუ-იორკში იწყება სასამართლო პროცესი უმსხვილესი შვეიცარული ბანკების UBS-ის, Credit Suisse –ისა და ამერიკული Citibank-ის წინააღმდეგ. ერთ-ერთმა წამყვანმა ამერიკელმა იურისტმა ედ ფეიგანმა მათ წინააღმდეგ ამერიკის სასამართლოში სარჩელი შეიტანა სამხრეთ აფრიკის მოქალაქეების სახელით, რომლებიც აპარტეიდის, ანუ რასობრივი დისკრიმინაციის პერიოდში იტანჯებოდნენ. სარჩელის მიხედვით, აღნიშნული ბანკები მოგებებს იღებდნენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში განხორციელებული ბიზნეს-ოპერაციებისაგან, მაშინ, როდესაც ქვეყანა იმყოფებოდა სანქციის რეჟიმში, რომელიც სწორედ აპარტეიდის პოლიტიკასთან დაკავშირებით შემოიღო გაერომ. სამხრეთ აფრიკელი ადამიანის უფლებათა დამცველები აცხადებენ, რომ ბანკების მხარდაჭერა რომ არა, აპარტეიდი მათ ქვეყანაში გაცილებით ადრე დამარცხდებოდა.

ედ ფეიგანი ჯერჯერობით არ ასახელებს, თუ რა თანხის კომპენსაცია დაეკისრებათ ბანკებს, მაგრამ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ საკომპენსაციო თანხამ, შესაძლოა, 80 მილიარდი შვეიცარული ფრანკი, ანუ 50 მილიარდი დოლარი შეადგინოს.

### რუსეთის ხელისუფლება მოსახლეობასთან დაახლოებას ინტერნეტით ცდილობს

რუსეთის მთავრობის ოფიციალური საიტი კიდევ ერთ ნაბიჯს დგამს ვირტუალობისაკენ. საიტის ახალი ვერსია დღეს იწყებს მუშაობას. გარდა იმისა, რომ საიტი ინფორმაციულობის თვალსაზრისით უფრო ტევადი გახდა, მის მთავარ სიახლედ მაინც ინტერაქტივის შემოღებას მიიჩნევენ. თეთრი სახლის აპარატში ამ სიახლეს განიხილავენ არა მარტო როგორც ტექნიკურ მოდერნიზაციას, არამედ როგორც პოლიტიკურ ნაბიჯს.

ამიერიდან რუსეთის მოსახლეობას შეუძლია, ინტერნეტის საშუალებით ეკონტაქტოს თავის ხელისუფლებას. მათ შეუძლიათ, ელექტრონულ მისამართზე შეკითხვები გაუგზავნონ პოლიტიკოსებს და მონაწილეობა მიიღონ ინტერნეტ-დისკუსიებში. თუმცა, ჯერჯერობით დისკუსიების თემატიკას სახელმწიფო ინფორმაციის დეპარტამენტი განსაზღვრავს.

როგორც რუსეთის პრესა აღნიშნავს, რუსებს გაუჩნდათ შანსი, თავიანთი უარყოფითი ემოციები ხელისუფლების მიმართ ინტერნეტის საშუალებით გამოამჟღავნონ.

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 12-18 ივნისის მდგომარეობით



მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

| | UK£ | US$ | €uro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.6774 | 0.6379 | 0.0054 |
| US$ | 1.4762 | | 0.9416 | 0.008 |
| €uro | 1.5677 | 1.062 | | 0.0085 |
| ¥en | 183.53 | 124.32 | 117.07 | |

2002 წლის 18 ივნისიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.0979 ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.2776 ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.4221 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.2200 ლარი |
| თურქული ლირა | 1 000 000 | 1.4015 ლარი |
| იაპონური იენი. | 10 | 0.1789 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0707 ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4563 ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.3818 ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 4.1639 ლარი |

# შარშან უცხოეთში 58 ბავშვი გააშვილეს, საქართველოში კი - 24

ნანა ქადაგიშვილი

საბჭოთა კანონმდებლობით, თუკი მშობელი სამშობიაროში მიტოვებულ ბავშვს 6 თვის განმავლობაში არ მიაკითხავდა, სახელმწიფოს მისი გაშვილების უფლება ჰქონდა. დღევანდელი კანონით კი, მიტოვებული ბავშვის გაშვილება მშობლის ნებართვის გარეშე არ შეიძლება. სანამ შსს-ს შესაბამისი სამსახური ბავშვის მშობელს არ იპოვის და მისგან ბავშვის გაშვილების ნებას არ მიიღებს, განათლების სამინისტროსა და ტერიტორიულ ორგანოებს გაშვილების ნება არ აქვთ. ეს კი განათლების ორგანოებს დიდ პრობლემას უქმნის, რადგან მშობლის მოძებნის პროცესი თვეობით გრძელდება.

**"როცა მშობელი შვილს სამშობიაროში ტოვებს, წესით, ბავშვის დაბადებიდან 6 კვირის განმავლობაში სამშობიაროში უნდა მივიდეს და ოფიციალურად განაცხადოს, რომ თანახმაა გაშვილებაზე, მაგრამ სამშობიაროდან წასული და, მით უმეტეს, გაპარული დედა უკან აღარ ბრუნდება. ამიტომ, კანონი მართლაც სერიოზულ პრობლემას გვიქმნის. შსს-მ მიტოვებული ბავშვის მშობელი ან უნდა იპოვოს და ხელწერილი დააწერინოს, ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად გამოაცხადოს და საქმე სასამართლოს გადასცეს. ორივე პროცესი კი დიდხანს ჭიანურდება, ამიტომ, ხშირად იძულებული ვხდებით, კანონი დავარღვიოთ. ამჟამად გვყავს 38 ბავშვი, რომელთა მშობლებსაც ვერ მივაკვლიეთ, მაგრამ, როგორც კი მათი შვილად აყვანის მსურველი გამოჩნდება, გავაშვილებთ",-** გვითხრა ბავშვთა გაოჯახების პროგრამის კოორდინატორმა თამარ ამზაშვილმა.

როგორც თბილისის განათლების საქალაქო განყოფილებაში ამბობენ, შვილად აყვანის შესახებ კანონის ზემოაღნიშნულ პუნქტს არც ისინი იცავენ. "შსს-ს რომ ველოდოთ, ბავშვები გაუშვილებელი დაგვრჩება. არის კიდევ ერთი საკითხიც, როცა დედა ბავშვს სამშობიაროში ტოვებს და გარბის, ბუნებრივია, რომ მას, ამ ამბის გახმაურება არ უნდა. ამიტომ, ჯობს, დედა ისევ ჩვენ მოვძებნოთ, ვიდრე პოლიცია დაადგეს თავზე", - გვითხრა განყოფილების მთავარმა სპეციალისტმა, მზია სამსანაძემ. შინაგან საქმეთა სამინისტროში კი განგვიცხადეს, რომ მიტოვებული ბავშვების მშობელთა მოძებნა არც ისე იოლია, როგორც ეს განათლების მუშაკებს წარმოუდგენიათ.

გამოდის, რომ განათლების ორგანოები კანონს არღვევენ, თუმცა, ამაში დიდ ცოდვას ვერ ხედავენ. "როცა ბავშვს მშობელი 6-7 თვის განმავლობაში არ მიაკითხავს, მის გაშვილებას მშობლის ნებართვა აღარ სჭირდება. ამ ბავშვის ბავშვთა სახლში დატოვება უფრო დიდი დანაშაულია, ვიდრე მისი გაშვილება. უბედურება ეს კი არა, ბავშვების საზღვარგარეთ გაშვილებაა. ამ საქმით დღეს საქართველოში ბევრი პიროვნება და უკანონო ორგანიზაციაა დაკავებული. ისინი, ფაქტობრივად, ბავშვებით ვაჭრობენ. ბავშვის უცხოეთში გაშვილება 15 ათასი ლარი ღირს. ამ ფულს ბავშვის მშობელი და შუამავალი ორგანიზაცია ან პიროვნება იყოფენ. უცხოეთში გაყიდული ბავშვების ბედი კი აღარავის აინტერესებს. მართალია, განათლების სამინისტროს ნებართვის გარეშე ბავშვს უცხოეთში ვერავინ გააშვილებს, მაგრამ, იძულებული ვართ, ნებართვა გავცეთ, რადგან გაშვილება მშობლის ნებართვით ხდება და ჩვენ ადამიანის უფლებებს ვერ დავარღვევთ. სამინისტრო მხოლოდ მშვილებელი უცხოური ოჯახის მიერ გამოგზავნილ საბუთებს ამოწმებს და თუ ამ ოჯახის პირობები ჩვენი კანონმდებლობის მოთხოვნებს აკმაყოფილებს, სამინისტრო იძულებულია, ნებართვა გასცეს. ეს კი არა, სამინისტროს ამ ოჯახის მიერ გამოგზავნილი საბუთების უსაფუძვლოდ შემოწმების ნებაც არა აქვს, რადგან ეს მათი უფლებების დარღვევაა. რაც ჩვენთვის ცნობილია, შარშან საზღვარგარეთ 58 ბავშვი გაშვილდა, საქართველოში კი – 24. ეს სასიამოვნო ფაქტი არ არის, მაგრამ ვერაფერს ვიზამთ", - გვითხრა თამარ ამზაშვილმა.



ალექსანდრე კარტაშიანის ფოტო

ახალმა კანონმა ბავშვის გაშვილების პროცესი იმიტომ გაართულა, რომ ბავშვის მშობლის ნებართვის გარეშე გაშვილების ფაქტები აღეკვეთა. თუმცა, ეს კანონი განათლების მუშაკებს ხელის შეწყობის მაგიერ სერიოზულ პრობლემებს უქმნის. ამასთან, ვერც ბავშვთა საზღვარგარეთ გაშვილების საკითხს არეგულირებს. როგორც განათლების მუშაკები აცხადებენ, უცხოეთში ბავშვის გასაშვილებლად მხოლოდ მშობლის ნებართვა საკმარისი არ უნდა იყოს და გაშვილებული პატარას მდგომარეობაც სისტემატურად უნდა მოწმდებოდეს, საქართველოს კანონმდებლობა კი საამისო მექანიზმებს ვერ ქმნის.

# სოფელ ორთაშენში თითო-ოროლა მართლმადიდებელიღა შემორჩა

ქეთი ქადაგიშვილი

16 ივნისს გორის რაიონის სოფელ ორთაშენში იეღოველთა მიერ ჩატარებულ თავყრილობას საპატრიარქომ გამომწვევი პროვოკაციული ქმედება უწოდა. სამთავისისა და გორის ეპისკოპოსის ანდრია გვაზავას თქმით, ამ სოფელში იეღოველთა შეკრებები ადრეც ხშირად იმართებოდა, მაგრამ ასეთი ფართომასშტაბური თავყრილობა პირველად ჩატარდა. შეკრებაზე საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან 2000-მდე იეღოველმა მოიყარა თავი. **"იქაური მართლმადიდებელი მოსახლეობა იეღოველთა ხმამაღალი ქადაგებებით გაბეზრებულია და საპატრიარქოსგან შესაბამისი ზომების მიღებას ითხოვს",** - აცხადებს მეუფე ანდრია. მისივე თქმით, სოფელ ორთაშენში მართლმადიდებელი მხოლოდ რამდენიმე ოჯახიღა დარჩა, დანარჩენი იეღოველები ყოფილან.

საპატრიარქოს საპარლამენტო მდივნის გიორგი ანდრიაძის თქმით, 20 ივნისს პარლამენტი რელიგიის შესახებ კანონპროექტს განიხილავს. ამ კანონპროექტით, მსგავსი შეკრებები არ იკრძალება, ამიტომ საპატრიარქო მოითხოვს, რომ პარლამენტმა კანონპროექტში ცვლილებები შეიტანოს და სექტებს თავყრილობების მოწყობა კანონიერად აეკრძალოთ. **"იუსტიციის სამინისტრომ ეს კანონპროექტი, ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზების გამო, საპატრიარქოს გარეშე შეიმუშავა. იმედი გვაქვს, ჩვენს მოთხოვნებს პარლამენტი მაინც გაითვალისწინებს. წინააღმდეგ შემთხვევაში მსგავსი შეკრებები სერიოზულ დაპირისპირებებში გადაიზრდება",** - ამბობს ანდრიაძე.

# ვიღაცა ფულს შოულობს, ჩვენ კი ნაგავში ვსხედვართ

თამარ მაისურაძე

გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მაგრამ ნაგავი დიდი ფულის წყარო ყოფილა. ამ განცხადებამ საზოგადოება შეიძლება შოკში ჩააგდოს, მაგრამ უფრო შთამბეჭდავი საქართველოს "მწვანეების" ახალი იდეაა, რომლის მიხედვითაც ეს უკანასკნელნი მოსახლეობისგან ნაგავში ფულის გადახდას ითხოვენ.

გუშინ "მწვანეთა პარტიის" ოფისში გამართული პრესკონფერენცია ქართულ ნაგავსა და ნაგავსაყრელებს მიეძღვნა. **"ჩვენთან, როგორც ყველაფერი, ნაგვისა და ნაგავსაყრელების ბედიც თავდაყირა დგას. არსებობს საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებმაც დაიწყეს საერთაშორისო აქცია ნაგვის ნარჩენების წვით გადამუშავების წინააღმდეგ. საქართველოსთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია. თბილისში ოფიციალურად 4 ნაგავსაყრელია, რომლებიც სანიტარული ნორმების დარღვევით ფუნქციონირებს. სრული ანარქიაა, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევს, რადგან ანარქიაში ძალიან ბევრი ფული კეთდება. ცალკე პრობლემა ის არის, რომ ნაგავსაყრელების მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებლები ამ ნაგავსაყრელებზე კვებავენ შინაურ ცხოველებს. ხორცი კი, თავისუფლად შეიძლება, ბაზარში გაყიდონ,"** – გვითხრა "მწვანეთა პარტიის" ლიდერმა გიორგი გაჩეჩილაძემ.

არადა, გაჩეჩილაძის თქმით, თბილისის მერია ქალაქის დასუფთავების სამსახურისთვის ბიუჯეტიდან წელიწადში დაახლოებით 9 მილიონ ლარს გამოყოფს. სად მიდის ეს ფული, "მწვანეთა" ლიდერისთვის გაუგებარია. **"ქალაქიდან ნაგვის გატანას დღეში 385 მანქანა უნდა ემსახურებოდეს. შესაბამისი სამსახურები აცხადებენ, რომ მხოლოდ 200 მანქანაა მუშა მდგომარეობაში. თუმცა, ქალაქიდან ნაგვის გატანის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, 200 მანქანის მუშაობის საკითხიც ეჭვქვეშ დგება,"** – აცხადებს იგი.

ქალაქის დასუფთავების სამსახურის პასუხი ნაცნობი და უცვლელია: ფული არ არის. ბიუჯეტზე ჩამოკიდებულებს, თავს ზემოთ ძალა არ აქვთ. **"იქ, სადაც ფულის ინტერესია, საკითხი არასოდეს მოგვარდება. ყოველ შემთხვევაში, ყოველთვის იქნება იმის მცდელობა, რომ არ მოგვარდეს, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვიღაცა ფულს ჯიბეში ვეღარ ჩაიდებს. არ შეიძლება, ვიღაცა ფულს შოულობდეს, ჩვენ კი ნაგავში ვისხდეთ,"** – ამბობს გაჩეჩილაძე და ასეთ გამოსავალს გვთავაზობს: მისი აზრით, მოვიდა დრო, რომ ნაგავი ფასიანი გავხადოთ. ნაგავსაყრელები გახდეს კერძო, რომელიმე შპს-ს დაევალოს მათი პატრონობა. შპს დაინტერესებული იქნება, უფრო მეტი საყოფაცხოვრებო ან სხვა ნარჩენი ნაგავი მიიღოს, რის გატანაშიც მოსახლეობა ფულს გადაუხდის. ამავდროულად, საგადასახადო კოდექსში ცვლილებები უნდა შევიდეს. შპს-ები უნდა გათავისუფლდნენ ნაგავსაყრელ ტერიტორიაზე მიწის, ელექტროენერგიისა და სხვა გადასახადებისგან. ამდენად, მოსახლეობასაც ნაგვის გასატანად მცირე თანხის გადახდა მოუწევს. ჩვენი მოქალაქეები მაინც აგროვებენ ფულს ნაგვის გასატანად, კერძო პირის მფლობელობაში მყოფი ორგანიზაცია კი დროულ და ნორმალურ სანიტარულ პირობებს შექმნის. ნაგვის ნარჩენების დახარისხებისა და მისი რეალიზაციის შედეგად, შპს-ს პარალელურად შემოსავლის სხვა წყაროც ექნება. მით უმეტეს, რომ დღეს ჩვენთან ნაგვის გადამამუშავებელი მრავალი საწარმო უფუნქციოდ დარჩენილი ყოფილა.

# ნარკომანები ქველმოქმედების ამარა

თამარ მაისურაძე

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოში 150-200 ათასამდე ნარკომანია. ზუსტ რიცხვს, სამწუხაროდ, ვერავინ ასახელებს. მიზეზი - მოუწესრიგებელი კანონმდებლობა, რომლითაც ნარკომანიასთან და ნარკობიზნესთან მებრძოლი ოფიციალური სტრუქტურები ხელმძღვანელობენ.

თბილისის ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი ამბობს, რომ ნარკომანების განკურნება შესაძლებელია, მაგრამ, რად გინდა? ცენტრში, დღის განმავლობაში, 2-3 პაციენტი თუ მიდის. ამის მთავარი მიზეზი ფასიანი მკურნალობაა. ცენტრის ხელმძღვანელის, გელა ლეჟავას თქმით, მკურნალობის დასაწყისი, ეგრეთ წოდებული "ლომკის" მოხსნა, დაახლოებით, 600-700 ლარამდე ღირს. **"ამ დროს ავადმყოფი 2 კვირის განმავლობაში სტაციონარშია. ამის შემდეგ იწყება სერიოზული მკურნალობა - სამედიცინო რეაბილიტაცია. მკურნალობის ხანგრძლივობა ინდივიდუალურია, აქედან გამომდინარე, განსხვავებულიც. სიძვირის გამო, ავადმყოფები, პრაქტიკულად, არ მოდიან. შესაბამისად, გავრცელდა სახლში მკურნალობა, რაც მკურნალობის ნახევარი ფასი ჯდება. იმკურნალებენ სახლში, ჩაიტარებენ ერთ კურსს, მერე გავლენ ქუჩაში და... საკმარისია, ნარკომანი შეხვდეს იმას, ვისთანაც "წამალს" იკეთებდა, რომ მაშინვე "ლომკა" დაეწყება. ამიტომ არის აუცილებელი სტაციონარში მკურნალობა. თუ ნარკომანი ნარკოტიკის გარეშე ორი წელი გაძლებს, შეიძლება განკურნებული ვუწოდოთ,"** - გვითხრა გელა ლეჟავამ.

ცენტრის ხელმძღვანელმა გამოჯანმრთელებული პაციენტების რიცხვი ანონიმურობის დაცვის მოტივით არ გვითხრა. ცნობილი ფაქტია - ნარკომანების გარკვეული ნაწილი ნარკოლოგიურ ცენტრში სამკურნალოდ პოლიციის შიშით ვერ მიდის. სახელმწიფო დაფინანსება ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრს ძალიან მცირე აქვს და მისთვის ხელის გამართვას არც კერძო სტრუქტურები ცდილობენ. **"არ არსებობს ნარკომანიაზე უფრო ტრაგიკული სოციალური მოვლენა, ერთხელ მაინც განუხილავს ეს თემა ჩვენს პარლამენტს?"** - ამბობს გელა ლეჟავა. გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოებრივი ფონდი "თბილისი ნარკოტიკების გარეშე", რომელმაც სულ ახლახან ცენტრს 1000 ლარი გადაურიცხა. ამ თანხით ორი ნარკომანს უმკურნალეს. ახლად დაარსებული ფონდი მომავალშიც აპირებს საქმიანობის გაგრძელებას. მის საქმიანობას ცენტრის ხელმძღვანელი დადებითად აფასებს. **"ფონდის გეგმები მოსაწონი და მისაღებია, მთავარია, განახორციელონ,"** - აცხადებს იგი.

ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის გეგმებზე სპეციალისტები 25-26 ივნისს დაგეგმილ სპეციალურ ღონისძიებაზე ისაუბრებენ. კონფერენცია - "კავკასია ნარკოტიკების გარეშე" - თბილისში გაიმართება. იქამდე, ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი სასიხარულო ინფორმაციას გვაცნობს: ბოლო პერიოდში, თურმე, ჰეროინის მომხმარებელთა რიცხვმა იკლო, რასაც პოლიციელები პანკისის ხეობაში მათი გაძლიერებული მუშაობით ხსნიან.

## ორი სიტყვით

# თბილისში თხევადი გაზით ვაჭრობა ვერ აკრძალეს

თხევადი გაზით ვაჭრობის აკრძალვის მიუხედავად, გასულ კვირას თბილისში გაზი მაინც აფეთქდა, რასაც, სამწუხაროდ, მსხვერპლიც მოჰყვა. როგორც ქალაქის მერი ამბობს, მერიაში შექმნილი კომისია სასწრაფოდ შეისწავლის აფეთქების გამომწვევ მიზეზებს.

# როდემდე უნდა ვისხდეთ ქურში?!

## საქართველოს ისტორიის პირველი ელექტრონული გაკვეთილები

გიორგი გახელაძე

**"ჯერ კიდევ სამი წლის წინათ, 26 მაისს თოჯინებივით მიგვიყვანეს პრეზიდენტთან. ვაჩვენეთ ეს გაკვეთილები და გადაირიენ. დაპირებებით აგვავსეს და როგორც თქვენ არ დაგხმარებიან, ისე ჩვენ. მხოლოდ სოროსის ფონდის დახმარებით შევძელით საქართველოში პირველად შეგვექმნა ჩვენი ქვეყნის ისტორიის ახალტექნოლოგიური გაკვეთილების პაკეტი,"** – სამართლიან აღშფოთებას არ მალავდა საკომპიუტერო ტექნოლოგიების სპეციალისტი სანდრო ჯავრიშვილი.

**"მაშინ ერთმა ჟურნალისტმა ამ ნამუშევარს ჩანთაში დარჩენილი გაკვეთილები უწოდა. მართალიც იყო. დღემდე მზა მასალის გამრავლება ვერ მოხერხდა,"** – სევდანარევი ირონიით ყვებოდა იდეისა და პროექტის ავტორი, მანანა შეყილაძე.

"ცოდნის ცენტრში" გუშინ 30 სკოლის ისტორიის მასწავლებელს ავტორებმა წარუდგინეს კომპაქტ-დისკი "საქართველოს ისტორიის გაკვეთილები: საქართველო ადრეანტიკურ ხანაში (ძვ.წ. VII-I სს.)". მულტი-მედია ტექნოლოგიების გაკვეთილზე გამოყენება ისტორიკოს მანანა შეყილაძის მონდომებით გახდება შესაძლებელი. 1997-98 წლებში სწორედ მან – თბილისის 47-ე სკოლის მაშინდელმა პედაგოგმა და "ტექინფორმის" თანამშრომელმა, სანდრო ჯავრიშვილმა დაიწყეს საქართველოს ისტორიის "გაკომპიუტერებული" გაკვეთილების შექმნა. უდავოდ, ეროვნულ და პროგრესულ საქმეს სოროსის, ანუ უცხოური ფონდი ტექნიკით დაეხმარა. 1,5 წლის განმავლობაში ავტორებს 5 ახალგაზრდა ცარიელ ენთუზიაზმზე ეხმარებოდა. გულდასაწყვეტია, რომ განათლების მესვეურებისაგან მათ იოტისოდენა ხელშეწყობაც კი არ ჰქონიათ.

ხუთიოდე წლის წინათ მანანა შეყილაძემ, პირველად დამოუკიდებელ საქართველოში, შექმნა და გამოსცა საქართველოს ისტორიის სასკოლო კედლის რუკები. მეზობლისგან პროცენტიანი ვალით გამოცემული რუკების სკოლებში გავრცელების უფლებასაც უზღუდავდნენ. ხარჯის დაფარვაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

ახლა უკვე არასამთავრობო ორგანიზაციის "განათლება და ახალი ტექნოლოგიები" ხელმძღვანელმა, მანანა შეყილაძემ იმავე ფონდის ხელშეწყობით, მე-7-11 კლასელებისათვის საქართველოს ისტორიის კონტურული რუკების უნიკალური ატლასიც შექმნა. უკვე 9 სკოლაში **"ბავშვებმა და, წარმოიდგინეთ, მშობლებმაც დიდი ხალისით აამეტყველეს ეს რუკები,"** – აღფრთოვანებას ვერ მალავდა 1-ლი კლასიკური გიმნაზიის პედაგოგი, თამარ ქაფიანიძე. **"როგორ ჩაატარეთ აპრობაცია?"** – უკმაყოფილოდ უკითხავს განათლების მინისტრის მოადგილეს ვლადიმერ სანაძეს. ერთი კია, სამინისტრო ენთუზიასტ ავტორს "დამხმარე მასალის" გრიფის მინიჭებას ჯერ არ ამადლის.

დღეს, მანანა შეყილაძე რუკებსა და კომპაქტ-დისკს ქუთაისის ყველა სკოლას წარუდგენს. ხმოვანი, ტექსტობრივი, ვიდეო თუ კარტოგრაფიული მასალებით ცოცხალ კინოდ ქცეული საქართველოს ისტორიის ელექტრონულ ვერსიას ჯერ 21 მაისს გაეცნო 30-მდე დირექტორი მთელი საქართველოდან. ახლა კი, ეტაპობრივად უშუალოდ მასწავლებლებს უტარდებათ სემინარები. დისკები ჩატანილია გორში, დუშეთში და ბორჯომშიც. საააპრობაციო სკოლებში ამ დისკებს მოსწავლეებსაც შესთავაზებენ ხელმოწერით. მისი ფასი 10 ლარს არ აღემატება და ეს მხოლოდ თვითღირებულების ნაწილია. **"სამინისტრო კი ისეთ მდგომარეობაში მაყენებს, თითქოს ვაშავებდე რამეს ან კარტოფილს ვყიდდე,"** – გულნატკენი, მაგრამ შეუპოვარია მანანა შეყილაძე.

**"საქართველოს ისტორია ათასწლეულების მანძილზე განუყრელად იყო დაკავშირებული სხვა ქვეყნებისა და ხალხების ისტორიებთან, განიცდიდა მათ ზემოქმედებას და თვითონაც ახდენდა მათზე გავლენას. ჩვენი ქვეყნის ისტორიის არც ერთი მონაკვეთი არ შექმნილა გარე სამყაროსგან იზოლირებულად და, შესაბამისად, არც მისი შესწავლა და სწორად გაგება იქნება შესაძლებელი მსოფლიო ისტორიული კონტექსტიდან მოწყვეტით,"** – საქართველოს ისტორიის სწავლებისადმი ასეთი მიდგომა განათლების სამინისტროს "აკადემიკოსების" შერისხვის ფასად დაუჯდა. არადა, ამას რეალურად ახორციელებს წარმოდგენილი პროექტი. გუშინ მას მხარს უბამდნენ სხვადასხვა სკოლის ისტორიის მასწავლებლები. **"მართალია, აბა ჭურში ხომ არ უნდა ვისხდეთ?"** – დაეთანხმა კონცეფციას მანანა შეყილაძე. განათლების სამინისტროს კი მტერ-მოყვრის გარჩევა გაუჭირდა.

კომპაქტ-დისკი უნიკალურია სამართლებრივი თვალსაზრისითაც. ვიდეო, ფოტო თუ სხვა უამრავი საკატალოგო ინფორმაცია და მთელი საპროგრამო უზრუნველყოფა საავტორო უფლებების სრული დაცვით არის გამოყენებული. მისი არც ერთი ელემენტი არ გახლავთ მითვისებული, "მშრალ ხიდთან" ნავაჭრი ან ინტერნეტით "გადაქაჩული".

# მესამედ მოსვლა
## ზურაბ ჟვანია და მისი გუნდი

პირველი გვერდიდან

### ინტერლუდია: გადამწყვეტი ბრძოლა შევარდნაძისთვის

იმდროინდელი შევარდნაძე ნაკლებად ჰგავდა მულტსერიალის კომიკურ პერსონაჟს და ალბათ თვითონაც ვერასდროს წარმოიდგენდა, ოდესმე პირდაპირ ტელეეთერში თუ განახორციელებდა სატელეფონო შეჭრას პოლიტიკური ოპონენტის გასაკრიტიკებლად. ყოფილი სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრი, პერესტროიკული დემოკრატიის ერთ-ერთი სიმბოლო, რომელიც, მთელ მსოფლიოში, ბერლინის კედლის დანგრევასა და საბჭოთა იმპერიის დაშლასთან უფრო ასოცირდებოდა, ვიდრე მისი ცეკას მდივნობის ჟამს ამავე იმპერიის ერთგულ მსახურებასთან, ფაქტობრივად ერთადერთი ფიგურა იყო, ვისაც შეეძლო მეტნაკლებად მაინც მოეხერხებინა დამანგრეველი პროცესების შეჩერება.

ყოფილი ანტიზვიადისტური ოპოზიცია შევარდნაძის დაბრუნების შემდეგ ორ ნაწილად გაიყო: ერთნი მასაც ოპოზიციაში ჩაუდგნენ და მუდმივად ადანაშაულებდნენ რუსეთის მიმართ კაპიტულანტურ პოლიტიკაში, სხვები კი ცდილობდნენ, ძველი ახალი ლიდერის პოლიტიკურ დასაყრდენად ქცეულიყვნენ. როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს საკმაოდ ჭრელი ძალები იყვნენ თავმოყრილი.. შეიძლება ითქვას, რომ იმ პერიოდის შევარდნაძისტები გაცილებით პრაგმატულები იყვნენ და გაცილებით ადექვატურად პასუხობდნენ საზოგადოების მოლოდინებს, ვიდრე ანტიშევარდნაძისტები. ქართული სახელმწიფოებრიობის მაგისტრალურ მიმართულებას მაშინ დიდწილად განსაზღვრავდა ის, თუ როგორ დასრულდებოდა ბრძოლა შევარდნაძისთვის, და ზურაბ ჟვანიაც ჩაება ამ ბრძოლაში.

თავიდან შევარდნაძის ფავორიტად უფრო ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მოიაზრებოდა, მაგრამ დსთ-ში საქართველოს გაწევრიანების შემდეგ დღის წესრიგში დადგა ახალი პოლიტიკური საყრდენის საჭიროება. ასე ჩამოყალიბდა "მოქალაქეთა კავშირი," რომელიც პრაქტიკულად ერთადერთი მოწოდებით გამოდიოდა: "შევარდნაძისტები მთელი ქვეყნისა, შეერთდით!"

ახალი პარტიის გენერალურ მდივნად ზურაბ ჟვანია დაინიშნა. ასეთი არჩევანი სრულიად ლოგიკური ჩანდა. პრორუსულობაში ბრალდების გასანეიტრალებლად შევარდნაძეს არანომენკლატურული, ეროვნული მოძრაობიდან მოსული კადრები ჭირდებოდა, თანაც, ჟვანია ანგარიშგასაწევ დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალად არ აღიქმებოდა და მოსალოდნელი იყო, რომ იგი მთლიანად შევარდნაძეზე იქნებოდა მიბმული.

მოქკავშირის გენმდივანის პოსტზე უკვე მკაფიოდ გამოვლინდა მწვანეთა ყოფილი ლიდერის არაორდინარული ნიჭიერება, ორგანიზატორული თვისებები და პოლიტიკური ალღო. ძველ თანაგუნდელებზე დაყრდნობით და შევარდნაძის ფაქტორის ოსტატური გამოყენებით მან მოახერხა, პარტიიდან გაერიყა იმ დროისათვის საკმაოდ გავლენიანი ფიგურები, რომლებიც ან რუსეთზე იყვნენ ორიენტირებული, ან ბანდფორმირებებთან ცდილობდნენ საერთო ენის გამონახვას, ან, ელემენტარულად, ოდიოზური რეპუტაციით სარგებლობდნენ: ვახტანგ გოგუაძე, ავთანდილ მარგიანი, დავით ზეიკიძე, ოთარ ფაცაცია, გიორგი ჟორჟოლიანი, ნესტან კირთაძე, ვახტანგ რჩეულიშვილი და სხვანი და სხვანი მაშინ შევარდნაძის პარტიის გარეთ დარჩნენ, თუმცა სურვილები და ამბიციები სრულიად საპირისპირო ჰქონდათ.

1995 წლის 29 აგვისტოს უშედეგო ტერაქტის შემდეგ, როდესაც ფორსირებულ ტემპში მოხდა დემორალიზებული ბანდფორმირებების განადგურება,. მიმოქცევაში შემოვიდა ეროვნული ვალუტა ლარი და გაჩნდა სტაბილიზაციის პირველი სიმპტომები, სახელმწიფო მეთაურის პოპულარობამ თავის პიკს მიაღწია და შემოდგომაზე ჩატარებული არჩევნები შევარდნაძისა და "მოქალაქეთა კავშირის" სრულ ტრიუმფად იქცა. გადამწყვეტი ბრძოლა შევარდნაძისთვის ჟვანიას გამარჯვებით მთავრდება.

### მოსვლა მეორე: უძღები მამის ძე შეცდომილი

ჩვენ შეგნებულად დავუთმეთ ამდენი ადგილი ჟვანიას სპიკერობამდელ წარსულს. პოლიტიკოსის კვალობაზე ძალიან ახალგაზრდა კაცი, შვიდი წელი ხელმძღვანელობდა საქართველოს პარლამენტს და მისი სახელი იმდენად ჩამკვიდრდა სახელისუფლო კონტექსტში, რომ დღეს ცოტას თუ ახსოვს, რა იყო მანამდე.

არადა ზურაბ ჟვანია ჯერ კიდევ მაშინ ავლენდა იმ დადებით და უარყოფით თვისებებს, რამაც მომავალში ყველა მისი წარმატება და მარცხი განაპირობა.

ჟვანიას აშკარა პლუსში შეიძლება ჩაითვალოს მისი ორგანიზატორული ნიჭი, მოლაპარაკებების წარმართვისა და დარწმუნების უნარი. მან არაჩვეულებრივად აითვისა ძალაუფლების ტექნოლოგიის ელემენტები, რის გარეშეც არ არსებობს სერიოზული პოლიტიკოსი, ხოლო თუკი პოლიტიკას კომპრომისების ხელოვნებად ჩავთვლით, მაშინ ზურაბ ჟვანიას ნამდვილად ეკუთვნის ხელოვანის წოდება.

მისი ნაკლოვანებები ადრეულ პერიოდში ღირსებებზე უფრო თვალსაჩინოდ ჩანდა. ჟვანია ვერასოდეს გრძნობდა კომფორტულად თავს ექსტრემალურ სიტუაციებში, 1989-1993 წლებში კი ქვეყანა პერმანენტულად ექსტრემალურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ის თანმიმდევრული რაციონალისტია, ცდილობს ყველაფერი გათვალოს და აწონ-დაწონოს, მაშინ, როცა პოლიტიკური რეალობა ხშირად რადიკალურ გადაწყვეტილებებს მოითხოვს. ჟვანიას ძალიან არ უყვარს ცალსახა არჩევანის წინაშე დგომა, როცა არსებობს ორი ალტერნატიული გადაწყვეტა და პრინციპული გადაწყვეტილებაა მისაღები. ამის გამო, მისი კომპრომისულობა არცთუ იშვიათად გადაიზრდება ხოლმე ელემენტარულ კონფორმიზმში, კონიუნქტურაზე ორიენტაცია კი ასევე ელემენტარულ "გადაგდებაში."

მისი ყველა ეს თვისება სრული სისავსით გამოვლინდა პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე. ერთის მხრივ, ჟვანიას ჰქონდა უდავო მიღწევები, რის გამოც სრულიად სამართლიანად შეიძინა რეფორმატორის იმიჯი: პარლამენტის როლის ზრდა და საკანონმდებლო საქმიანობის აქტივიზაცია, ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ევროსტრუქტურებთან კონტაქტების გაღრმავება უშუალოდ მისი ხელმძღვანელობით ხორციელდებოდა. ასპარეზზე გამოჩნდა ცნობილი "ჟვანიას გუნდიც," რომელიც დახავსებული ნომენკლატურის ფონზე კაშკაშა ვარსკვლავებივით გამოიყურება: გიორგი ბარამიძე, რეზო ადამია, ელენე თევდორაძე, ნინო ბურჯანაძე და, რასაკვირველია, მიხეილ სააკაშვილი, ყველაზე რადიკალი რეფორმატორი და ნათელი დემოკრატიული მომავლის ცოცხალი ხატი... პარლამენტის თავმჯდომარის გავლენა გეომეტრიული პროგრესიით იზრდებოდა და სახელმწიფოს მეორე პირი უკვე პრეზიდენტის ნომერ პირველ მემკვიდრედ განიხილებოდა.

ზურაბ ჟვანიამ ასევე ძალიან დიდი როლი ითამაშა თავისუფალი მასმედიისა და არასამთავრობო სექტორის გაძლიერებაში, თუმცა, პირველი დიდი შეცდომა მან სწორედ აქ დაუშვა.

თავისუფალი მასმედია და იმ დროისთვის ჯერ კიდევ "ახალი ხილი," არასამთავრობო სექტორი, თავისი ბუნებით ისედაც ჟვანიას პოლიტიკური მოკავშირეები იყვნენ. პარლამენტის თავმჯდომარე და მისი გუნდი ხომ დემოკრატიულ ღირებულებებზე ორიენტირებული ერთადერთი ძალას წარმოადგენდა ხელისუფლებაში, რომელსაც კონკურენციას ძირითადად ძველი პარტიულ-კომკავშირული გვარდია უწევდა. მაგრამ ხელშეწყობა თანდათანობით გაკონტროლების მცდელობამ შეცვალა. ამით ჟვანიას ზედმეტი უსიამოვნებების თავიდან აცილება და პრეზიდენტისთვის ძალის დემონსტრირება სურდა, მაგრამ ეს უკვე პრინციპულად სხვა თამაში იყო, რომელსაც დემოკრატიულ ღირებულებებთან საერთო არაფერი ჰქონდა.

შედეგი კი ის გახლდათ, რომ ჟვანიამ ვერც სამოქალაქო საზოგადოებაზე კონტროლის დამყარება შეძლო და შევარდნაძესთან მის მამა-შვილურ ურთიერთობებსაც წყალი შეუდგა. ნებისმიერი უფლებადამცველის კრიტიკულ გამოსვლაზე და ნებისმიერ კრიტიკულ პუბლიკაციაზე პრეზიდენტს ჟვანიას მიმართ სრულიად ლოგიკური კითხვა უჩნდებოდა: თუ ესენი შენი ხალხია, მაშინ მე რატომ მაგინებენ? ბუნებრივია, პარლამენტის თავმჯდომარის მოწინააღმდეგეები ამ მომენტს კარგად იყენებდნენ და მუდმივად ჩასჩიჩინებდნენ პრეზიდენტს მისი რჩეულის ორგულობაზე.

გარკვეულწილად მართალიც იყვნენ. რასაკვირველია, "პრეზიდენტის ღალატზე" ჟვანიას სერიოზულად არასდროს უფიქრია, მაგრამ ის ნამდვილად ორმაგ თამაშს თამაშობდა და არცთუ იშვიათად საკუთარი კორუმპირებულებით ანაცვლებდა სხვის, მათ შორის შევარდნაძის ოჯახის, კორუმპირებულებს.

სანამ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდა და სახელმწიფოებრივი სტრუქტურების ჩამოყალიბების პროცესი მიომდინარეობდა, ჟვანიას არათანმიმდევრულობა და პოლიტიკური კომპრომისები კორუმპირებულ კლანებთან, კიდევ შეიძლებოდა ტაქტიკური მოსაზრებებით ახსნილიყო, მაგრამ 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის უკვე ცხადი გახდა, რომ შევარდნაძის რეფორმატორული პოტენციალი ამოიწურა. გარდამავალი პერიოდი ფაქტობრივად დასასრულს მიუახლოვდა, პრეზიდენტს კი უკვე აღარ შეეძლო და აღარც სურდა დემოკრატიზაციის თვისებრივად ახალ ეტაპზე გადასვლა.

ჟვანიას სერიოზული შეცდომა ის იყო, რომ მან ვერ შეძლო ამ კრიტიკული მომენტისთვის ცალსახა არჩევანის გაკეთება. არსებობდა მხოლოდ ორი გამოსავალი: ერთის მხრივ, კლანებთან შეკვრა, სრული ლოიალობა პრეზიდენტის ოჯახის გავლენიანი წევრების მიმართ და კორუმპირებული ხელისუფლების ადვოკატობა საზღვარგარეთ; მეორეს მხრივ კი მიზანმიმართული დისტანცირება პრეზიდენტისგან და ოპოზიციაში გადასასვლელად მომზადება. პირველ შემთხვევაში მოხდებოდა ჟვანიას სრული იდენტიფიცირება არაპოპულარულ სისტემასთან და მისი რეიტინგის ნულამდე დაცემა, მაგრამ ამის სანაცვლოდ ის შეინარჩუნებდა მემკვიდრეობის შანსს; მეორე შემთხვევაში მისი რეიტინგი კი გაიზრდებოდა, მაგრამ აუცილებელი გახდებოდა პრაქტიკულად მთელი პარტიული სტრუქტურის და საკადრო შემადგენლობის გადაწყობა.

ზურაბ ჟვანიამ შეუთავსებლის შეთავსება მოინდომა და შეეცადა ორივე კარტი ერთდროულად გაეთამაშებინა, რაც, რასაკვირველია, არ გამოუვიდა. შეიძლება ითქვას, რომ ის სასახლის კარის ინტრიგებს გადაჰყვა და საბოლოოდ მაინც მოუწია პარლამენტის თავმჯდომარეობიდან წასვლაც, ოპოზიციაში გადასვლაც და პარტიის დათმობაც. უძღებმა მამამ ძე შეცდომილი განაგდო. თითქოს ყველაფერი დამთავრდა, მაგრამ ამ დროს შველა სწორედ იქიდან გამოჩნდა, საიდანაც ყველაზე ნაკლებად იყო მოსალოდნელი.

### მოსვლა მესამე: როცა ურემი გადაბრუნდება

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ზურაბ ჟვანიას მესამედ მოსვლა და მისი გუნდის წარმატება თბილისის არჩევნებში დიდწილად ისევ შევარდნაძის დამსახურებაა.

ბრძოლა "მოქალაქეთა კავშირისთვის," რომელიც ჟვანიამ თვითონვე წამოიწყო, იმთავითვე წაგებული ჰქონდა, რადგან მის წინააღმდეგ მთელი სახელისუფლებო რესურსები იქნა მობილიზებული. პრეზიდენტი ვითომ განზე გადგა და ჟვანიაზე მისი ყოფილი "მწვანე" თანაგუნდელი, ქვემო ქართლის გუბერნატორი მიუშვა, მაგრამ აქ არ იქნა გათვალისწინებული ორი არსებითი მომენტი: ჯერ ერთი, არჩევნების წინ ჟვანია ხელისუფლებისგან უსამართლოდ დაჩაგრული გამოჩნდა, რამაც განაპირობა საზოგადოების სიმპატია, გარდა ამისა, მამალაძე იმდენად უსიმპატიო ფიგურაა და მთელ ქართულ საზოგადოებაში ისეთი ოდიოზური რეპუტაციით სარგებლობს, რომ მის მტრობაზე უკეთეს რეკლამას პოლიტიკოსი ძნელად ინატრებს.

ზურაბ ჟვანიას გუნდმა წაიღო ანტისისტემურად განწყობილი იმ ამომრჩევლის ხმებიც, რომელიც დააფრთხო სააკაშვილის რადიკალიზმმა. საერთოდ ჟვანია-სააკაშვილის თემა ალბათ ცალკე განხილვას იმსახურებს, რადგან ეს აქტუალურია ორივე პოლიტიკოსისთვის, მაგრამ განსაკუთრებით აქტუალურია ზურაბ ჟვანიასთვის.

აქ მხოლოდ რამდენიმე არსებით მომენტზე შევჩერდებით. ჯერ ერთი, სააკაშვილისგან განსხვავებით, ჟვანია არ არის სახალხო ლიდერი და არც ქარიზმატიულობით გამოირჩევა. ის ტიპიური ელიტარია, რომლის მანერები, მეტყველების სტილი და რიტორიკა უცხოა საშუალო სტატისტიკური ქართველისთვის. სააკაშვილიც არ გამოირჩევა "ხალხური" იერით, შემთხვევითი არ არის, რომ აბსურდული და უზნეო ბრალდებები მათ არაქართულ წარმომავლობაზე, ამდენ ხანს რჩება "შავი" პროპაგანდის იარაღად. აბა, რეზო ადამიაზე ან კობა დავითაშვილზე რომ თქვას ვინმემ, ქართველი არ არისო, ამას არავინ მიიღებს სერიოზულად, რადგან ორივე მათგანის ჰაბიტუსი ზედმიწევნით შეესაბამება "საშუალო ქართულ სტანდარტებს." მიუხედავად ამისა, მიხეილ სააკაშვილის ქარიზმატიულობა და რადიკალური ანტისახელისუფლებო რიტორიკა მას გაცილებით უფრო მისაღებ ფიგურად ხდის მოსახლეობის უმრავლესობისთვის, ვიდრე ზურაბ ჟვანიას, რომელიც, გარდა იმისა, რომ "უცხოა," ბევრისთვის ჯერ კიდევ პროსისტემურ ფიგურად აღიქმება.

ზურაბ ჟვანია მხოლოდ ახალი თაობის ქართველი ინტელექტუალებისა და ბოჰემური წრეებისთვისაა "შინაური" ტიპაჟი, მაგრამ ეს საკმაოდ ვიწრო წრეა. ამიტომ ის არასდროს ყოფილა პოპულარული მასებში და არც დღეს არ არის. უფრო მეტიც, პრაქტიკულად ყველა თავის პოლიტიკურ აქტივობას ჟვანია მუდამ გარკვეულ ანგაჟირებულ წრეებზე აგებდა და ნაკლებად ითვალისწინებდა ფართო საზოგადოების შეხედულებებს და ინტერესებს. ჟვანია ძალიან ძლიერია ინტრიგებში და კულუარულ თამაშებში, მაგრამ მას რეალურად არ მოუსინჯავს ძალა საჯარო პოლიტიკაში. საჯარო პოლიტიკა ჟვანიასთვის უფრო პროპაგანდის საგანი იყო, ვიდრე პრინციპული პოზიცია, თუმცა, საამისო მონაცემები მას ნამდვილად აქვს და თუ მიზანმიმართულად იმუშავებს, გარკვეულ წარმატებასაც მიაღწევს.

ყველაზე დიდი საფრთხე, რაც დღეს ზურაბ ჟვანიას და მის ახალ პარტიას, "გაერთიანებულ დემოკრატებს" ელით, ესაა წარსულის ინერციით მოძრაობა. ჟვანიას მიდრეკილება კომპრომისებისკენ და კულუარული გარიგებებისკენ, ახლად შექმნილ პარტიას შეიძლება ძვირად დაუჯდეს. პროსისტემურად აღქმულ ძალას, დღეს, გაკოტრებული ხელისუფლების პირობებში არანაირი პოლიტიკური პერსპექტივა არა აქვს. ჟვანიასთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სახელისუფლო იმიჯისგან განთავისუფლება და პოლიტიკური პარტიის პრინციპულად ახალ საწყისებზე მოწყობა.

ეს არ არის ერთი დღის და ერთი თვის საქმე. ამას შესაბამისი ძალისხმევა და გარკვეული დრო სჭირდება. თუკი ჟვანია ჩათვლის, რომ თბილისის არჩევნებში მიღებული შვიდი პროცენტი მხოლოდ საწყისი კაპიტალია, ამან შეიძლება ძალიან სახიფათო ილუზიებშიც ჩააგდოს. გაცილებით უფრო დამაფიქრებელია ის, რომ ჟვანიას გუნდმა, რომელსაც თითქოს ძველი რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი გადმოჰყვა, ვერც ერთ რეგიონში ვერ მიაღწია წარმატებას.

ჟვანიასთვის ასევე მნიშვნელოვანი საფრთხეა მისი სტრატეგიული პარტნიორის, "ნაციონალური მოძრაობის" გაკონტროლების ცდუნება. თუკი გუშინ მიხეილ სააკაშვილი ჟვანიას გუნდის წევრი იყო და მისი პირველი წარმატებები მაშინდელი პარლამენტის თავმჯდომარის მიერ იყო ზურგგამაგრებული, დღეს სააკაშვილი რეალურად ისევე დაშორებულია ჟვანიას გავლენის ორბიტას, როგორც ძველი "მწვანე" და ახალი "წითელი" ლევან მამალაძე. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ მამალაძისგან განსხვავებით სააკაშვილი ობიექტურად ჟვანიას პარტნიორია და პირიქით. თუკი საპარლამენტო არჩევნებისთვის მათი ალიანსი შედგა, ამას მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება აზრი, თუკი ორივე პარტია მეტ-ნაკლებად განსხვავებულ ელექტორატს მოიზიდავს. ასე რომ, "ჟვანია-სააკაშვილის" ერთიანი გუნდის ლეგენდა რაც უფრო მალე მოკვდება, მით უკეთესი ორივესთვის.

ზურაბ ჟვანიას ურემი ერთხელ უკვე გადაბრუნდა და გზაც გამოჩნდა, დღეს მას თავისი პოლიტიკური კარიერის მანძილზე ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს, თუმცა არც ისე მაღალი, რომ თვითკმაყოფილებას მიეცეს და გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერობაზე განაცხადოს პრეტენზია. მის წინაშე უფრო საკუთარი გუნდის კრისტალიზირების, საკუთარი ახალი იმიჯის პოვნის პრობლემა დგას. ნიჭი და უნარი მას არ აკლია. მართალია, ძნელია, შვიდი წელი პრეზიდენტის მემკვიდრედ ითვლებოდე და ერთ მშვენიერ დღეს რიგით ოპოზიციონერად ჩამოქვეითდე, მაგრამ პოლიტიკა ხომ სპრინტი არ არის, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ათი წლის შემდეგ ზურაბ ჟვანია დაახლოებით იმ ასაკისა იქნება, რაც დღეს პოლიტიკისთვის ჯერ კიდევ ახალგაზრდა რეზო ადამიაა. ცხოვრება გრძელდება...



ჟვანიას გუნდის საარჩევნო კამპანია თბილისში.
იური ლობოდინის ფოტო



www.24hours.ge
24
B

# ფეხბურთის დისიდენტი

გიორგი გორგოძე

გაგანია მსოფლიო ჩემპიონატია, ქართველი გულშემატკივარი კი ისევ მხოლოდ გარედან მაცქერალის როლშია და ეგზოტიკური სენეგალი-კორეა-ეკვადორის ნაკრებების ყურებით შეიქცევს თავს. სადღაც გულის სიღრმეში კი იმ ფიქრის ჭია ღრღნის, რომ იყო დრო, როცა არც ჩვენ ვყოფილვართ ჯაბანნი, ჩვენაც ბურთი გვიგორებია... დღეს კი რა, დღევანდელი ქართული ფეხბურთის „ციცინათელების“ იშვიათი გაელვება შორსაა იმ ვარსკვლავთა ნათებისაგან, რომელთა შესახებ მინდა გესაუბროთ.

მითუმეტეს, საამისოდ ორი დიდი მიზეზი გვაქვს: დღეს, 18 ივნისს, დათო ყიფიანს 51 წელი შეუსრულდებოდა... მეორე ამბავი ის გახლავთ, რაზედაც თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა ძნელად თუ იოცნებებს ამ მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე 735-ვე ფეხბურთელი. ფიფას კონგრესმა ჩემპიონატის გახსნის წინა დღეს თავისი უმაღლესი ჯილდო- ღირსების ორდენი მიანიჭა დავით ყიფიანს. ეს ის „ღირსების ორდენი“ არ გეგონოთ, პენსიების მაგივრად რომ არიგებს ჩვენი ქვეყნის უსტაბაში, ეს მართლაც იშვიათი და ძალზე საპატიო ჯილდოა გარეგნულადაც (იხ. ფოტოზე) და, რა თქმა უნდა, მნიშვნელობითაც. ფიფას კონგრესი ამ საკითხს ორ წელიწადში ერთხელ განიხილავს და მხოლოდ მსოფლიო ფეხბურთში განსაკუთრებული დამსახურების მქონე ხუთ პიროვნებას ანიჭებს თავის უმაღლეს ჯილდოს. სხვათაშორის, წლევანდელ დაჯილდოებულ ხუთეულში დათო ყიფიანთან ერთად აღმოჩნდა კოფი ანანი- გაეროს გენერალური მდივანი. ეს მისთვის დიდი პატივია და მან ისიც კარგად იცის, რომ ფიფა თავის რიგებში 202 ქვეყანას აერთიანებს, ანუ ოცი ქვეყნით მეტს, ვიდრე თვით გაეროშია გაწევრიანებული!

ჯილდო დავით ყიფიანის ოჯახისათვის გადასაცემად სეულში მყოფმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ ჩაიბარა, რომელიც საოცრად ამაყი იყო მომხდარით. ამ დროს წინა რიგებში მის გვერდით მჯდომი ფეხბურთის დიდი ფრანგი მაესტრო-მიშელ პლატინი ბატონ მერაბთან საუბარში სიამოვნებით იგონებდა დათო ყიფიანის დიდებულ თამაშს...

დათო ყიფიანის სახელობის საერთაშორისო ფონდი მალე გამოსცემს წიგნს, რომლის რამდენიმე ფრაგმენტს დღეს გთავაზობთ.




*1980 წელი. "დინამო" თბილისი - "დინამო" კიევი. მატჩის წინ.*

ვარლამ გეგგიურის ფოტო

* * *

„მე ბრილიანტს ვერა ვცნობ, რომ ვნახო ქუჩაში დაგდებული, შეიძლება ფეხი დავარტყა და გადავაგდო, თუმცა ფასი მისი ვიცი. ვიცი, რომ ქვაა და მას ბრილიანტი ჰქვია და ღირს ძალიან ძვირი. მე მგონია, მე მეჩვენება, რომ ჩვენ, ქართველები, ცოცხალ ბრილიანტს ვერა ვცნობდით, თუმცა ფასი ვიცოდით...

ერთი ფილმისთვის საჭირო იყო, რომ მთავარი გმირი, რომელსაც მე ვთამაშობდი, ჩასულიყო ბრაზილიაში და გარინჩას საფლავი ენახა. ასე აღმოვჩნდით ბრაზილიის ერთი პატარა ქალაქის პატარა სასაფლაოზე. თარჯიმანს ვკითხეთ, თუ რა ეწერა გარინჩას საფლავის ქვაზე და მანაც მოგვითარგმნა პორტუგალიურიდან რუსულ ენაზე: „Здесь написано: Гаринча - Радость Народа - 1933-1983“. დიახ, გარინჩა - ხალხის სიხარული!

თუ არსებობს ვინმე კაცი ან რაიმე მანქანა, რომელიც აწონის ან გაზომავს იმ სიხარულებს, რომელიც დათოს ქართველი ხალხისათვის უჩუქებია, თუ არსებობს? არა!

ადამიანი იმ ცხოველთა რიგს მიეკუთვნება, რომლებიც ერთმანეთს მხოლოდ ცუდს უკეთებენ. იშვიათად თუ არიან ადამიანები, რომლებიც ამას არ აკეთებენ და მხოლოდ სიხარულს ჩუქნიან. აი, დათო, იმ იშვიათ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელიც მხოლოდ სიხარულს ჩუქნიდა და ჩუქნიდა!.. და ჩვენ ვიღებდით ამას, ვითომ ეს ასე უნდა იყოს...

მე მინდა დიდი მადლობა ვუთხრა დათოს სახელს და მის სულს იმ დიდი, აუწონავი და განუზომელი სიხარულებისთვის, რომელნიც მან პირადად მე, თქვენ და მთელ საქართველოს აჩუქა! შენს სულს დავლოცავ, დათო!..

**კახი კავსაძის გამოსვლიდან**
**დათო ყიფიანის გახსენების საღამოზე.**
**2001 წლის 18 ნოემბერს**
**შოთა რუსთაველის სახელობის**
**აკადემიურ თეატრში.**

* * *

არიან ადამიანები, რომლებიც განსაზღვრავენ საქართველოს სახეს. პირადად ჩემთვის ისინი არიან არა პოლიტიკოსები ან ბიზნესმენები, არმედ – მხატვრები, მსახიობები – ხალხი, რომელთაც შემოაქვთ ბედნიერება ჩვენს ცხოვრებაში და გვაძლევენ სიხარულის საფუძველს. იყო ამ ადამიანების თანამედროვე – ეს დიდი სიამოვნებაა. მე მიყვარდა დათო. სამწუხაროა, რომ მიწევს ლაპარაკი წარსულ დროში. მე მას ვაღმერთებდი, როგორც ფეხბურთელს, და ზედმიწევნით პატივს ვცემდი, როგორც პიროვნებას. დათო განასახიერებდა თავისუფლებას, თავისუფლებას საფეხბურთო მოედანზე, იმპროვიზების უნარს, რაც ფაქტობრივად შემოქმედებითი შრომაა. მისი ყურება სრული სიამოვნება იყო. ჩემთვის არ ჰქონდა მნიშვნელობა, იგებდა თბილისის "დინამო" თუ არა. დათოს მინდორზე ყოფნა გაცილებით დიდი რამ იყო, ვიდრე ფეხბურთი.

მე თვალყურს ვადევნებ ფეხბურთს 1964 წლიდან. მამაჩემს რეპორტაჟი მიჰყავდა კიევის სტადიონიდან სინიავსკისთან ერთად. და მე მეჩვენება, რომ მიყვარს და მესმის ფეხბურთი. მე მაოცებდა დათო, უმაღლესი ოსტატობით და არტისტიზმით. ვერც კი აღვწერ, რა გოლები გაჰქონდა. მე არ მახსოვს მატჩების შედეგები, მაგრამ ეს არ არის მნიშვნელოვანი იმიტომ, რომ ის იყო ხელოვანი, ფეხბურთის პროცესის დიდი ხელოვანი.

დათო იყო სულ სხვა, შეიძლება ითქვას, საუკეთესო და ყველასაგან განსხვავებული. ეს იყო ფეხბურთელი, რომელიც ქმნიდა. და, როგორც მეჩვენება, ის მინდორზეც ეული იყო, თუმცა ის თამაშობდა გუნდში. მისი ზოგჯერ არ ესმეოდათ პარტნიორებს, მაყურებლებს, მსაჯებს და მწვრთნელებს.

და საერთოდ, შთაბეჭდილება მრჩება, რომ ეს იყო დისიდენტი ფეხბურთში – სხვაგვარად მოაზროვნე, ამ ცნების საუკეთესო გაგებით...

**იური როსტის გამოსვლიდან**
**დათო ყიფიანის მემორიალური**
**დაფის გახსნაზე.**
**18 ნოემბერი, 2001 წელი, თბილისი.**

# ამერიკული სიურპრიზი




## მექსიკა 0:2 აშშ




**გოლები:** *0:1 მაკბრაიდი (8), 0:2 დონოვანი (65)*

**მსაჯი:** *ვიტორ მანუელ მელო პერეირა (პორტუგალია)*

**სტადიონი:** *ჩონჯუ*
*36380 მაყურებელი*

ამერიკის შეერთებული შტატების გუნდი გამოცანად რჩება. პოლონეთთან უსახური მატჩის შემდეგ ამერიკელებმა თავიანთ ქომაგებს გააზრებული თამაში უჩვენეს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მატჩის არბიტრს 1:0-ზე აშკარა თერთმეტმეტრიანი რომ შეენიშნა, შესაძლოა ამერიკელებს მოგება გასჭირვებოდათ. ასეა თუ ისე, ამერიკის ნაკრები მეოთხედფინალში გავიდა და ამ ეტაპზე გერმანიის გუნდს შეხვდება. "გერმანელთა ძალასა და გამოცდილებას თუ გავითვალისწინებთ, მატჩი უაღრესად რთული იქნება," – ამბობს აშშ-ის ნაკრების ფეხბურთელი, კობი ჯონსი.

**ხავიერ აგირე** (მექსიკის ნაკრების მწვრთნელი): "პირველ ტაიმში ჩემი გუნდის თამაშით კმაყოფილი დავრჩი. სამწუხაროდ, მსაჯმა ვერ შენიშნა, რომ ო`ბრაიენმა საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშა და პენალტი არ დანიშნა. ჯგუფური ტურნირისგან განსხვავებით, დღევანდელი მატჩი უმაღლეს დონეზე ვერ ჩავატარეთ. ამერიკელებმა დებიუტშივე გოლი გაგვიტანეს და შემდეგ, მთელი მატჩის განმავლობაში, სიცოცხლე გაგვიმწარეს. მუნდიალზე იმ იმედით ჩამოვედით, რომ 1994-1998 წლების შედეგი გაგვეუმჯობესებინა, სადაც მხოლოდ მერვედფინალში გავედით. ამაზე მეტს ვერც ახლა მივაღწიეთ, ამიტომ ამ ჩემპიონატზე ჩემი გუნდის გამოსვლით კმაყოფილი არ ვარ".

**ბრიუს არენა** (აშშ-ის ნაკრების მწვრთნელი): "დიდებული მატჩი იყო. ჩემმა გუნდმა შესანიშნავი ფეხბურთი აჩვენა. პოლონეთთან მატჩის შემდეგ გუნდი ოდნავ გადაღლილი მეჩვენა. ამის გამო შემადგენლობის გადახალისება გადავწყვიტე. მიხარია, რომ ამ ექსპერიმენტმა გაამართლა. მექსიკასთან მატჩის წინ სიტუაცია დაძაბული იყო, რადგან ჩვენ ძველი მეტოქეები ვართ, მაგრამ ახლა ყველაფერი მოწესრიგდა. მეოთხედფინალში თამაში გერმანელებთან გვიწევს. რა თქმა უნდა, უმძიმესი მატჩი იქნება, რადგან გერმანელებთან თამაში ყოველთვის ძნელია, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ ამ ბარიერსაც გადავლახავთ".



REUTERS

# ბრაზილია - კიდევ ერთი ნაბიჯი ფინალისკენ




## ბრაზილია 2:0 ბელგია




**გოლები:** *1:0 რივალდო (67`), 2:0 რონალდო (87`)*

**მსაჯი:** *პეტერ პრენდერგასტი (იამაიკა)*

**სტადიონი:** *კობ ვინგი*
*40440 მაყურებელი*

ბრაზილიის ნაკრები დინჯად მიუყვება ფინალისკენ მიმავალ გზას. ბელგიის წინააღმდეგ მატჩის დებიუტში სკოლარის გუნდი საკმაოდ უფერულ და ინერტულ ფეხბურთს თამაშობდა. საყაიმო ანგარიშიც სრულიად ლოგიკური იყო.

ჩემპიონატის დაწყებამდე ბრაზილიის ნაკრების მცველმა რობერტო კარლოსმა განაცხადა: "ჩვენთვის მთავარია შედეგი, ლამაზ თამაშს ნურავინ ელის". ალბათ, ამას უნდა დავაბრალოთ "სელესაოს" ბრაზილიელთათვის უჩვეულო პრაგმატული სტილი, რომელსაც ჯერჯერობით წარმატება მოაქვს.

გაამართლებს თუ არა სკოლარის ფილოსოფია ძლიერი გუნდების წინააღმდეგაც, როგორებსაც ბრაზილია ჯერ არ შეხვედრია, პარასკევს გამოჩნდება, როდესაც მას ინგლისის ნაკრებთან მოუწევს შეხვედრა.

**ლუის ფელიპე სკოლარი:** *"ფეხბურთელებისა და გულშემატკივრების ნერვიულობა შესამჩნევი იყო. მაგრამ გუნდმა ყოველი ბურთისთვის იბრძოლა. ბელგიამ ძალიან შეგვავიწროვა, სწორედ ამიტომ გამოვიყვანე დენილსონი, რომელმაც მარცხენა ფლანგზე თამაში გაააქტიურა. ჩემი გუნდით ძალიან კმაყოფილი ვარ. ყველამ თავისი წვლილი შეიტანა ამ გამარჯვებაში. ახლა უნდა დავისვენოთ. ინგლისზე შემდეგ ვიზრუნებთ."*

**რობერტ ვასეჟი:** *"სავსებით შესაძლებელი იყო, რომ მატჩი დიდი სიურპრიზით დამთავრებულიყო. გოლი, რომელიც ვილმოტსმა გაიტანა, უსამართლოდ იქნა ანულირებული. მიუხედავად ამისა, ბრაზილიამ დიდი კლასი გვიჩვენა. რივალდოს გოლი შესანიშნავი იყო. დღეს ჩვენ კარგად ვიმუშავეთ, ამიტომ მაინც კმაყოფილი ვარ. იღბალი დღეს ჩვენს მხარეს არ იყო. ვფიქრობ, ამ ჩემპიონატზე ბელგია არ შეგვირცხვენია."*


REUTERS

# მოიგებს თუ არა ბრაზილია?

დერეკ ფოლი
იაპონია-კორეიდან
სპეციალურად "24 საათისთვის"

31 მაისამდე კითხვას ასე სვამდნენ: მოიგებს თუ არა ბრაზილია მსოფლიო ჩემპიონატს? ახლა კი საკითხს ასე მიუდგნენ: შეძლებენ თუ არა რონალდო და რივალდო ბრაზილიისთვის თასის მოპოვებას?

ოფიციალური სტატისტიკით, გუშინ ლუის ფელიპე სკოლარის გუნდმა ბელგია 2:0 დაამარცხა, მაგრამ როცა ბრაზილიის შესაძლებლობებს განიხილავთ, ამ სტატისტიკას სათვალავში ნუ ჩააგდებთ.

მის ნაცვლად, აი, რა უნდა გაითვალისწინოთ: რივალდომ ოთხ თამაშში ოთხი გოლი გაიტანა, რონალდომ კი – ხუთი.

ანუ, სინამდვილეში სიტუაცია დაახლოებით ასეთია: ბრაზილია დიდებასა და უბედობას შორის მერყეობს. ამ ფონზე კი პირველი, რაც მახსენდება, 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატია. ეს ის პერიოდია, როცა ზიკომ, სოკრატესმა და მათმა კომპანიამ თავდასხმის ფანტასტიკური ტაქტიკა შექმნეს, მაგრამ მათ შთამბეჭდავ თავდასხმას ნაკრების ულიმღამო დაცვა აქარწყლებდა. იმ წელიწადს ბრაზილიის დამარცხება იტალიამ შეძლო. სოკრატესის გუნდმა სამი გოლი გაიტანა, იტალიამ – ოთხი.

2002 წელსაც, ისევე როგორც 82-ში, ბრაზილია დაცვაში მოიკოჭლებს. ისევე, როგორც მაშინ, დღესაც ბრაზილიური დაცვა ნერვული და თავის ძალებში დაეჭვებულია. ის ყველაზე დიდ იმედებს იღბალზე ამყარებს და თუ იოკოჰამამდე, ანუ ფინალამდე მიაღწია, მისი ერთადერთი მხსნელი იღბალი იქნება და არა დაცვის ფეხბურთელთა ნიჭიერება.

ფინალამდე მისაღწევად კი მათ ჯერ ინგლისის, შემდეგ კი, სავარაუდოდ, გერმანიის დამარცხება მოუწევთ. თუმცა, ამ ჩემპიონატის შემყურემ, უკვე აღარც ვიცი, ვინ შეხვდება ბრაზილიას.

ანუ, თუ რივალდო და რონალდო არჩეულ ტემპს არ დააგდებენ და თითო მატჩში თითო გოლს მაინც გაიტანენ, მაშინ ბრაზილიის დამარცხებისთვის მარკუშის კარში სამი გოლის გატანა მაინც იქნება საჭირო.

თეორიულად, კაფუმ, ლუსიომ, ედმილსონმა, როკე ჟუნიორმა და რობერტო კარლოსმა ბრაზილიურ დაცვაზე მოსალოდნელ ძლიერ ზეწოლას უნდა გაუძლონ: კარლოსი ის ფეხბურთელია, რომელმაც მადრიდის "რეალთან" ერთად ევროპის თასი მოიგო, ლუსიო ლევერკუზენის "ბაიერთან" ერთად ფინალში გავიდა. კაფუ და ჟუნიორი კი "რომასთან" და "მილანთან" ერთად სერია A-ში თამაშობენ. ამ მცველებში მხოლოდ ედმილსონის გუნდი გამოიყურება არაკომპეტენტურად, რამდენადაც ის "ლიონის" ღირსებას იცავს.

ანუ, ცალ-ცალკე აღებული, თითოეული ფეხბურთელი, მეტ-ნაკლებად, სოლიდურად გამოიყურება. ერთად კი, როცა ისინი ბრაზილიის დაცვაში დგანან, შეუთანხმებლად, ყოყმანით თამაშობენ და, კიდევ უფრო იბნევიან, როცა ბურთი ჰაერშია. უფრო მეტიც, ბრაზილიური დაცვა ნამდვილად ღმერთს უნდა უმადლოდეს, რომ ნეილ ქუინი, ტომასონი და ზლატან იბრაჰიმოვიჩი შინ მიდიან. თუმცა, მათთვის საფრთხის შესაქმნელად ტედი შერინგემის და ემილ ჰესკის თამაშიც კმარა.

თუმცა, არის ერთი ფაქტორიც: ბრაზილიელ მცველებს ყოველთვის შეუძლიათ თავდამსხმელთა ფუნქციების შეთავსებაც. სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ ბრაზილიის ნაკრებს გოლები უხვად გააქვს. თუმცა, შეიძლება, სკოლარის ხანდახან ავიწყდებოდეს, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ დაცვის მთავარი ფუნქცია ჯერ დაცვაა და მხოლოდ ამის შემდეგ - თავდამსხმელთა ფლანგის გაძლიერება.

ბრაზილიელთა ამ სისუსტით სარგებლობა გუშინ ვილმოტსმაც მოინდომა და მას, უბრალოდ, რამდენჯერმე არ გაუმართლა. სხვათა შორის, "შალკეს" ფანები ამ ფეხბურთელს ტყუილად არ ეძახიან "მებრძოლ ღორს". ბრაზილიასთან თამაშში ის ისე გამოიყურებოდა, როგორც პლანეტის ერთ-ერთი ყველაზე საშიში თავდამსხმელი. მეტიც, ვილმოტსი თავის გუნდში საუკეთესო იყო.

ერთი სიტყვით, რონალდოსა და რივალდოს თამაშზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. მათ წინა მატჩებში აღებული ტემპით უნდა შეძლონ დაცვის სუსტი მხარეების გადაწონვა.

რაც შეეხება მექსიკა-აშშ-ს თამაშს, სიტუაცია მოკლედ ასე შეიძლება შევაფასოთ: მექსიკამ ამერიკელებს ტაქტიკური გეგმის განხორციელებაში ხელი ვერ შეუშალა.

დაბოლოს, ირლანდიური პოსტ-სკრიპტუმის სახით, ქართველებისთვის ერთი საინტერესო ინფორმაცია: სამშობლოში გაფრენამდე, სასტუმროს ნომერში, მიკ მაკარტიმ ახალ, ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. მან სამი მიზეზი დაასახელა: ფეხბურთელები, გულშემატკივრები და ის ფაქტი, რომ კორეა-იაპონიაში ისინი ვერ დაამარცხეს.

თქვენ კი, სანამ ისაუზმებდეთ, კარგად გააანალიზეთ ეს ინფორმაცია. მაკარტის დარჩენა იმას ნიშნავს, რომ როი კინი, "მანჩესტერ იუნაიტედის" კაპიტანი და მსოფლიოს სამი საუკეთესო ნახევარმცველიდან ერთ-ერთი, ირლანდიასთან ერთად 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩებში, ალბათ, არ ითამაშებს.


REUTERS

## მალდინი კარიერას ამთავრებს

ჩეზარე მალდინისთვის 2002 წლის მუნდიალი უკანასკნელი აღმოჩნდა. იტალიელი მწვრთნელის ხელმძღვანელობით პარაგვაის ნაკრებმა მხოლოდ მერვედფინალამდე მიაღწია და, გერმანიის ნაკრებთან დამარცხების შემდეგ, ჩემპიონატს გამოეთხოვა.

შეიძლება პარაგვაის ნაკრებისთვის მერვედფინალში წაგება დიდი ტრაგედია არც კი იყოს, მაგრამ მალდინი სამხრეთამერიკულ გუნდში დარჩენას აღარ აპირებს. უფრო მეტიც, როგორც იტალიელმა სპეციალისტმა განაცხადა, აზიური მუნდიალი მისთვის უკანასკნელი იყო მთავარი მწვრთნელის რანგში. ამიერიდან მალდინი არც ერთ გუნდს აღარ უხელმძღვანელებს. 70 წლის ავტორიტეტი სულ უსაქმოდ რომ არ დარჩეს, ამაზე იზრუნა სილვიო ბერლუსკონის კლუბმა "მილანმა", რომელშიც მალდინი სერია ა-ს დამკვირვებლად იმუშავებს.

## არგენტინელებს კუპერი არ უნდათ

მუნდიალზე არგენტინის ნაკრების წარუმატებელი გამოსვლის შემდეგ, გულშემატკივართა და კრიტიკოსთა რისხვა ძირითადად სამხრეთამერიკელთა მთავარ მწვრთნელს, მარსელო ბიელსას დაატყდა თავს. არგენტინაში უკვე ხმამაღლა ლაპარაკობენ, რომ ბიელსამ ვერ გაამართლა და მის შეცვლას აპირებენ, თუმცა, მას მომხრეებიც ჰყავს.

არგენტინულმა სპორტულმა ინტერნეტსაიტმა "Ole"-მ ჩაატარა სოციოლოგიური გამოკითხვა, რომელშიც დაახლოებით ორმოცი ათასმა არგენტინელმა მიიღო მონაწილეობა. სოციოლოგთა მიზანი იყო გაერკვიათ, თუ ვის დანიშნავდნენ არგენტინელი ფანები ნაკრების ხელმძღვანელად. ყველაზე ნაკლები ხმა – 4,8% მიიღო მილანის "ინტერის" თავკაცმა ექტორ რაულ კუპერმა, ბოლოდან მეორე იყო რამონ დიასი, რომელსაც გამოკითხულთა 7,5% დაუჭირა მხარი. ბიელსას ნაკრებში დატოვება 17,1 % მიიჩნია მიზანშეწონილად, 59, 4 % კი კარლოს ბიანკის დანიშვნის მომხრეა.

## კორეული ფანატიზმი

კორეის ნაკრების წარმატებულმა სვლამ გულშემატკივართა უდიდესი აღტაცება გამოიწვია. ჯგუფიდან გასული კორეელები მერვედფინალში იტალიას ხვდებიან და ადვილი წარმოსადგენია, რა დიდი მღელვარებით ელიან ამ მატჩს ფანები.

კორეის ნაკრებისა და "სკუადრა აძურას" მატჩი 18 ივნისს გაიმართება. მასზე დასასწრები ბილეთები დიდი ხნის წინათ გაიყიდა, მაგრამ კორეელი გულშემატკივრები ჯიუტად დგანან სალაროსთან და იმედი აქვთ, რომ ბილეთს მაინც შეიძენენ.

გულშემატკივრები ბილეთის რიგში ჯერ კიდევ მაშინ იდგნენ, როცა კორეის ნაკრები პორტუგალიას ხვდებოდა. "მიუხედავად იმისა, რომ მათ ათასჯერ უთხრეს, ბილეთები აღარ არისო, შინ წასვლას მაინც არავინ ფიქრობს. ფანებს იმედი აქვთ, რომ მატჩზე აუცილებლად მოხვდებიან", - ამბობს ქალაქ ტეჯონის პოლიციის შეფი, რომელსაც მატჩის დღეს, ალბათ, უამრავი საქმე ექნება.

## მიამოტო - კაცი შავი ნიღბით

იაპონიის ნაკრებში ბევრი სწრაფი და ტექნიკური ფეხბურთელი თამაშობს, მაგრამ მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევა 25 წლის მცველი ჩუნნეიაშუ მიამოტო, რომელიც მოედანზე ნიღბით დარბის და მეტოქეს მარტო თავისი გარეგნობითაც თავზარს სცემს.

"გამბა ოსაკას" ახალგაზრდა მცველმა ერთ-ერთ ამხანაგურ მატჩში ცხვირი გაიტეხა და ამის გამო მუნდიალზე ნიღბით მოუწია თამაშმა. მიამოტო რომ ძლიერი და სანდო მცველია, ეს ბელგიისა და რუსეთის ნაკრებებმა საკუთარ თავზე გამოსცადეს. იაპონიის ნაკრები წინ მიიწევს და ფეხბურთელებს იმედი აქვთ, რომ თურქების დამარცხებით მეოთხედფინალის საგზურსაც მოიპოვებენ. "ჩვენ პირველად მოგვეცა ასე შორს წასვლის შანსი. თურქეთი ძლიერი მეტოქეა, მაგრამ არა გადაულახავი. იმედი მაქვს, მის დამარცხებასაც შევძლებთ," - ამბობს მიამოტო, რომელმაც მუნდიალის შემდეგ, შესაძლოა, ევროპაში განაგრძოს კარიერა.

## ბექჰემს იაპონია მოსწონს

ინგლისელთა ექსტრავაგანტური ვარსკვლავი დევიდ ბექჰემი კვლავაც აგრძელებს საზოგადოების გაკვირვებას ნაირ-ნაირი ორიგინალური განცხადებებით. ამჯერად "მანჩესტერ იუნაიტედისა" და ინგლისის ნაკრების ლიდერმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ძალიან მოსწონს იაპონია და, კარიერის დასრულების შემდეგ, ამ ქვეყანაში აპირებს დასახლებას. "იაპონია საოცარი ქვეყანაა. აქაური ფანები პირდაპირ მაღმერთებენ. ყველა მათგანს უდიდესი სურვილი აქვს, დამელაპარაკოს, შემეხოს, ავტოგრაფი მთხოვოს. საოცარი სიყვარულია! ხშირად მიფიქრია იმაზე, თუ რა უნდა ვაკეთო კარიერის დასრულების შემდეგ. მგონი, ურიგო არ იქნება, თუ იაპონიაში გადავალ საცხოვრებლად, ფეხბურთის სკოლას გავხსნი და ბავშვებს თამაშს ვასწავლი. მეც ხომ ასეთ სკოლაში გავიზარდე. სხვა თუ არაფერი, იაპონურ J ლიგაშიც შეიძლება ძალების მოსინჯვა", - მომავლის გეგმებს აწყობს ბექჰემი.

## იყიდება ელექტროტექნიკა

იაპონია-კორეას მსოფლიო ჩემპიონატი, ტოკიოს ერთ-ერთი კვარტლის აკიხაბარას მეწარმეთათვის, დიდი შემოსავლის წყაროდ იქცა. თურმე, ამ კვარტალში უამრავი, სხვადასხვა სიდიდის ელექტროსაქონლის მაღაზია ფუნქციონირებს. უცხოელ ტურისტთა შორის უდიდესი პოპულარობით სარგებლობს ციფრული ფოტოაპარატები და ვიდეოკამერები. მყიდველთა რაოდენობა ძალიან გაიზარდა, რის გამოც იაპონელმა მეწარმეებმა და გამყიდველებმა დიდი მოგება ნახეს. იაპონიის ყველაზე მსხვილმა მაღაზიამ "ლანიკსმა" მომავალი კვირისთვის ორჯერ მეტი საქონელი შეუკვეთა. თითქმის მსგავსი სიტუაციაა სპორტული ნაწარმით ვაჭრობის სფეროში. იაპონიისა და კორეის ნაკრებების წარმატებებმა საოცრად გაზარდა მაისურებზე მოთხოვნილება. იაპონიის ადმინისტრაციული საქმეების მინისტრმა, ტორანოსუე ტაკაიამამ თქვა რომ, მისი ქვეყნის ნაკრები მეოთხედფინალში მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონს, ბრაზილიის გუნდს შეხვდება.

## უბრალო გულშემატკივრობიდან ფანატიზმამდე

წლევანდელ მუნდიალზე ფანატიზმმა უკვე სამი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. და აი, კიდევ ერთი მსხვერპლი. ამჯერად უბედურება ტაილანდში დატრიალდა.

20 წლის ბანგკოკელი ჯიტკულ კევკლანგმუანგი მექსიკა-იტალიის მატჩს უყურებდა. ახალშერთულმა ცოლმა ტელევიზორის სხვა არხზე გადართვა მოინდომა. კამათი იმდენად დაიძაბა, რომ გალიზიანებულმა ქმარმა თოფი ესროლა მეუღლეს.

მკვლელმა მიმალვა სცადა, მაგრამ პოლიციამ მალე დააკავა ფანატიკოსი გულშემატკივარი. როგორც მან განაცხადა, უსიამოვნებები ოჯახში დიდი ხნის წინათ დაიწყო და იმ დღესაც თავი ველარ შევიკავეო, თუმცა, შეუძლებელია, ცოლ-ქმარს შორის კონფლიქტი დიდი ხნის წინათ გაჩენილიყო, რადგან მათ მხოლოდ ორი თვის წინათ უქორწინიათ.

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ქმარმა ცოლი მოკლა ფეხბურთის გამო. შესაძლოა, ზოგმა არც დაიჯეროს, მაგრამ უცხოეთის ბევრ ქვეყანაში უკვე შეიქმნა ფსიქოლოგიური სამსახურები, რომლებიც საგანგებოდ საფეხბურთო ფანატიზმით დაავადებულთა სამკურნალოდაა განკუთვნილი.

## დელ პიერო მოედანზე

ალესანდრო დელ პიერომ ტრაპატონის დიდი დახმარება გაუწია. მან მექსიკელებს გოლი გაუტანა და დაადასტურა, რომ ძირითად შემადგენლობაში ადგილს იმსახურებს. ტრაპატონი კი ამაყია და არ უყვარს საკუთარი შეცდომების აღიარება. თუმცა, ამჯერად ყველაფერი შეიცვალა. მწვრთნელი ხმამაღლა საუბრობს მომავალ გეგმებზე, ანუ კორეელთა წინააღმდეგ მეოთხედფინალური შეხვედრის პერიპეტიებზე. რეალობა ასეთია: ინძაგი კვლავ სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლებს, მის ნაცვლად კი მოედანზე დელ პიერო გამოვა. ტრაპატონი თავის გუნდს "ქამელეონს " უწოდებს და არცთუ უსაფუძვლოდ. მწვრთნელს შემადგენლობის ვარირება შეუძლია. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ვიერის, დელ პიეროს, დელ ვეკიოს არსებობისა, "სკუადრა აძურა" უფრო დაცვით, კონტრშეტევებზე აგებულ ფეხბურთს თამაშობს. დელ პიერო იტალიის ყველაზე უნივერსალური ფეხბურთელია და ნახევარდაცვიდან თავდასხმაში სწრაფი გადასვლაც სხვებზე უკეთ ეხერხება. ტრაპატონიმ, რომელიც იშვიათად ცვლის საკუთარ გადაწყვეტილებას, ეს საკითხი გადაჭრა. სერიოზულ პრობლემად რჩება ალესანდრო ნესტას ტრავმა. ამ მცველმა ნაკრების ორი უკანასკნელი ვარჯიში გამოტოვა. მწვრთნელმა თქვა, რომ ექიმები ყველაფერს გააკეთებენ ნესტას გამოსაჯანმრთელებლად. "თუ ალესანდრო ვერ ითამაშებს, მის ადგილს მარკ იულიანო დაიკავებს," - ამბობს ტრაპატონი. მწყობრში ჩადგა კიდევ ერთი ტრავმირებული, კრისტიანო ძანეტი, რომელმაც გუნდთან ერთად



## გამარჯვებისკენ რაულის გარეშე?

ესპანეთის ნაკრებმა დიდი გაჭირვებით მოიპოვა მეოთხედფინალის საგზური. ირალნდიელებმა ისეთი წინააღმდეგობა გაუწიეს მეტოქეს, რომ კამაჩოს გუნდი მხოლოდ პენალტების სერიის შედეგად გავიდა მომდევნო ეტაპზე.

მერვედფინალურ მატჩში მუხლის ტრავმა მიიღო ესპანეთის ნაკრებისა და მადრიდის "რეალის" საუკეთესო თავდამსხმელმა რაულ გონსალეს ბლანკომ, რომელმაც თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო და ხოსე ანტონიო კამაჩოს შეცვლა სთხოვა.

რაულის ტრავმა სერიოზული აღმოჩნდა. რეალურად არსებობს იმის საფრთხე, რომ ესპანეთის ნაკრები მეოთხედფინალში რაულის გარეშე დარჩეს. ვინ იქნება ესპანელთა მეტოქე, ჯერ ცნობილი არ არის. სავარაუდოდ, კამაჩოს გუნდს იტალიელებთან მოუწევს ურთიერთობის გარკვევა. "სკუადრა აძურას" დაძლევა იოლი ნამდვილად არ არის, რაც რაულმაც შესანიშნავად იცის და ძალიან ნერვიულობს. "მეოთხედფინალამდე ჯერ კიდევ დროა, იქნებ გამოვჯანმრთელდე კიდეც. მინდა, რომ ამ უმნიშვნელოვანეს მატჩში გუნდთან ერთად ვიყო. საოცრად დამწყდება გული, თუ მეოთხედფინალი უჩემოდ ჩაივლის", - ამბობს რაული.

## ფიფას გადაღლილი ვარსკვლავები არ უნდა

იოკოჰამა (Sid). ეს მუნდიალი ბევრი ევროპელი ვარსკვლავისთვის წარუმატებელი აღმოჩნდა. შინაურ ჩემპიონატებსა და საერთაშორისო არენაზე გამუდმებული ასპარეზობით გადაღლილმა ფეხბურთელებმა მუნდიალამდე ძალების აღდგენა ვერ მოასწრეს და აზიაში გადაღლილები ჩავიდნენ. ამის გამო ბევრმა ცნობილმა ვარსკვლავმა ისეთი შთაბეჭდილება ვერ დატოვა, როგორსაც გულშემატკივრები ელოდნენ. გახშირდა ისეთი ტრავმები, როგორიცაა კუნთების დაჭიმულობა, რაც, ძირითადად, დაღლილობითაა გამოწვეული.

ფიფა ცდილობს, გაითვალისწინოს აზიური გამოცდილება და გარკვეული რეფორმები გაატაროს. ფრანც ბეკენბაუერის ინიციატივით, ფიფაში განიხილება ჩემპიონატის კალენდრის საკითხი. ბეკენბაუერი და გერმანელი ექიმი, პროფესორი ვილფრიდ კინდერმანი ამუშავებენ პროექტს, რომლითაც მუნდიალის კალენდრის შედგენისას გათვალისწინებული იქნება ყველა პირობა იმისთვის, რომ ფეხბურთელებმა მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ძალების აღდგენა შეძლონ.

## რუშტუ პრესას ნიშნს უგებს

ბრაზილიასთან წაგების შემდეგ თურქეთის ნაკრები თურქული პრესის კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა. თურქი ჟურნალისტები ისე შორს წავიდნენ, რომ ფეხბურთელები ქვეყნის მოღალატეებადაც კი მონათლეს.

მიუხედავად ყველაფრისა, თურქეთის ნაკრებმა მაინც შეძლო მერვედფინალში გასვლა და უფრო შორს წასვლის შანსიც აქვს. ეროვნული გუნდის გოლკიპერს, რუშტუს, ჯერაც არ დავიწყებია მშობლიური პრესისგან მიღებული საყვედურები და ნიშნის მოგებით კითხულობს, აბა, ახლა რაღას იტყვითო: "ცოტა ხნის წინათ მოღალატეებს გვეძახდნენ, ახლა კი ნაციონალური გმირები ვართ, რადგან ნაკრები ჯგუფში არ ჩარჩა. ღმერთო ჩემო, რა უცნაურ ქვეყანაში ვცხოვრობთ! რას ფიქრობდნენ ის ჟურნალსტები, როცა ასე უმოწყალოდ გვაკრიტიკებდნენ? ჩვენ ხომ ურთულეს სიტუაციაში ვართ. საოცრად შორს ვიმყოფებით ჩვენი ქვეყნიდან, გვენატრება ოჯახი, მეგობრები. ამის მიუხედავად, თავს არ ვზოგავთ და გამარჯვებისთვის ვიბრძვით, ზოგ-ზოგები კი მოღალატეებს გვიწოდებენ. ეს, უბრალოდ, აღმაშფოთებელია", - ამობს რუშტუ.

## გერმანელთა გასაჭირი

რუდი ფიოლერს, იტალიელებისა და არგენტინელებისგან განსხვავებით, მუნდიალზე ოცდასამი ვარსკვლავი ნამდვილად არ ჩაუყვანია. ტრავმის გამო ნაკრებს მიღმა დარჩა რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი, რომლებზეც ფიოლერი დიდ იმედს ამყარებდა. ამიტომაც იყო, რომ ჯგუფურ ეტაპზე, სანამ შეეძლოთ, გერმანელები სულ ერთი და იგივე შემადგენლობით თამაშობდნენ. ახალი სახეები გამოჩნდნენ მხოლოდ მერვედფინალში, როდესაც სამმა წამყვანმა ფეხბურთელმა დისკვალიფიკაცია მიიღო და ფიოლერი იძულებული გახდა, სასტარტო შემადგენლობაში გარკვეული კორექტივები შეეტანა.

მერვედფინალში გერმანელებმა პარაგვაის ნაკრებს ოდნავ შესუსტებული შემადგენლობითაც სძლიეს, ფიოლერის კიდევ ერთმა საყვარელმა ფეხბურთელმა კი ტრავმა მიიღო.

21 წლის კრისტოფ მეტცელდერი გერმანიის ნაკრების საიმედო მცველად ითვლება და მისი არყოფნა გუნდისთვის უდავოდ დიდი დანაკლისი იქნება. პარაგვაისთან მატჩში მეტცელდერმა კოჭის ტრავმა მიიღო და შესაცვლელი გახდა. ექიმები შიშობენ, რომ ახალგაზრდა მცველი მეოთხედფინალში თავის ნაკრებს

## ფიგუ ნაკრებს ტოვებს?

მუნდიალზე პორტუგალიის ნაკრების მიერ განცდილმა ფიასკომ არაერთ ფანს დასწყვიტა გული. ყველაზე მეტად ეროვნული გუნდის წარუმატებლობას, რა თქმა უნდა, თავად ფეხბურთელები განიცდიან.

ჯგუფში ჩარჩენა იმდენად მტკივნეული აღმოჩნდა ლუიშ ფიგუსთვის, რომ მადრიდის "რეალის" ვარსკვლავმა ნაკრებიდან წასვლა გადაწყვიტა. თუ პორტუგალიურ სპორტულ გაზეთ "O Jogos"-ს ვენდობით, კორეიდან დაბრუნებული ფიგუ იმდენად იყო გაღიზიანებული პორტუგალიის ნაკრების ცუდი თამაშით და უსამართლო მსაჯობით, რომ მეგობართა წრეში ხმამაღლა განაცხდა ნაკრებიდან წასვლის შესახებ. გაზეთი მეგობართა ვინაობას არ აკონკრეტებს და, აქედან გამომდინარე, ძნელი სათქმელია, რამდენად შეეფერება სიმართლეს ეს ინფორმაცია.



## ახალგაზრდული თამაშები

### დაიწყო მოჭიდავეთა ტურნირი

მოსკოვში მიმდინარე ახალგაზრდულ თამაშებში ქართველი მოჭიდავეები ჩაებნენ. ხალიჩაზე ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეები გავიდნენ. 42 კილოგრამ წონით კატეგორიაში ქართველი ლაშა გოგიტიძის პირველი მეტოქე აღმოჩნდა უკრაინელი ზაგოროდნიუკი. სამწუხაროდ, ქართველმა მოჭიდავემ, ქულებით (3:1), წააგო. წარუმატებელი გამოდგა გოგიტიძის მეორე ბრძოლაც. რუსმა ვლადიმირ ნივიკოვმა დაძაბულ ბრძოლაში, მინიმალური სხვაობით (3:2), გაიმარჯვა.

გაცილებით წარმატებული გამოდგა 85 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ვლადიმერ გეგეშიძის სტარტი. გეგეშიძემ აშკარა უპირატესობით (7:0) დაამარცხა თავისი პირველი მეტოქე, ბელორუსი ვლადიმირ დუბასენკო. მეორე წრეში კიდევ უფრო დამაჯერებლად, (9:0) მოუგო ლიტვის წარმომადგენელს, ბუდრის რობერტასს და ჯერჯერობით უდანაკარგოდ ასპარეზობს.

ამავე სახეობაში, 58 კილოგრამ წონით კატეგორიაში ასპარეზობს დავით ბედინაძე. მისი დებიუტი წარუმატებელი გამოდგა. ქართველმა მოჭიდავემ, ქულებით (1:3), დათმო შეხვედრა ვოლგისპირელ მაქსიმ კარპოვთან. მეორე ტურში კი ბედინაძემ ბელორუს ხარასევიჩს მოუგო (5:2). მის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო ცენტრალური ოლქის წარმომადგენელმა აზაროვმა. ქართველმა აქაც გაიმარჯვა (3:1).

50 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე დიმიტრი ძიმისტარაშვილმა პირველი ბრძოლა წააგო. იგი უზბეკეთის წარმომადგენელს, ტოჯიევთან ქულებით დაამარცხა (1:3), შემდეგ კი ცენტრალური ოლქის წარმომადგენელს, დუბოვს მოუგო (6:4).

სხვებისაგან განსხვავებით, ორივე ბრძოლა მოიგო ომარ ბაკურიძემ. 69 კილოგრამ წონითი კატეგორიის პირველ წრეში ქართველმა მოჭიდავემ ქულებით დაამარცხა ციმბირელი მოჭიდავე ჩერნიხი. მეორე ტურში კი ბაკურაძემ რუს მალანიჩს მოუგო.

### კალათბურთელთა მესამე გამარჯვება

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებმა მოიგო მოსკოვში მიმდინარე ახალგაზრდული თამაშების ზედიზედ მესამე მატჩი. მწვრთნელების, თამაზ ოქრუაშვილისა და დავით უსტიაშვილის გუნდმა რუსეთის ურალის ოლქის გუნდი დაამარცხა. პირველი მეოთხედი რუსებმა მინიმალური სხვაობით (20:18) მოიგეს. ამის შემდეგ კი ქართველთა უპირატესობა აშკარა გახდა. გადამწყვეტი გამოდგა მესამე მეოთხედი, რომელიც ქართველებმა 10 ქულის სხვაობით (22:12) მოიგეს. საბოლოოდ, ოქრუაშვილის გუნდმა (89:72) დაამარცხა ძლიერი მეტოქე და ერთპიროვნულად ლიდერობს ბ ჯგუფში.

საქართველოს ნაკრებმა პირველი ორი მატჩი ყირგიზეთისა და ვოლგისპირეთის გუნდებს მოუგო. შედეგი მართლაც შთამბეჭდავია. სამიდან სამი გამარჯვება, ბურთების შეფარდება 309:181-ზე. მომდევნო, მეოთხე შეხვედრას საქართველოს ნაკრები დღეს ლიტვის ძლიერი გუნდის წინააღმდეგ გამართავს. ლიტველებმა პირველი შეხვედრა ურალის გუნდს მოუგეს (91:63).

### ქართველი მხედრის წარმატება

წარმატებას მიაღწია ქართველმა ახალგაზრდა მხედარმა, ირაკლი ბულისკირიამ. მან და ქართული ჯიშის ცხენმა, სახელად "გალერამ", კონკურში მესამე ადგილი დაიკავეს. ასპარეზობას რუსეთის წამყვანი 13 მსაჯი სჯიდა. ქართველმა მხედარმა მაღალი შეფასება დაიმსახურა და, საბოლოოდ, პირველ დღეს მესამე ადგილზე გავიდა. პირველ ადგილზე ბელორუსი მხედარი და ცხენი "ფავორიტი" გავიდნენ, ხოლო მეორეზე - რუსეთის ცენტრალური ოლქის მხედარი ჩალი და ცხენი "ხლოპოტუნიე".

## ტრილერი

# სტრიპტიზი, მაცივარი, სექსი...

პაატა თოთაძე

უდიდესი საფეხბურთო ფესტივალი ამდიდრებს და ახალისებს ყოველდღიურ ცხოვრებას. ცხოვრება კი, რაც უფრო ხალისიანია, მით უკეთესია. ახლა იმაზე, თუ რა კავშირშია ეს ყოველივე ერთმანეთთან და ფესტივალის გახალისებასთან.

იაპონია ეკონომიკურად ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ქვეყანაა მსოფლიოში, მაშინ როცა ურუგვაი დაახლოებით საქართველოს მსგავს ქვეყანათა შორის მოიხსენიება. თანამედროვე ტექნოლოგიებში ხომ იაპონელებს ბადალი არ ჰყავთ. ასე რომ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, იაპონიისთვის შედარებით მოძველებული ტექნიკა ურუგვაიში ფრიად ძვირად ფასობს. სენეგალის ნაკრებთან ფრედ დამთავრებული მატჩის შემდეგ შინ დაბრუნებულმა ურუგვაელებმა 14 მაცივარი გააყოლეს ხელს.

ეს კიდევ არაფერი. 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონის - ბრაზილიის ნაკრების დელეგაციის ხელმძღვანელმა რიკარდუ ტეიშეირამ ამერიკიდან ლუდის ქარხანა წაიღო. სხვათა შორის, ურუგვაელებს სამშობლოში საკმაოდ თბილად შეხვდნენ. თავიანთი მეზობლებისგან განსხვავებით, ურუგვაელები უფრო კეთილშობილნი აღმოჩნდნენ და დაცემულებს ხელი გაუწოდეს წამოსადგომად.

რაც შეეხება სტრიპტიზს, მის ექსკლუზიურ ჩვენებას თავისი ნაკრებისთვის, ესპანური პორნოფილმების ვარსკვლავი სელია ბლანკო დაჰპირდა ფეხბურთელებს. მთავარი პირობა, რომელიც პორნოვარსკვლავმა წაუყენა ფეხბურთელებს, ფინალში გასვლაა. ამის შესახებ მან ესპანურ პრესაში გაკეთებული განცხადებით ამცნო მუნდიალზე მყოფ თანამემამულეებს. ბლანკო გამოტყდა, რომ დიდი სიამოვნებით გაატარებდა საღამოს რაულთან, კამაჩოსთან ან კამაჩინისთან ერთად. ცნობისთვის: კამაჩინი ძაღლია - ესპანეთის ნაკრების თილისმა. სელიას აზრით, მისი განცხადება ფეხბურთელებს წარმატების მოპოვებაში დაეხმარება.

მადრიდიდან გავრცელებულმა ინფორმაციამ კვლავ გააღვივა კულისებში დაწყებული კამათი სექსისა და ფეხბურთის ურთიერთკავშირის შესახებ. ჯერჯერობით ამის შესახებ ერთი აზრი არ არსებობს. ბრაზილიაში, ჯერ კიდევ მუნდიალის დაწყებამდე, მოხდა სკანდალი ამის გამო. რამდენიმე მაღალჩინოსანმა, სკოლარის გადაწყვეტილების გაგების შემდეგ, რომელიც მუნდიალის პერიოდში სექსს კრძალავდა, ფეხბურთელებს შესთავაზა, თან პორნოჟურნალები წაეღოთ. ყველაფერი იმით დასრულდა, რომ სკოლარიმ ფეხბურთელებს ორი დღე გამოუყო სექსისთვის: ერთი - მეოთხედფინალამდე და ერთიც - ფინალში გასვლის შემდეგ.

სკოლარის მსგავსად, მუნდიალის დროს სექსს ბრძოლა გამოუცხადა ჯოვანი ტრაპატონიმაც. ის შიშობს, რომ მათი მეტოქეები "სიყვარულის



ქურუმებს" (იაპონელ გეიშებს) დაიქირავებენ და მის შეგირდებს "ფეხებს მოწყვეტენ". ისე კი, როგორც მუნდიალზე დატრიალებულმა მოვლენებმა გვიჩვენა, სკოლარისა და ტრაპატონის "ტაქტიკა" ამართლებს. ფრანგებმა და პოლონელებმა, რომლებმაც თავიანთ ფეხბურთელებს სექსის ნება დართეს, ნაადრევად გაემგზავრნენ შინ. ახლა ძნელია იმაზე საუბარი, მართო ეს იყო თუ არა მათი წარუმატებლობის მიზეზი, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება.

რა არის ფეხბურთელისთვის ცხოვრებაში მთავარი? პასუხი ცნობილია: კარგი მანქანა და კარგი ქალი. სწორედ ამას დაჰპირდა თურქეთის ფეხბურთის ფედერაცია ნაკრების თითოეულ წევრს მერვედფინალში გასვლის შემთხვევაში. აუსრულა კიდეც დანაპირები. როგორც ცნობილია, ნაკრების უკლებლივ ყველა წევრს საჩუქრად გადაეცემა "Grand Cherokee"-ის ახალი მოდელის ავტომანქანა. რაც შეეხება ქალებს, ისინი ფეხბურთელებს ორი დღით ჩაუყვანეს, თანაც, ცოლები ან მეგობრები, და არავითარი გეიშები.

## საჩემპიონო შანსები

ფავორიტების გარეშე დარჩენილ მუნდიალზე შეიძლება ნებისმიერი სენსაცია მოხდეს. ჩემპიონობის შანსი ყველა გუნდს აქვს. ბუკმეკერების აზრით, მუნდიალის მოგების პირველი კანდიდატი ბრაზილიის ნაკრებია. ტეტრაკამპიონეთა საჩემპიონო შანსები ხუთი ორზეა. მეორე ადგილზეა ესპანეთის ნაკრები, მესამეზე – ინგლისი, მაჩვენებლით შვიდი ორზე, მეოთხეა იტალია – ცხრა ორზე. შემდეგ მოდიან: გერმანია – ცამეტი ორზე, სენეგალი – თექვსმეტი ერთზე, იაპონია – ოცდაორი ერთზე, თურქეთი – ორმოცდაათი ერთზე, კორეა – სამოცდაექვსი ერთზე, აშშ – ასი ერთზე. ყველაზე ცუდი მაჩვენებელი – ასოცდახუთი ერთზე – აქვს ბელგიის ნაკრებს, რომელსაც სიაში ბოლო ადგილი უკავია.

## მაკკარტი რჩება

დუბლინი (Sid). მიუხედავად იმისა, რომ ირლანდიის ნაკრებმა ვერ შეძლო მერვედფინალში ესპანელთა დამარცხება და მუნდიალს დაემშვიდობა, ირლანდიის ფეხბურთის ფედერაცია მაინც კმაყოფილია გუნდის თავკაცის მიკ მაკკარტის მუშაობით და მას კვლავაც ტოვებს ნაკრების ხელმძღვანელის პოსტზე.

43 წლის სპეციალისტს გუშინ 2004 წლამდე გაუგრძელეს კონტრაქტი, რაც იმას ნიშნავს, რომ მაკკარტი ნაკრებს ევროპის ჩემპიონატისთვისაც მოამზადებს. ირლანდიაში, როგორც ჩანს, დაივიწყეს როი კინთან დაკავშირებული სკანდალი და მაკკარტის აპატიეს "მან იუს" კაპიტნის გუნდიდან გაშვება.

## პლატინის მუნდიალი არ მოსწონს

სეული (Sid). ფრანგული ფეხბურთის ექსვარსკვლავი, ამჟამად კი ფიფა-უეფას ჩინოვნიკი მიშელ პლატინი, რომელიც თავის თავს უკვე იოზეფ ბლატერის მემკვიდრედ მიიჩნევს, აცხადებს, რომ მიმდინარე მუნდიალზე მას ჯერ ლამაზი მატჩი არ უნახავს. პიატინის განსაკუთრებით არ მოსწონს გერმანიის ნაკრები, რომელსაც ის მოკრძალებული შესაძლებლობების გუნდს უწოდებს და აცხადებს, რომ, ძალიან გაუკვირდება, თუ გერმანია ჩემპიონი გახდება. "პარაგვაი-გერმანია და ინგლისი-დანია ორი მოსაწყენი და სევდიანი მატჩი იყო. თუ ასე გაგრძელდა, ჩემპიონატი საოცრად არასანახაობრივი გახდება," - ამბობს პლატინი, რომელსაც, ალბათ, ვერ მოუნელებია, რომ საფრანგეთის ნაკრები მუნდიალს ნაადრევად გამოეთიშა.

## სიკვდილის შიში

ისეთი რამ გადახდათ თურქ ფეხბურთელებს მერვედფინალური მატჩის წინ, კინაღამ ხელი აალებინა საერთოდ ფეხბურთის თამაშზე. თუმცა, თამაშს ვინ ჩივის, მთელი თურქეთი გუშინ ალაჰს მადლობას სწირავდა. თვითმფრინავი, რომელსაც თურქები კორეიდან იაპონიაში გადაჰყავდა, ორჯერ გახდა უმართავი და პილოტებს დიდი შრომა დასჭირდათ საკუთარი თავისა და ფეხბურთელების გადასარჩენად. ჯერჯერობით გაურკვეველია, რა გახდა ამის მიზეზი, მაგრამ მფრინავებს ვითარების გამოსასწორებლად ოთხი წუთი დასჭირდათ.

თურქეთის ნაკრების მწვრთნელმა შენოლ გიუნეშმა კომენტარი არ გაუკეთა მომხდარს, თუმცა, მოგვიანებით აღნიშნა, რომ, მეოთხედფინალში გასვლის შემთხვევაში, მისი გუნდი თამაშის ადგილამდე, შესაძლოა, ავტობუსით მივიდეს.

## ტოტალიზატორი "ტოტო 2000" 18/06/2002

მსოფლიო ჩემპიონატი. 1/8 ფინალი

| თარ. | დრო | კოდი | წყვილი | 1 | X | 2 | 1X | 12 | X2 | 2,5მეტ | 2,5ნაკ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18/06 | 11:30 | 028 | იაპონია - თურქეთი | 2.30 | 3.00 | 3.00 | 1.28 | 1.28 | 1.48 | 1.75 | 1.75 |
| 18/06 | 16:30 | 029 | კორეა - იტალია | 4.10 | 3.10 | 1.85 | 1.75 | 1.25 | 1.14 | 1.75 | 1.75 |

მსოფლიო ჩემპიონატი. 1/8 ფინალი. გასვლა

| თარ. | დრო | კოდი | წყვილი | 1 | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| 18/06 | 11:30 | 047 | იაპონია - თურქეთი | 1.65 | 1.95 |
| 18/06 | 16:30 | 048 | კორეა - იტალია | 2.50 | 1.40 |

### ცოცხალი

იაპონია - თურქეთი 18/06 11:30

| კოდი | პოზიცია | შედეგები | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 521 | I ტაიმის შედეგი | 1<br>2.35 | X<br>1.60 | 2<br>2.65 | * |
| 522 | ვინ დაიწყებს | 1<br>1.90 | | 2<br>1.90 | |
| 523 | პირველ აუტს მოაწვდის | 1<br>1.90 | | 2<br>1.90 | |
| 524 | პირველ კუთხურს მოაწვდის I ტაიმში | 1<br>1.75 | | 2<br>1.85 | |
| 525 | პირველ კუთხურს მოაწვდის II ტაიმში | 1<br>1.75 | | 2<br>1.85 | |
| 526 | პირველი მოხვდება თამაშგარეში | 1<br>1.90 | | 2<br>1.90 | |
| 527 | პირველი დაჯარიმდბა | 1<br>1.90 | | 2<br>1.90 | |
| 528 | კარში დარტყმების რაოდენობა | 10და ნაკ<br>1.80 | 11--12<br>3.00 | 13და მეტი<br>1.80 | |
| 529 | მეტჯერ დაარტყამს კარში | 1<br>1.70 | თანაბრად<br>3.00 | 2<br>1.90 | |
| 530 | კუთხურების რაოდენობა | 10და ნაკ<br>1.80 | 11<br>3.50 | 12და მეტი<br>1.80 | |
| 531 | მეტ კუთხურს მოაწვდის | 1<br>1.70 | თანაბრად<br>3.50 | 2<br>1.90 | |
| 532 | მეტი კუთხური ტაიმებში | I ტაიმი<br>1.95 | თანაბრად<br>3.50 | II ტაიმი<br>1.65 | |
| 533 | თამაშგარე მდგ. რაოდენობა | 5 და ნაკ<br>1.95 | 6<br>3.50 | 7 და მეტი<br>1.65 | |
| 534 | მეტჯერ მოხვდება თამაშ. მდგომ | 1<br>1.70 | თანაბრად<br>3.00 | 2<br>1.90 | |
| 535 | ჯარიმების რაოდენობა | 37 და ნაკ<br>1.90 | 38-39<br>3.50 | 40 და მეტი<br>1.70 | |
| 536 | მეტჯერ დაჯარიმდება | 1<br>2.00 | თანაბრად<br>5.00 | 2<br>1.60 | |
| 537 | I ყვითელს ბარათს მიიღებს | 1<br>1.95 | | 2<br>1.65 | |
| 538 | მეტ ყვითელს ბარათს მიიღებს | 1<br>2.00 | თანაბრად | 2<br>1.60 | |
| 539 | ყვითელი ბარათების რაოდენობა | 3 და ნაკ<br>1.95 | 4<br>3.00 | 5 და მეტი<br>1.65 | |
| 540 | წითელი ბარათი | კი<br>3.00 | | არა<br>1.15 | |
| 541 | პენალი | კი<br>3.00 | | არა<br>1.15 | |
| 542 | I შეცვლას გააკეთებს | 1<br>1.80 | | 2<br>1.80 | |
| 543 | I შეცვლა ტაიმებში | I ტაიმი<br>2.50 | შესვენებაზე<br>2.20 | II ტაიმი<br>1.70 | |
| 544 | I გოლს გაიტანს | 1<br>1.70 | | 2<br>1.90 | |
| 545 | ვინ გაიტანს | ორივე<br>1.65 | | ერთერთი<br>1.85 | |
| 546 | I ტაიმში გატანილი გოლები | 1და ნაკ<br>1.15 | | 2და მეტი<br>2.00 | * |
| 547 | გოლების რაოდენობა | 0-1<br>3.00 | 2-3<br>1.70 | 4-6<br>3.00 | * |
| 548 | მეტი გოლი ტაიმებში | I ტაიმი<br>3.00 | თანაბრად<br>2.80 | II ტაიმი<br>1.90 | * |
| 549 | I გოლი გავა | 1-30წთ.<br>1.80 | 31-90წთ.<br>1.80 | არ გავა<br>5.00 | * |

კორეა - იტალია 18/06 16:30

| კოდი | პოზიცია | შედეგები | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 551 | Iტაიმის შედეგი | 1<br>3.00 | X<br>1.70 | 2<br>1.90 | * |
| 552 | ვინ დაიწყებს | 1<br>1.90 | | 2<br>1.90 | |
| 553 | პირველ აუტს მოაწვდის | 1<br>1.90 | | 2<br>1.90 | |
| 554 | პირველ კუთხურს მოაწვდის I ტაიმში | 1<br>1.95 | | 2<br>1.65 | |
| 555 | პირველ კუთხურს მოაწვდის II ტაიმში | 1<br>1.95 | | 2<br>1.65 | |
| 556 | პირველი მოხვდება თამაშგარეში | 1<br>1.90 | | 2<br>1.90 | |
| 557 | პირველი დაჯარიმდბა | 1<br>1.90 | | 2<br>1.90 | |
| 558 | კარში დარტყმების რაოდენობა | 10და ნაკ<br>1.80 | 11--12<br>3.00 | 13და მეტი<br>1.80 | |
| 559 | მეტჯერ დაარტყამს კარში | 1<br>2.25 | თანაბრად<br>3.00 | 2<br>1.35 | |
| 560 | კუთხურების რაოდენობა | 10და ნაკ<br>1.80 | 11<br>3.50 | 12და მეტი<br>1.80 | |
| 561 | მეტ კუთხურს მოაწვდის | 1<br>2.15 | თანაბრად<br>3.50 | 2<br>1.45 | |
| 562 | მეტი კუთხური ტაიმებში | I ტაიმი<br>1.95 | თანაბრად<br>3.50 | II ტაიმი<br>1.65 | |
| 563 | თამაშგარე მდგ. რაოდენობა | 6 და ნაკ<br>1.95 | 7<br>3.50 | 8 და მეტი<br>1.65 | |
| 564 | მეტჯერ მოხვდება თამაშ. მდგომ | 1<br>2.20 | თანაბრად<br>3.00 | 2<br>1.40 | |
| 565 | ჯარიმების რაოდენობა | 36 და ნაკ<br>1.85 | 37-38<br>3.50 | 39 და მეტი<br>1.75 | |
| 566 | მეტჯერ დაჯარიმდება | 1<br>1.70 | თანაბრად<br>5.00 | 2<br>1.90 | |
| 567 | I ყვითელს ბარათს მიიღებს | 1<br>1.75 | | 2<br>1.85 | |
| 568 | მეტ ყვითელს ბარათს მიიღებს | 1<br>1.70 | თანაბრად | 2<br>1.90 | |
| 569 | ყვითელი ბარათების რაოდენობა | 3 და ნაკ<br>1.90 | 4<br>3.00 | 5 და მეტი<br>1.70 | |
| 570 | წითელი ბარათი | კი<br>3.00 | | არა<br>1.15 | |
| 571 | პენალი | კი<br>3.00 | | არა<br>1.15 | |
| 572 | I შეცვლას გააკეთებს | 1<br>1.80 | | 2<br>1.80 | |
| 573 | I შეცვლა ტაიმებში | I ტაიმი<br>2.50 | შესვენებაზე<br>2.20 | II ტაიმი<br>1.70 | |
| 574 | I გოლს გაიტანს | 1<br>2.00 | | 2<br>1.60 | |
| 575 | ვინ გაიტანს | ორივე<br>1.65 | | ერთერთი<br>1.85 | |
| 576 | I ტაიმში გატანილი გოლები | 1და ნაკ<br>1.15 | | 2და მეტი<br>2.00 | * |
| 577 | გოლების რაოდენობა | 0-1<br>3.00 | 2-3<br>1.70 | 4-6<br>3.00 | * |
| 578 | მეტი გოლი ტაიმებში | I ტაიმი<br>3.00 | თანაბრად<br>2.80 | II ტაიმი<br>1.90 | * |
| 579 | I გოლი გავა | 1-30წთ.<br>1.80 | 31-90წთ.<br>1.80 | არ გავა<br>5.00 | * |

" * " -ით აღნიშნული პოზიციები არ ებმება ერთმანეთს
ერთ მოთამაშეზე მეორე ყვითელი ბარათი ითვლება მხოლოდ წითლად.
ცოცხალზე მოგებები გაიცემა ფიფას ოფიციალური ოქმის (fifaworldcup.yahoo.com) გამოქვეყნების შემდეგ

## ტოტალიზატორი "კოპა" 18/06/2002

მსოფლიო ჩემპიონატი

| კოდი | თარიღი | დრო | წყვილი | 1 | X | 2 | 1X | X2 | 12 | 2.5> | ბურთ | 2.5< |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 113 | 18-06-2002 | 11:30 | იაპონია-თურქეთი | 2.20 | 3.00 | 3.00 | 1.27 | 1.50 | 1.27 | 1.80 | 2.5 | 1.70 |
| 115 | 18-06-2002 | 16:30 | კორეა-იტალია | 4.00 | 3.00 | 1.80 | 1.71 | 1.13 | 1.24 | 1.80 | 2.5 | 1.70 |

გასვლა

| კოდი | თარიღი | დრო | წყვილი | 1 | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| 286 | 18-06-2002 | 11:30 | იაპონია-თურქეთი | 1.60 | 1.90 |
| 287 | 18-06-2002 | 16:30 | კორეა-იტალია | 2.60 | 1.35 |

ცოცხალი

| იაპონია - თურქეთი | | | | 11:30 |
|---|---|---|---|---|
| კოდი | ნომინაცია | 1 | X | 2 |
| 5930 | ვინ დაიწყებს თამაშს | 1.90 | | 1.90 |
| 5931 | 1 აუტი | 1.90 | | 1.90 |
| 5932 | 1 კუთხური | 1.70 | | 1.80 |
| 5933 | 1 შეცვლა | 1.80 | | 1.80 |
| 5934 | 1 გოლი | 1.65 | | 1.85 |
| 5935 | 1 გაფრთხილება | 1.90 | | 1.60 |
| 5936 | კუთხურების რაოდენობა | 10და ნაკლ.- 1.90 | ზუსტად 11- 3.50 | 12და მეტი- 1.90 |
| 5937 | ბარათების რაოდენობა | 4და ნაკლ.- 1.80 | ზუსტად 5- 3.00 | 6და მეტი- 2.00 |
| 5938 | რომელ წუთზე გავა 1 გოლი | (1-30)- 1.75 | | (31-90)- 1.75 |
| 5939 | გოლების რაოდენობა * | (0-1) 2.90 | (2-3) 1.80 | (4-6) 2.90 |
| 5940 | ვინ გაიტანს * | ორივე 1.65 | | ერთ-ერთი 1.85 |

| კორეა - იტალია | | | | 16:30 |
|---|---|---|---|---|
| კოდი | ნომინაცია | 1 | X | 2 |
| 5950 | ვინ დაიწყებს თამაშს | 1.90 | | 1.90 |
| 5951 | 1 აუტი | 1.90 | | 1.90 |
| 5952 | 1 კუთხური | 1.80 | | 1.70 |
| 5953 | 1 შეცვლა | 1.80 | | 1.80 |
| 5954 | 1 გოლი | 1.90 | | 1.60 |
| 5955 | 1 გაფრთხილება | 1.75 | | 1.75 |
| 5956 | კუთხურების რაოდენობა | 10და ნაკლ.- 1.90 | ზუსტად 11- 3.50 | 12და მეტი- 1.90 |
| 5957 | ბარათების რაოდენობა | 4და ნაკლ.- 1.80 | ზუსტად 5- 3.00 | 6და მეტი- 2.00 |
| 5958 | რომელ წუთზე გავა 1 გოლი | (1-30)- 1.75 | | (31-90)- 1.75 |
| 5959 | გოლების რაოდენობა * | (0-1) 2.90 | (2-3) 1.80 | (4-6) 2.90 |
| 5960 | ვინ გაიტანს * | ორივე 1.70 | | ერთ-ერთი 1.80 |
| 5961 | ვიერი * | გაიტანს 2.00 | | ვერ გაიტანს 1.50 |

| ჯგუფური ცოცხალი | | | | 11:30 |
|---|---|---|---|---|
| კოდი | ნომინაცია | 1 | X | 2 |
| 5965 | კუთხურები 2 თამაშში | 20და ნაკლ.- 1.90 | ზუსტად 0- 0.00 | 22და მეტი- 1.90 |
| 5966 | ბარათები 2 თამაშში | 8და ნაკლ.- 2.00 | ზუსტად 0- 0.00 | 10და მეტი- 1.80 |
| 5967 | გოლები 2 თამაშში | 4და ნაკლ.- 1.75 | ზუსტად 0- 0.00 | 5და მეტი- 1.75 |

ბიძინა მაყაშვილის სვეტი

# კანადა

მიწისძვრიდან (დიდი რომ იყო - 6 თუ 7 ბალი; თვითონ რომ არ იცოდნენ და სომხებმა რომ უთხრეს, ეპიცენტრი სადაც იყო) ორიოდე დღის შემდეგ, ტრადიციულად ტელეფონის ზარმა გამაღვიძა. მეგობარი იყო, დიდი ხნის უნახავი. ანდა, სად უნდა მენახა!? ერთი წლის წინათ რომ წავიდა კანადაში, დღეს პირველად შემეხმიანა.

თავიდან არ გამოგვივიდა ლაპარაკი: იმას მიწისძვრის ამბები აინტერესებდა, მე ძილბურანში ვიყავი. მერე გავხურდით, მაგრამ მე მეტი დრო დამჭირდა. "იცი, ჩვენთან მაკარტნი ჩამოვიდა. "სად თქვენთან?", გამიკვირდა, "ნახალოვკაში!?" "არა, ტორონტოში, 26 დოლარი ღირდა ბილეთი". "ვაჰ, ყოჩაღ", ისეთი ტონით ვამბობ, რომ თვითონ არ ვიცი ვის ვაქებ - მაკარტნის, ჩემს ამხანაგს, თუ ტორონტოს; ამიტომ საუბრისათვის აზრის მიცემის მიზნით, ვამატებ: "ისე, ეგრე ღირს ხოლმე დაახლოებით დიდ კონცერტებზე". ის კიდე თავისას მიერეკება: "მერე "ქროსბი, სტილზ, ნეშ ენდ იანგი" იყო, მერე ოზი ოსბორნი". "ოზი არ მევასება", ისევ უაზროდ ვპასუხობ. "არც მე; კიდევ რუსები იყვნენ - "დდტ" და "აკვარიუმი". "მაგათ რაღა უნდოდათ?! ალბათ, მანდაურმა რუსებმა გააჩალიჩეს, არა?" "ჰო, ძალიან ბევრნი არიან." ქართველები?" "არა, აქ არ არიან; ჰო, ნანი ბრეგვაძეს ჰქონდა კონცერტი." "აჰ, შენ მიიწვიე?", ვხუმრობ უკბილოდ. "ალისა ფრეინდლიხთან ერთად ჩამოვიდა, რუსულ რომანსებს მღეროდა." მერე ცოტა კიდევ ვიბოდიალეთ და ბოლოს შევპირდი, იმეილით შეგეხმიანები-თქო.

საუბრიდან რამდენიმე დღის განმავლობაში სულ მეგობარზე და კანადაზე ვფიქრობდი. საერთოდ, ასეთი ვარ - თუ მიზეზი არ მაქვს, ტელეფონის ყურმილს ვერ ამაღებინებ. მაგრამ თუ ვინმემ თავი შემახსენა, რაღაც ხანი მის მიმართ სენტიმენტალური ვხდები ხოლმე. მეგობარზე ვამბობ, თორემ კანადისადმი რა სენტიმენტები და ნოსტალგია უნდა მქონდეს - არც ნამყოფი ვარ და აქამდე არც ახლობელი მყავდა იქ.

მოკლედ, ამ საუბრის შემდეგ კანადაზე ჩავფიქრდი და შემეცოდა. ჩემი შესაცოდი რა უნდა ჰქონდეს კანადას, აწყობილი ქვეყანაა. ჩემს ამბავში ვამბობ - მუსიკოსებზე: ძალიან ბევრია ადამიანი, რომელსაც კანადელი მუსიკოსები ამერიკელებად მიაჩნია.თანაც ყველა ჟანრში ასეა. ჰოდა, გავიხსენე ყველა კანადელი, რომელმაც გარკვეული წვლილი შეიტანა მუსიკაში. მერე ეს სია გავცხრილე და, დაახლოებით, ასეთი სურათი გამოვიდა:

პირველ ყოვლისა, ეს არის თანამედროვეობის უდიდესი შემსრულებელი, პიანისტი გლენ გულდი. ასევე პიანისტია, ოღონდ ჯაზის, - დიდი შავკანიანი ოსკარ პიტერსონი. სხვათა შორის, 70-ანი წლების შუახანებში თბილისში დაგეგმილი მისი კონცერტი არ შედგა, რადგან ჯაზმენის ტურნე საბჭოთა კავშირში ჩაიშალა. ყოველ შემთხვევაში, უკვე დაბეჭდილი იყო საგასტროლო პლაკატი.

პოპ-მუსიკაში კანადა წარმოდგენილია პოპულარული კომპოზიტორით და მუსიკოსით პოლ ანკათი, რომლის სიმღერებს სხვებთან ერთად ჟანრის ისეთი კორიფეები ასრულებდნენ, როგორიც ფრენკ სინატრა და ტომ ჯონსია. ამავე კატეგორიაში გადის 90-ანი წლების უპოპულარულესი ჰიტების ავტორი და შემსრულებელი, ბრაიან ადამსი. იგივე შეიძლება ითქვას სელინ დიონზე, რომლის საერთაშორისო წარმატება ბევრად განაპირობა "ოსკარის" რეკორდსმენი ფილმისთვის, "ტიტანიკისთვის " შესრულებულმა სიმღერამ.

ახლა უფრო სერიოზულ ხალხს მივხედოთ. ძნელია, ლი აარონი ამ უკანასკნელთა რიცხვს მიაკუთვნო, მაგრამ მეტალისტი ქალები იმდენად ცოტანი არიან, რომ მას გვერდს ვერ ავუვლით. იგივე ითქმის უძველეს მონრეალელ ტრეშერებზე, ჯგუფზე Voivod. კანადელებს შერეულ, ე.წ. ქალ-ვაჟური შემადგენლობის ჯგუფებშიც ღირსეული წარმომადგენელი - Heart ჰყავთ. ხოლო არტ-როკში ლეგენდად ითვლება ტრიო Rush.

90-ანი წლების შუახანებში ქართული ტელეარხები შესაშური ინტენსივობით აჩვენებდნენ ახალგაზრდა უსინათლო გიტარისტის, თეთრი ბლუზის იმედად მონათლული ჯეფ ჰილისა და მისი ჯგუფის ჩანაწერებს. ჯგუფ The Band-ის საერთაშორისო აღიარება, გარკვეულწილად, დაკავშირებულია 60-ანი წლების შუახანებში ბობ დილანთან თანამშრომლობასთან. ლეონარდ კოენი, რომლის სიმღერები ჩვენს მაყურებელს შეიძლება ახსოვდეს ოლივერ სტოუნის ფილმიდან, "მკვლელებად დაბადებულნი", ინგლისურენოვან სამყაროში მიჩნეულია ერთ-ერთ საუკეთესო პოეტად. ნილ იანგი კი, ვუდსტოკამდელი ეპოქის ჰიპი, დღესაც უდიდესი წარმატებით და ავტორიტეტით სარგებლობს მთელს მსოფლიოში. და ბოლოს, ეს მოკლე მიმოხილვა დავამთავროთ ქალით - ურბანული როკის ტიპიური წარმომადგენელი ელენის მორისეტი კანადის უკანასკნელი სუპერვასკვლავია.

რაც შეეხება ჩემს მეგობარს, გუშინდლამდე იმეილი არ გამიგზავნია, იმიტომ, რომ სათქმელი არაფერი მქონდა. გუშინდელი იმეილი კი ასე იწყებოდა: იცი, ჩვენთან **ელ ჯერო**, **ტანია მარია** და **ბობ მინცერი** ჩამოდიან.

Happy Birthday


დღეს პოლ მაკარტნი 60 წლის გახდა

# ზურაბ სოტკილავა კვლავ თბილისშია

## ქართველი საოპერო ვარსკვლავის სახელი „არტ-იმედს„ უკავშირდება


დიდი თეატრის ქართველი ვარსკვლავი.

მადი სერებრიაკოვა

ახალგაზრდობაში მას ბრწყინვალე საფეხბურთო კარიერას უწინასწარმეტყველებდნენ. ფეხბურთელობის რა გითხრათ, მაგრამ წინასწარმეტყველება ნაწილობრივ მაინც ახდა: დიდებულ მასშტაბებს ზურაბ სოტკილავამ ოპერის სფეროში მიაღწია. დიდი თეატრის ქართველი სოლისტი კვლავ თბილისშია.

არტ-იმედის მიერ ქართული ესტრადის ვარსკვლავებთან გაფორმებულმა ხელშეკრულებამ პრესაში საკმაოდ ხმაურიანი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. თუმცა, ერთის მხრივ ერთმნიშვნელოვნად დადებითმა, ხოლო, მეორეს მხრივ - რადიკალურად უარყოფითმა გამოხმაურებებმა "არტ-იმედის" საქმიანობას ხელი ვერაფრით შეუშალა. პირიქით, იგი მაღალი ხელოვნების სფეროშიც შეიჭრა: ამჯერად, არტ-იმედის სახელი - ზურაბ სოტკილავას დაუკავშირდა.

მიუხედავად იმისა, რომ სოტკილავას კარიერა ძირითადად მოსკოვის დიდ თეატრში წარიმართა, ქართველებისათვის ის მაინც ქართველ ვარსკვლავად რჩება და მომღერლის ინტერვიუებსაც თუ გადახედავთ, აქაც ძირითადად მისი ქართული მოგონებები დომინირებს.

ქართველი საოპერო ვარსკვლავის სამშობლოში სტუმრობას რამდენიმე მიზეზი აქვს. პირველ რიგში - ეს კონსერვატორიის დიდ დარბაზში დაგეგმილი კონცერტია. აქ ზურაბ სოტკილავას პარტნიორობას საკმაოდ ცნობილი მომღერლები: დიდი თეატრის სოლისტი მეცო-სოპრანო სვეტლანა ბელოკონი და კიევის თეატრის სოლისტი, უკრაინის სახალხო არტისტი, სოპრანო სვეტლანა დობრონრავოვა გაუწევენ. გარდა სოლისტების ბრწყინვალე შემადგენლობისა, კონცერტში სახელმწიფო კაპელა და ტელერადიომაუწყებლობის ორკესტრიც მიიღებენ მონაწილეობას. სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ უთუოდ საინტერესო პროგრამით მხოლოდ რჩეულნი დატკბებიან – კონცერტზე დასწრება მოსაწვევებით არის შესაძლებელი.

თბილისში ვიზიტით ზურაბ სოტკილავამ კიდევ ერთი საპატიო მისია შეასრულა: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში მან მომავალი კოლეგების სახელმწიფო გამოცდები ჩაიბარა.

19 ივნისს დაგეგმილი კონცერტი შედგება. დღეს კი, ზურაბ სოტკილავა პრეს-კონფერენციას გამართავს. მისი ვიზიტის დეტალებიც ალბათ მაშინ გახდება ცნობილი.

# დაბრუნება

## „მძიმე ჯვარი„ ქართული მუსიკით დაშაქრულ მსმენელს ალტერნატივას სთავაზობს

ვერა ნეფარიძე

**მათი გაუჩინარება ცოცხალი ქართული მუსიკიდან დროებითი აღმოჩნდა. მუსიკოსებს არ უთქვამთ უარი საკუთარ ჯვარზე, რომელიც თორმეტი წლის წინათ ხალისით იტვირთეს. ჯგუფი "მძიმე ჯვარი" სცენას მეტი ამბიციითა და კიდევ უფრო დამძიმებული პასუხისმგებლობით უბრუნდება.**

მაისში ადგილობრივი მუსიკალური მაღაზიის თაროებზე გამოჩენილი ახალი ალბომი "მძიმე ჯვარი" ერთგვარი მესიჯი იყო, რომ ქართული ცოცხალი მუსიკის სცენას ძველი გმირები დაუბრუნდნენ. გმირები, რომლებიც (არა მარტო "მძიმე ჯვარის" სახით) ახლა, ალბათ, ყველაზე მეტად სჭირდება სამამულო მუსიკალურ ინდუსტრიას; მუსიკოსები, რომლებმაც ამინდი უნდა შეცვალონ ქართულ მუსიკაში. მესმის, ძალიან ხმამაღალი გამოვიდა ასეთი შესავალი, მაგრამ ასეთ მძიმე ტვირთს არც მე და არც საზოგადოება არ ჰკიდებს ამ მუსიკოსებს, ვის შესახებაც უნდა ვისაუბროთ ამ წერილში. ასეთია თავად "მძიმე ჯვარის" ამბიციური დაბრუნება. ამ მიზნით გამართეს ბოლო ოთხი წლის განმავლობაში პირველი კონცერტი "გეპეის" დარბაზში, გამოუშვეს ჯგუფის პირველი ალბომი და ამავე მიზნით აპირებენ, მსმენელს თავი შეახსენონ კვირას, "თეატრალური სარდაფის" კლუბში.

ჯგუფის დროებითი გაუჩინარების მიზეზად მის წევრებს იმ დროს იაფფასიანი მუსიკის მოძალება მოჰყავთ. მუსიკამ, რომელიც მარტივად იწერება სტუდიებში და მარტივად სრულდება სცენაზე (ფონოგრამის წყალობით, გადაჭრილი ცოცხალი მუსიკისთვის საჭირო შესაბამისი ჟღერადობა, ინსტრუმენტალისტებისთვის განკუთვნილი ჰონორარი), სცენიდან განდევნა ცოცხალი შესრულება. ცხადია, შოუ-ბიზნესმენებსაც ხელს აძლევდათ მათი პოპულარიზაცია და დაიტვირთა მსმენელი ფალსიფიცირებული ხელოვნებით. "ხალხს აშკარად ყელში ამოუვიდა იაფასიანი მუსიკა, როდესაც ყველა სიმღერა ერთნაირია, ყველა კლიპში და სცენაზეც დაკარგულია ინსტრუმენტი. უბრალოდ, არ ჩანს, რაზე იკვრება ის მუსიკა", – ლევან ბეიტრიშვილს ეს მდგომარეობა საუკეთესო მომენტად მიაჩნია იმისათვის, რომ მასა ამ ყველაფრის ალტერნატივით დაინტერესდეს. ამიტომაც, გადაწყვიტეს სცენაზე დაბრუნდნენ და ტკბილი მუსიკით დაშაქრულ ახალგაზრდობას განსხვავებული მოასმენინონ.

"მძიმე ჯვარი" ერთ-ერთი გამონაკლისია ქართულ როკ-ჯგუფებში (განსაკუთრებით, მძიმე მუსიკის ჟანრში), ვისაც დაარსების პირველივე დღეებიდან არ შეუცვლია სახელწოდება და არჩეული მუსიკალური გეზი. ალბათ, ამ ფაქტორის დამსახურებაც არის, რომ ჯგუფს სტაბილური მსმენელი ჰყავს (რაშიც თავად მუსიკოსები 10 მარტს გამართული კონცერტის შემდეგ დარწმუნდნენ) და სცენაზე დიდი ხნის პაუზის მიუხედავად, ქართველ მსმენელს არ დავიწყებია. მე პირადად, "მძიმე ჯვარი" მის, ერთ დროს გრძელთმიან ვოკალისტთან (ლევან კაპანაძე) მყავდა გაიგივებული. როგორც აღმოჩნდა, ვოკალის ფუნქცია ამჟამად ჯგუფში 1996 წელს შემატებულ ლევან ბეიტრიშვილს აუღია საკუთარ თავზე. "ლევანი რომ არ დაგამახსოვრდეს, შეუძლებელია, იმსიგრძე თმით თბილისში აღარავინ დადის; ლევანი ჯგუფის კოლორიტია", – მშვიდად გამომიყვანა უხერხული მდგომარეობიდან ჯგუფის ამჟამინდელმა ფრონტმენმა. თავად ლევან ბეიტრიშვილს რაც შეეხება, იგი მსმენელს ქართულ სცენაზე მცირე ხნით გამოჩენილი საინტერესო ჯგუფიდან Passion Stage-დან უნდა ახსოვდეს. შარშან გარდაცვლილი ჯგუფის დრამერი, დათო ზიბზიბაძე Alexander Garden-ის მუსიკოსმა, დიტო ოგანესიანმა შეცვალა; "მძიმე ჯვარის" სოლო-გიტარისტი, მამუკა ჩიხლაძე კი, თითქმის ყველა ცნობილ როკ-ჯგუფში მოღვაწეობდა, მათ შორისაა: "ბიჭები როკ-ენროლიდან", Forsing Band, Helldrivers. მათ კი, ვინც სიტყვაზე არ მენდობა, ვურჩევ ჯგუფის ალბომს მოუსმინონ; კასეტის მოსმენა მათაც გამოადგებათ, ვისაც მძიმე როკის კულტურა მხოლოდ გიტარების გამაყრუებელი ჟღარუნი ჰგონია. ალბომი შეგნებულად მხოლოდ კასეტის სახით გამოვიდა. ის Sano Studio-ში გაკეთდა და საკმაოდ საინტერესოდაა შედგენილი: ა-მხარეს ჩაწერილია ახალი, ქართულენოვანი კომპოზიციები (ძირითადად, როკ-ბალადის ტრადიციაში გადაწყვეტილი), ხოლო მეორე მხარეს 1997 წელს ჩაწერილი ინგლისურენოვანი, რიტმული, ჰარდ-როკ მუსიკალური ნომრები (განსაკუთრებით გამოვყოფდი ბოლო კომპოზიციას Advice Before Wake Up). რამდენიმე ნომერს ალბომიდან, ჯგუფი "სარდაფშიც" დაუკრავს; ამას გარდა, კონცერტზე "მძიმე ჯვარი" ერთი-ორი უძველესი ჰიტის რიმეიქითაც წარუდგება აუდიტორიას.

მუსიკალური კომპოზიციების გარდა, მუსიკოსები განსაკუთრებულს ჩვენც შეგვპირდნენ და, როგორც გვითხრეს, სარდაფში ისეთებს იტყვიან, გაზეთები პირველ გვერდებზე რომ გამოიტანენ. ჩვენც მოვიცადოთ და ვნახოთ, ამ გაზეთების მსგავსად მუსიკოსებმაც ხომ არ ისწავლეს ცარიელი სენსაციური განცხადებების გაკეთება, მითუმეტეს, რომ ახალი "პროფესიის" შესასწავლად მათ არც ისე ცოტა დრო ჰქონდათ.


„მძიმე ჯვარი" სცენას დამძიმებული პასუხისმგებლობით უბრუნდება.

ალექსანდრე კარტაშიანის ფოტო

# "კონტრაბასი" ანუ აღდგენითი სამუშაოები

## დღეს ერთი მსახიობის თეატრში პატრიკ ზიუსკინდის პიესას წარმოადგენენ



*კონტრაბასისტის როლი საოცნებოა ნებისმიერი მსახიობისათვის.*

დავით ბუხრიკიძე

დღეს უკვე საკულტოდ შერაცხული გერმანელი მწერლის, პატრიკ ზიუსკინდის 1985 წელს შეთხზული "პარფიუმის" სურნელმა საქართველოში "მხედრიონის" ჟამს შემოაღწია. ახლადგახსნილი "ისი-პარისა" და "ვუ-ლე-ვუს" მაღაზიების პარალელურად, ვერდავიწყებულმა "ინოსტრანკამ" სამხედრო ფორმაში ჩარჩენილ ქვეყანას შეახსენა, რომ ხარისხიანი და თანამედროვე დასავლური ლიტერატურა ჩვენთვისაც ცოცხალია.

გამოხდა ხანი და 2002 წლის გაზაფხულზე ზიუსკინდის არანაკლებ პოპულარული პიესა "კონტრაბასი" კინორეჟისორმა ნინო ახვლედიანმა ფიქრის გორაზე, ერთი მსახიობის თეატრში დადგა. გასახალისებლად იმის თქმაც შეიძლება, რომ რამდენიმე წლის წინათ დაარსებულ თეატრს, რომელიც ვერიკო ანჯაფარიძის სახელს ატარებს, შინაურულად "თეატრალურ ვატიკანს" უწოდებენ.

კინემატოგრაფიულად მონდომებულებს, შესაძლოა, კარგად ახსოვთ გურამ დოჩანაშვილის მოთხრობის "ვატერპოლოო, ანუ აღდგენითი სამუშაოები" ეკრანიზაცია, რომელსაც ეკრანულ ენაზე "ბესამე" ჰქვია და რომელმაც კინორეჟისორს, გარკვეულწილად, წარმატება მოუტანა. გოეთეს ინსტიტუტისა და "ოსტერგარდ გრუპის" საქართველოს წარმომადგენლობის დახმარებით მან საქართველოში პირველად მოახერხა ზიუსკინდის პიესის გაცოცხლება. შეიძლება ითქვას, რომ დებიუტის კვალობაზე ნინო ახვლედიანმა საკმაოდ ყოჩაღად მოახერხა მსუბუქად დამღლელი და ინტელექტუალურ-მუსიკალური ტექსტისათვის თეატრალურობა შეენარჩუნებინა.

ზიუსკინდის გმირები სამყაროსთან მუდმივ კონფლიქტში იმყოფებიან, ისევე, როგორც კონტრაბასისტი, რომელსაც აღარ ესმის ადამიანების. სამაგიეროდ ესმის საკუთარი უსუსურობის ობერტონები, რომელიც თავად ინსტრუმენტს არ გააჩნია. რეჟისორი ზუსტად "გამოთვლილი მიზანსცენებითა და ემოციისაგან ერთგვარი დისტანციით, 70 წუთის განმავლობაში გვაცნობს ორკესტრის კონტრაბასისტს. ეს არის 36 წლის მარტოხელა მამაკაცი, რომელიც შთამაგონებელი დეპრესიით უთხრის ძირს საკუთარ მრავალწახნაგოვან მარტოობას. ანუ მოგვითხრობს ინსტრუმენტზე, რომელსაც, როგორც აღვნიშნეთ, ობერტონები არ გააჩნია; ქალზე, რომელიც ბგერაგაუმტარი, იზოლირებული ოთახის მიღმა ვერასოდეს გაიგებს, რომ კომპლექსიან მუსიკოსს უყვარს და, რაც მთავარია, თავად მუსიკაზე, რომელიც დროდადრო მარია კალასისა თუ კატია რიჩარელის ხმით ჩაგვესმის.

ამ საშუალო ასაკისა და უცნაურად ტანჯული ორკესტრანტის ლირიკული ზრახვანი არც დამალულია და არც მხოლოდ ფსიქოანალიტიკური. მაყურებელი გრძნობს, რომ ფირფიტებითა და კომპაქტ-დისკებით გამოჭედილ ოთახში ყოვლისშემძლე სიყვარული და მწარე ირონია არა მხოლოდ თანაარსებობენ, არამედ მეგობრობენ. ხოლო მეგობრობის საზღვარი კონტრაბასისტის გულზე გადის...მსახიობი და რეჟისორი არ გვიმტკიცებენ, რომ ცხოვრება მშვენიერი და სასარგებლოა თუნდაც იმიტომ, რომ სიმფონიური ორკესტრის მუსიკოსებს სიცოცხლის ბოლომდე გარანტირებული პენსია აქვთ. პირიქით, "პატარა ადამიანის" პატარა ბედნიერებანი და სიცოცხლისუნარიანობა სწრაფწარმავალია, თუმცა დაფარული სიღრმით სავსე.

"თეატრალურ სარდაფსა" და მოზარდმაყურებელთა თეატრში სახასიათო როლებით საფუძვლიანად გაწვრთნილი გია გოგიშვილი სცენიდან რამდენიმე მეტრით მოშორებულ მაყურებელს ნაირგვარ ტესტირებას უტარებს – ხან მუსიკის ისტორიაში, ხან ეგზისტენციურ თანაგრძნობაში, ხანაც ფსიქოანალიზში. სათვალიანი და მორცხვი მუსიკოსის მონოისტორიაში რეჟისორმა ამოიკითხა ის, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია – მუსიკით ნაკვები მარტოობა, რომელიც არ გრძელდება ასი წელიწადი, მაგრამ გაგრძელდება მუდამ, ვიდრე შუბერტის კვინტეტი "კალმახი" შესრულდება..

ფონოგრამული ვაგნერითა და შუბერტით მოგვრილი ფრაგმენტული სიამოვნებისა და მსახიობის არცთუ მოსაწყენი გარჯის გარდა, სპექტაკლის შემდეგ მინიმუმ ორი კითხვა მაინც გიჩნდებათ: რატომ არ წერდნენ დიდი კომპოზიტორები კონცერტებს კონტრაბასისათვის (ნუთუ მხოლოდ იმიტომ, რომ მას ობერტონები არა აქვს?) და რატომ დაამსგავსეს გია გოგიშვილი გარეგნობით პიესის ავტორს? მითიური ვერიკოს პორტრეტებით გარშემორტყმული ზიუსკინდის გმირის ალაგ აგრესიული და ალაგ დეპრესიული თვითირონია, ისევე, როგორც რეჟისორის ინტელიგენტური თვითჩაღრმავება, კითხვებზე პასუხის გასაცემად საკმარისი არ არის. სამაგიეროდ, სრული უფლება გაქვთ იფიქროთ, რომ ზიუსკინდის პიესას გვიან, მაგრამ "პირველი ხელიდან" ეზიარეთ. 75 წუთი ამის გასაცნობიერებლად სრულიად საკმარისია

ერთი რამ ნამდვილად შეიძლება ითქვას – კონტრაბასისტის როლი მართლაც საოცნებოა ნებისმიერი კარგი მსახიობისათვის, და ვიდრე ზემოთქმული კითხვების შინაარსზე ვიფიქრებთ, იმის თქმაც შეიძლება, რომ "პატარა ადამიანები" დიდი ინსტრუმენტების თანხლებითაც არ იკარგებიან.

ამბები

## კონცერტი ტრაგედიის მონაწილეთათვის

ელტონ ჯონის გუშინდელი საქველმოქმედო კონცერტი ერფურტის გიმნაზიაში დაცხრილული ბავშვების ხსოვნას მიეძღვნა. შეგახსენებთ, რომ მკვლელი სკოლის შენობაში ერთი თვის წინ შეიჭრა. მან დაცხრილა 16 ადამიანი, დაჭრა ათი.

ელტონ ჯონის კონცერტი ერფურტის საკონცერტო დარბაზ "მესეხალში" ჩატარდა და 5-6 ათასი მაყურებელი დაესწრო. ბილეთის ფასი საგრძნობლად დაბალი – 46 ევრო იყო. ღონისძიებიდან შესული მთელი თანხა მომღერალმა გარდაცვლილთა და დაშავებულთა ოჯახების ფონდში გადარიცხა.

ელტონ ჯონის განცხადებით, მან ერფურტის ტრაგედიის შესახებ ავსტრალიაში გასტროლების დროს შეიტყო. "შოკში ჩავვარდი, როცა ეს საშინელი კადრები ტელეეთერით ვიხილე", - ჰყვება მომღერალი. როგორც გაირკვა, მან თავის ჯგუფთან ერთად, ერფურტელებისათვის სოლიდარობის გამოხატვა მაშინვე გადაწყვიტა. "მუსიკა სწორედ ის არის, რაც მწუხარების დროს ადამიანებს აერთიანებს და მხნეობას უბრუნებს", - აცხადებს ელტონ ჯონი. მისი ერფურტში ჩატარებული კონცერტის მიზანიც ეს იყო.

## აკრძალული ოზი ოსბორნი

სიუ კროუფორდის ახალი წიგნი "აკრძალული ოზი", როკშემსრულებლის აქამდე უცნობ მხარეებს წარმოაჩენს. 14 წლის ოზი მამამ გააბრაზა და თავის ჩამოხრჩობა სცადა. მან სარეცხის თოკისგან გაკეთებული ნასკვი თავზე ჩამოიცვა, მეორე ბოლო კი ჭიშკარზე დაამაგრა, შემდეგ სკამიდანაც გადმოხტა. "ანუ, თინეიჯერი, რომელიც შემდეგ როკის ყველაზე სკანდალური ფიგურა გახდა, 14 წლის ასაკში დაიღუპებოდა, მისთვის მამას რომ არ მიესწრო", - წერს კროუფორდი. უფროსმა ოსბორნმა შვილი კი გადაარჩინა, მაგრამ ის სასტიკად სცემა.

წიგნის ავტორის ცნობით, ოზი ოსბორნს ბავშვობა საშინელ სიღარიბეში აქვს გატარებული. ის ისეთი ღატაკი იყო, რომ ხშირად გამოსაცვლელი ფეხსაცმელი და წინდაც არ ჰქონდა. "დედაჩემი მოყვარული მომღერალი იყო, მამაჩემი კი – მოყვარული ლოთი", - იხსენებს თავად ოზი. ის ხშირად ხედავდა, თუ როგორ სცემდა მამა დედას. ამ ფონზე, ბუნებრივია, ოსბორნიც მოძალადედ იქცა. ის ქუჩის ჩხუბებში მონაწილეობდა, ბევრს სვამდა, 17 წლის ასაკში კი მაღაზიის გაძარცვისთვის ციხეშიც მოხვდა. მოგვიანებით, ბავშვობიდან გამოყოლილი ეს აგრესია ოსბორნმა მუსიკაში გამოხატა. მუსიკის სიყვარული მას მემკვიდრეობით დედისგან ერგო. თუმცა, რაც არ უნდა საოცარი იყოს, ოზის პირველი მუზა "ბითლზი" გახდა. "ფულიც რომ არ ჰქონოდა, მაღაზიაში დისკს პალტოს კალთაში დამალავდა და გაიქცეოდა", - წერს კროუფორდი.

ახალი წიგნის მიხედვით, ოზი სკოლიდან ადრე წამოვიდა და მეყასბედ დაიწყო მუშაობა. ხანდახან დღეში 250 საქონელს კლავდა. სწორედ აქედან წამოვიდა მისი სიყვარული სიკვდილის და ცხოველების თემების მიმართ.

## ყოფილი სპარტაკი უნივერსიტეტის პრიზიორია

კერკ დუგლასს კიდევ ერთი ჯილდო მიანიჭეს, ამჯერად, სტუდენტებმა. 85 წლის მსახიობი კალიფორნიის უნივერსიტეტის (ლოს ანჯელესში) თეატრის, კინოსა და ტელევიზიის სტუდენტების გამოსაშვებ საღამოზე უნივერსიტეტის უმაღლესი პრიზით დააჯილდოვეს. კერკ დუგლასამდე ეს პატივი ექს-პრეზიდენტებს, ჯიმი კარტერსა და ბილ ქლინთონს და ისრაელის ყოფილ პრემიერ შიმონ პერესს ერგოთ. უნივერსიტეტის პრიზიორები არიან ლოურენს ოლივიე და კაროლ ბარნეტიც.

## სასიძო სიძედ იქცა

ჩარლი შინმა, ბოლოსდაბოლოს, ყველაზე პერსპექტიული სასიძოს ტიტული მოიშორა. შაბათს გამართულ ცერემონიალზე მან მსახიობ დენის რიჩარდზე იქორწინა. ისინი ერთმანეთს ფილმ "სასარგებლო რჩევის" გადაღებაზე, 2000 წელს შეხვდნენ. თუმცა, მათი ურთიერთობა უფრო რომანტიკული მას შემდეგ გახდა, რაც რიჩარდსმა რამდენჯერმე ტელესერიალ "სფინსითიში" ითამაშა. როგორც ცნობილია, შინი ამ სერიალის ერთ-ერთი მთავარი გმირი გახლდათ. სხვათა შორის, ის "სფინსითიშიც" მარტოხელა კაცის როლს თამაშობდა...

ეს 36 წლის ჩარლი შინის რიგით მეორე ქორწილია, 29 წლის რიჩარდსისთვის კი შინი პირველი ქმარია.

30 ივნისი (21.00) - ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი
„მაგთი-GSM" წარმოგიდგენთ:
21.00 სთ - „მწვანე ოთახი" (საქართველო)
21.40 სთ - ტანია მარია და „ვივა ბრაზილ კვარტეტი" (ბრაზილია)

2 ივლისი (21.00) - ფილარმონიის საკონცერტო დარბაზი
„GMT-პლაზა" წარმოგიდგენთ:
ბობ მინცერი და თბილისის ბიგ-ბენდი (აშშ-საქართველო)
აშშ-ის საელჩოსა და გადამხდელთა კავშირის მხარდაჭერით

3 ივლისი (21.00) - ფილარმონიის საკონცერტო დარბაზი
„ლუკოილი" წარმოგიდგენთ
ელ ჯერო და ბენდი (აშშ)

3 ივლისი (21.00) კლუბი „ჯოი"
„რუსთაველცემენტი" წარმოგიდგენთ
ჭაბუკა ამირანაშვილის ბენდი (აშშ)
ბობ მინცერის კვარტეტი (აშშ)

4 ივლისი (21.00) კლუბი „ჯოი"
„ნესკაფე" წარმოგიდგენთ
იგორ ბრილი და მაია ბარათაშვილი (რუსეთი, საქართველო)
22.00 დენის როლინზის „ბედბოენ ენდ კომპანი" (დიდი ბრიტანეთი)

5 ივლისი (21.00) - კლუბი „ჯოი"
„კენტი" წარმოგიდგენთ
ბაზ-კვარტეტი (სომხეთი) ჭაბუკა ამირანაშვილის ბენდი (საქართველო)
ალფრედ „პი პი" ელისის ანსამბლი (აშშ)

თბილისის მე-6 საერთაშორისო ჯაზ - ფესტივალის პროგრამა
jazz